# სარბიელი

სპორტული გაზეთი · გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან · პარასკევი, 26 ნოემბერი 1993 № 26 (73) · ფასი 1500 კუპონი


**2** სამთვიანი შესვენების შემდეგ

ზუგდიდს ფეხბურთი დაუბრუნდა

**3** ტეილორი და ულიე გადადგნენ

ფეხბურთის რუკასთან

**4** ზედიზედ ორი მარცხის მიუხედავად

„აინტრახტი“ მაინც ლიდერობს

**5** შტიხი და გრაფი:

გერმანული დუბლი

**5** კალათბურთი უჯორდანოდ

„სარბიელის“ კორესპონდენტი ნიუ-იორკიდან გვატყობინებს

**8** შოტლანდიის ნაკრები განადგურებულია



ინგლისი თუ გაუძალიანდებათ?

# საქართველოს ნაკრების კაპიტანი



# რუსეთის ეროვნულ გუნდში?

კახი ცხადაძე რუსეთის ნაკრებში მიიწვიეს! საქართველოს ნაკრების კაპიტნის დღევანდელი კლუბის, ფრანკფურტის „აინტრახტის“ მისამართზე რუსეთის ფეხბურთის ფედერაციიდან ოფიციალური მიწვევაც მისულა და რუსების ერთ-ერთ მწვრთნელს, ევგენი მოსიაგინს კახისთან ტელეფონით უსაუბრია. მოსიაგინს ცხადაძის უარზე — მე საქართველოს მოქალაქე ვარ და ჩემი ქვეყნის ნაკრებში უნდა ვითამაშოო, არგუმენტად საქართველოს ესენგეს შემადგენლობაში შესვლა და ქართულ-რუსულ ურთიერთობაში პოზიტიური ძვრები მოუშველიებია. არც ამას გაუჭრია, მაგრამ რუსებს, როგორც ჩანს, ფარ-ხმალი არ დაუყრიათ: მსოფლიო ჩემპიონატამდე დრო კიდევ არის და კარგად მოიფიქრეო. ეს ალბათ იმ ვარაუდით კეთდება, რომ პროფესიონალი ფეხბურთელისთვის ძალიან ძნელია მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მონაწილეობის პერსპექტივაზე უარის თქმა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს შეიძლება სპორტულ კარიერაში ბოლო შანსიც კი იყოს.

ეს ინფორმაცია „სარბიელს“ გერმანიიდან ჟურნალისტმა დავით კაკაბაძემ ტელეფონით გადმოსცა. ჩვენ შევეცდებით უშუალოდ კახი ცხადაძესაც დავუკავშირდეთ, რუსეთის ფეხბურთის ფედერაციასაც და პირველწყაროდან მიღებული ინფორმაცია მოგაწოდოთ, დღეს კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, ნოდარ ახალკაცის კომენტარს გთავაზობთ:

— რუსები მიჩვეულნი არიან მსგავს რამეებს, თეთრაძეზე გაუვიდათ, ახლა ცხადაძეზეც ცდილობენ, მაგრამ მათ ალბათ არ იციან, რომ კახის უკვე უთამაშია საქართველოს ნაკრებში კვიპროსის წინააღმდეგ ოფიციალური მატჩი (სხვათაშორის, კაპიტნის სამკლაურით). როდესაც უეფა-მ ესენგეს ნაკრებს ევროპის წინა ჩემპიონატის შემოსავლიდან თავისი წილი — 2 მილიონი შვეიცარული ფრანკი გადაუხადა, მე მყისვე ვაცნობე მათ ცხადაძის ნამდვილი წარმომავლობა და უეფა-მ ჩვენი მხარე დაიჭირა: იმ ფულიდან 100 000 ფრანკი გვარგუნა. მე და საშა ჩივაძეს ცხადაძესთან ჯერ კიდევ იმ დროიდან გვქონდა კავშირი, როდესაც იგი მოსკოვის „დინამოში“ თამაშობდა. კახის არჩევანი უცვლელი იყო — ესენგეს ნაკრების შემდეგ მხოლოდდამხოლოდ საქართველოს ნაკრები! იგი ჩვენ მოწვეული გვყავს 6-13 თებერვალს მალტის საერთაშორისო ტურნირზე მონაწილეობის მისაღებად და „აინტრახტთან“ უკვე მოლაპარაკებასაც ვაწარმოებთ მის გამოსაშვებად ამ ტურნირზე. თანაც 22 იანვარს ევროპის ჩემპიონატის წილისყრა რომ იქნება, მასში ჩვენი ნაკრებიც ხომ მიიღებს მონაწილეობას? კახის არც ფინანსური პრობლემები აქვს, მაინის ფრანკფურტში საკმაოდ კარგად ცხოვრობს. მოკლედ, არა მგონია, კახიმ სული გაყიდოს. მჯერა, იგი საქართველოს ნაკრებში ითამაშებს!

## ჩემპიონთა ლიგა

დღევანდელ „სარბიელს“ რვაგვერდიანი სპეცგამოშვება ერთვის, რომელიც ზურაბ მეძველიამ და რევაზ შენგელიამ მოამზადეს



# გამარჯვებას ოცდათხუთმეტი წუთი აკლდა

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები (18 წლამდე) რამდენიმე დღის წინ დაბრუნდა ისრაელიდან, სადაც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში იამაშა. ნაკრების მთავარ მწვრთნელთან, თამაზ კოსტავასთან მცირე ხნით მოვახერხეთ საუბარი...

— ფეხბურთის ფედერაციის ძალისხმევით მოხერხდა ორკვირიანი შეკრების ჩატარება ბაქოში, სადაც ყველა პირობა გვქონდა ნორმალურად მომზადებისთვის. აზერბაიჯანის ახალგაზრდულ ნაკრებსაც ვეთამაშეთ და 3:1 ვძლიეთ. სამწუხაროდ, ისრაელში ვერ მოხერხდა ტრავმირებული კიკნაძის ფეხზე დაყენება, რომელზეც დიდ იმედებს ვამყარებდით. 14 ნოემბერს ისრაელის ნაკრებმა უკრაინელებს მოუგო 2:0, 16-ში კი ჩვენ შეგვხვდა. ებრაელები გადაღლილად გამოიყურებოდნენ, თუმცა შეუპოვარი წინააღმდეგობა გაგვიწიეს. გოლის გატანის შანსი ორივე გუნდს ჰქონდა, საბოლოოდ მატჩის მიწურულს ცქიტიშვილმა გამარჯვების გოლი გაიტანა 1:0. ორ დღეში უკრაინელებს შევხვდით, რომელთაც ოთხი დღე ჰქონდათ დასასვენებლად. პირველი ტაიმის მიწურულს იაგორაშვილი პირისპირ გავიდა მეკარესთან და ვერ შესძლო ხელსაყრელი მომენტის გამოყენება. ტაიმი 0:0 დამთავრდა, ეს ანგარიში ჩვენ გვაძლევდა ხელს. სამწუხაროდ, ჩვენს ცენტრალურ მცველს — დიდავას მატჩის მეთხუთმეტე წუთზე თავი გაუტყდა და სისხლი ვერაფრით შევუჩერეთ, მთელი მატჩი ტრავმირებულმა ითამაშა. მეორე ტაიმში ჩვენს გუნდში დაღლილობამ იჩინა თავი და 55-ე წუთზე უკრაინელებმა ერთი გოლი გაგვიტანეს, ათ წუთში — მეორეც. ამის შემდეგ ჯიქიამ ერთი ბურთი გაქვითა, მეტი კი ბიჭებმა ვეღარ მოახერხეს, დიდავას ტრავმას თან დაერთო შალვა ხუჯაძის გაძევებაც: მან ცარიელი კარიდან ხელით გამოიტანა ბურთი და ბუნებრივია, პენალტთან ერთად წითელი ბარათითაც დავისაჯეთ. 1:5 — ასე წავაგეთ უკრაინელებთან.

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა (რომელიც თან ახლდა ნაკრებს ისრაელში) აღნიშნა, რომ კმაყოფილია კოსტავას მიერ გაწეული მუშაობით და მომავალშიც მას მიანდობს ნაკრების საჭეს, რადგან, მისი თქმით „კოსტავა წესიერი, პატიოსანი კაცია. ამ რამდენიმე თვის განმავლობაში მიიღო გარკვეული გამოცდილება, იმყოფებოდა ფინეთში მწვრთნელთა სემინარებზე, სადაც, სხვათა შორის, საკმაოდ კარგი შეფასება დაიმსახურა. ამიტომ მას კვლავაც ნდობა უნდა გამოვუცხადოთ".

მამუკა კვანტალიანი

„სარბიელის" ერთ-ერთ წინა ნომერში „ცხუმის" შესახებ რომ ვწერდით, ისიც გაუწყეთ, რომ სოხუმელი კაცი, ნუგზარ გოგია გუნდს პატრონობას დაჰპირებია. დაგპირდით, რომ ბატონი ნუგზარი იმ დროისათვის სვანეთის მთებში იმყოფებოდა და ჩამოსვლისთანავე გაახლებდით მასთან ინტერვიუს. მართლაც, ნუგზარ გოგია თბილისს დაბრუნდა და პირველი შენობა, რომელიც მან დედაქალაქში მოინახულა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფისი იყო.

# „ცხუმს" პატრონი გამოუჩნდა

— ბატონო ნუგზარ, გამოგიტყდებით „ცხუმთან" ერთად მეც მოუთმენლად გელოდით. როგორც არ მინდა აფხაზეთის დაკარგვა დავიჯერო, ისევე დაუჯერებელია ჩემთვის „ცხუმის" დაშლა, გუნდისა, რომელიც დაარსების დღიდანვე საქართველოსთვის ბრძოლაში ჩაება.

— არც „ცხუმი" დაიშლება და არც აფხაზეთი დაიკარგება საქართველოსთვის. მალე იქ კვლავ ჩვენ ვიცხოვრებთ. რაც შეეხება „ცხუმს", მიუხედავად იმისა, რომ გუნდი დროებით გამოეთიშა ჩემპიონატს, ყველა ფეხბურთელს ავუნაზღაურებ ხელფასებსა თუ სხვა შეპირებულ თანხას.

— ერთი სული მაქვს გურამ გაბესკირიას შესახებ შეგეკითხოთ...

— რამდენადაც ვიცი, გურამი პარტიზანულ შენაერთებში იმყოფება.

— „ცხუმი" ჩემპიონატის გაგრძელებას აპირებდა...

— ხუთ იანვარს შევიკრიბებით და ყველაფერზე ვიმსჯელებთ, მანამდე კი კარგი იქნება, თუ პირველი ჯგუფის გუნდები ზოგ ჩვენს ფეხბურთელს აიყვანენ და წმინდა სპორტული თვალსაზრისით შეინახავენ (რამდენადაც ჩემთვის ცნობილი გახდა, გიორგი გოგიაშვილი უკვე ჩაირიცხა „სამტრედიის" შემადგენლობაში. მ.ქ.). მიხეილ ჯიშკარიანი დამპირდა, რომ თუ მე გუნდს მხარში ამოვუდგებოდი, იგი „ცხუმში" დარჩებოდა.

— ცოტა დაგვიანებულიც კია, მაგრამ გაგვაცანით თქვენი თავი.

— მკვიდრი სოხუმელი ვარ, მყავს ორი შვილი, სხვათაშორის რძალი აფხაზი მყავს და დღე-დღეზე ველოდები შვილიშვილს. ვარ სსრკ სპორტის ოსტატი კრივში, ვმსაჯობდი და მწვრთნელადაც ვმუშაობდი ამ სფეროში. ჩემი ბიჭებიც საკმაოდ კარგი მოკრივეები არიან. ამჟამად ფირმა „ნეეგას" პრეზიდენტი ვარ. წელს 300 000 მილიონი მანეთით დავეხმარე რესპუბლიკას, 9 მილიონით — თავდაცვის ფონდს. მაქვს ანგარიშები საზღვარგარეთაც. თავისუფლად შემეძლო საცხოვრებლად კანადაში გადავსულიყავი, მაგრამ მართალი კაცი მაშინ ვიქნები, თუ საქართველოსა და „ცხუმს" ამოვუდგები მხარში.

— ბატონო ნუგზარ, შეძლებთ ამხელა ხარჯების გაღებას დღეს, როდესაც ჯერ კიდევ სექტემბრის თვეში თითო გასვლითი თამაში გუნდს ერთი მილიონი კუპონი უჯდებოდა?

— მე პირობას ვდებ, რომ მხოლოდდამხოლოდ საკუთარი ძალებით არათუ არ დავშლი გუნდს, არამედ პირველ ჯგუფში ყველაზე თუ არა, ერთ-ერთ საუკეთესო პირობებს შევუქმნი. გუშინ ქუთაისის მერს, თემურ შაშიაშვილს ვესაუბრე. იგი დამპირდა, დროებით „ტორპედოს" ბაზას გადმოგცემთო. ახლა ბაქოში მივემგზავრები, საკუთარ საქმეებსაც მოვაგვარებ და შემდეგ უკვე „ცხუმის" აღორძინებას მოვკიდებ ხელს. ნიკა ამირეჯიბის და „ცხუმის" დღევანდელი ხელმძღვანელების დიდი იმედი მაქვს...

...ბატონ ნუგზართან საუბარს ოჩამჩირის „ამირანის" პრეზიდენტი ენვერ თოლორდავაც შემოესწრო. მან მითხრა, რომ „ამირანის" ფეხბურთელები სამეგრელოში იმყოფებიან, თვითონ კი ორი დღის წინ გადმოვიდა სოფელ მუხურიდან (ამ სოფელში, მოგეხსენებათ, ამასწინათ „ზვიადისტების" დიდი არსენალი იპოვეს. მ.კ.). ბატონმა ენვერმა მითხრა, რომ მისი შვილი ლევანი (რომელიც „ამირანის" წამყვანი მოთამაშე იყო) მალე აღმოსავლეთ ზონის ერთ-ერთ გუნდში დაიწყებს თამაშს, თავად იგი კი ახალი წლიდან „ამირანის" შეკრებასა და გუნდის მომავლის შენებას შეუდგება.

მამუკა კვარაცხელია

საქართველოს თასი. მეთექვსმეტედფინალის მეორე მატჩები

# მერვედფინალი — გაისად

„თეთრი არწივი" (თბილისი) — „ანცი" (თბილისი) 1:0 (პირველი მატჩი 0:0)
თბილისი, 24 ნოემბერი, ავლაბრის სტადიონი
„თეთრი არწივი": გუგუნავა (გამყრელიძე, 70), კეტაშვილი (ძიძიგურიშვილი, 34), გარაშვილი, ვ. მაისურაძე, მესტუმრე, ხოსროშვილი, მ. მაისურაძე, ტეფნაძე, ცაავა, შუბითიძე, ჭოლოკავა.
„ანცი": სიდამონიძე, პაპიძე, ასპინძელაშვილი, ხვადაგიანი, კაბისაშვილი, ყორყიკაშვილი, კერძევაძე (მაისურაძე, 65), ელოშვილი, კენჭიაშვილი (თავართქილაძე, 75), მაღრაძე, დუმბაძე.
1:0 შუბითიძე (40)
გაფრთხილება: პაპიძე, სიდამონიძე, კერძევაძე
მსაჯი: შ. ხანიაშვილი (თბილისი)

მატჩი ფრიად არასაფეხბურთო ამინდში გაიმართა. თუმცა თოვლს დიდი გავლენა არ მოუხდენია მოთამაშეებზე და მათ შეძლებისამებრ კარგი ფეხბურთი ანახეს ტრიბუნებზე მდგომ, სიცივისგან გათოშილ ორასამდე გულშემატკივარს.

„ანცის" პირველივე შეტევა ლამის კარის აღებით დასრულდა. ერთი წუთის შემდეგ კი გელა კეტაშვილის მიერ ჯარიმიდან შესრულებული დარტყმა აწცელთა მეკარე სიდამონიძემ დიდი გაჭირვებით მოიგერია.

პირველ ტაიმში ბურთს უმეტესად „თეთრი არწივი" ფლობდა და გამუდმებით უტევდა. მოწინააღმდეგე მწვავე კონტრშეტევებით პასუხობდა და რომ არა არწიველთა მეკარის, კონსტანტინე გუგუნავას ჩინებული თამაში, ვინ იცის, მატჩი რა ანგარიშით დამთავრდებოდა.

არწივelთა ძალისხმევამ შედეგი გამოიღო და მეორმოცე წუთზე გრიგოლ ცაავას მიერ წამოწყებული შეტევა ხვიჩა შუბითიძემ გოლით დააგვირგვინა.

მეორე ტაიმში სურათი შეიცვალა: „ანცს" ფრე აძლევდა ხელს და ისინი თავგამოდებით ცდილობდნენ ბურთის გატანას, მაგრამ „თეთრი არწივის" მეკარე კვლავ მოწოდების სიმაღლეზე იდგა. „არწივლებ" თავის მხრივ, მარტოოდენ კარის დაცვით არ იყვნენ დაკავებულნი და როგორც კი შანსი მიეცემოდათ, მყისვე მეტოქის ნახევარზე გადაჰქონდათ თამაში. იმ დროს, როცა მატჩის დამთავრებას რამდენიმე წუთი აკლდა, გრიგოლ ცაავას ჩინებული დარტყმა, რომელიც მან ჩვეული მანერით შეასრულა, ძელმა მოიგერია.

ერეკლე კიკილაშვილი

გუშინწინჩე გაიმართა მეთექვსმეტედფინალის სხვა მატჩებიც.

„კახეთი" — „კოლხეთი 1913" 1:2 (პირველი მატჩი 1:4)
„ბათუმი" — „მრეტები" 3:0 („მრეტები" არ გამოცხადდა. პირველი მატჩი 1:0)
„არაგვი" (დუშეთი) — „კოლხეთი" (აბაშა) 3:0 (0:0)
„ტორპედო" — „სამტრედია" 1:3 (0:1)
„მაღაროელი" (ჭიათურა) — „მეშახტე" (ტყიბული) 4:1 (0:2)
„ოდიში" — „სამგურალი" 1:3 (4:3)
„დურუჯი" — „ეგრისი" 4:0 (1:3)
„შევარდენი 1906" — „შუქურა" 6:0 (0:4)
„დილა" — „მესხეთი" 3:0 (მესხეთი არ გამოცხადდა. 1:0)
„გურია" — „საპოვნელა" 2:1 (2:1)
„ერქვანი" — „ივერია" 1:5 (0:3)

თბილისის „დინამო" მეოთხედფინალში ჩაებმება თასის გათამაშებაში, „ამირანი" — „მზიური" (პირველი მატჩი 0:4) და „ცხუმი" — „მეტალურგი" (1:4) წყვილებში კი გამარჯვებულის ვინაობა მომავალ წელს გაირკვევა, როცა ნათელი გახდება, გააგრძელებენ თუ არა ჩემპიონატს „ცხუმი", „ამირანი" და „მზიური". კენჭისყრა და მერვედფინალიც მომავალი წლისთვისაა გადატანილი. ფეხბურთის ფედერაცია ყველა ღონეს ხმარობს ჩემპიონატისა და თასის გათამაშების დასამთავრებლად, რათა მომავალი წლის მაისისთვის უეფა-ს ოფისში საქართველოს მეხუთე ჩემპიონატის გამარჯვებულის ვინაობაც იდოს, თასის მფლობელისაც და უეფა-ს თასზე სავარაუდო კანდიდატისაც.

# სამთვიანი შესვენების შემდეგ

ზუგდიდში, 27 აგვისტოს შემდეგ ფეხბურთის მატჩი არ გამართულა და ამ თამაშს მთელი ზუგდიდი მოუთმენლად ელოდა. მატჩის წინა დღეებში ზუგდიდის გამგებელი ედიშერ ჩარგაზია არაერთხელ შეხვდა კლუბის დირექტორატს, სტადიონისა და სპორტკომიტეტის ხელმძღვანელებს, „ოდიშის" მთავარ მწვრთნელს ბადრი თუთბერიძეს. გაითვალისწინეს შექმნილი მდგომარეობა, ქალაქში ლტოლვილთა სიმრავლე და სტადიონის კარები უფასოდ გაუღეს ყველას.

თამაშს ორიათასამდე გულშემატკივარი დაესწრო. უკვე მეორე წუთზე ზუგდიდელთა გასახარად გაბედავამ გახსნა ანგარიში, ათიოდ წუთში ქუთაისელმა ვაჩიბერიაძემ გაათანაბრა იგი, შემდეგ ოდიშელმა დარასელიამ ზუსტად გამოიყენა საჯარიმოში მაღლაკელიძის ხელით თამაშისათვის დანიშნული პენალტი 2:1. პირველი ტაიმის ბოლოსა და მეორის დასაწყისში ქუთაისელმა კვეტენაძემ ორი გოლი გაიტანა, შემდეგ გაბედავამ პენალტი ვერ გამოიყენა, 76-ე წუთზე კი ნოზაძემ მეოთხე გოლი გაუტანა ზუგდიდელებს. ამ გოლმა ისინი გამოაფხიზლა და წუთის შემდეგ ქაძანიამ შეამცირა ანგარიშში სხვაობა 4:3. მატჩის მიწურულს კი გაბედავამ მაინც გაიტანა მეორე გოლი. საბოლოოდ — 4:4.

მატჩს ესწრებოდნენ რადიო და ტელეჟურნალისტები. ვიდეოჩანაწერი ზუგდიდის ტელევიზიამაც უჩვენა. უცხოელმა ჟურნალისტებმა თავიანთ გამოცემებს გადასცეს რეპორტაჟები. მოკლედ, ამ დღეს ზუგდიდში ფეხბურთმა იზეიმა.

თენგიზ პაჭკორია.
საქინფორმი. სპეც. „სარბიელისთვის"

პირველი ჯგუფი. აღმოსავლეთი
XVIII ტური

## საპოვნელა 5 ივერია 1

თერჯოლა. ცენტრალური სტადიონი. 16 ნოემბერი.

საპოვნელა: თევზაძე, ხვარეშია, გენაძე, ჭულუხაძე (ბუნტური, 69), ძიძიშვილი, უკლება, ბრეგვაძე, ქურცაძე, გოდერძიშვილი (გურაბანიძე, 76), ახვლედიანი, ჩინჩალაძე.
ივერია: გვენცაძე, ჯიკაევი, მჭედლიშვილი (ლაცაბიძე, 65), ბ. ჩადუნელი, სამხარაძე, ტყემალაძე, მაქაცარია, რობაქიძე, მარლიშვილი, ქობელაშვილი, ბაკურაძე (გ. ჩადუნელი, 50).

1:0 ჩინჩალაძე (16)
2:0 გოდერძიშვილი (20)
3:0 ჩინჩალაძე (35)
4:0 უკლება (55)
5:0 გოდერძიშვილი (68)
5:1 ქობელაშვილი (75)

გაფრთხილება: ტყემალაძე
მსაჯი: თ. მაჭარაძე (ხონი)

XIX ტური

## მრეტები 0 საპოვნელა 1

მცხეთა. ცენტრალური სტადიონი. 20 ნოემბერი.

მრეტები: ჯანელიძე, ამბიძე, ქორიძე, ძაბირაძე, მოსულიშვილი, ქვარცხავა, ჯულელი, გელაძე, ჩუხუა, ტყავაძე, ბურდული.
საპოვნელა: თევზაძე, ხვარეშია, გენაძე, ჭულუხაძე, ძიძიშვილი, უკლება, ბრეგვაძე, ქურცაძე, გოდერძიშვილი, ახვლედიანი, ჩინჩალაძე.

0:1 ბრეგვაძე (21)

გაფრთხილება: ჩუხუა
მსაჯი: მ. ჭულუხაძე (სამტრედია)

## დინამო 3 ივერია 3

თბილისი. ეროვნული სტადიონი. 20 ნოემბერი.

დინამო: ჩხეიძე, ბერაძე, ჩიქოვანი, ლობჟანიძე, ნემსაძე, ყაველაშვილი, ინალიშვილი, ჯამარაული (იაშვილი, 60), რ.არველაძე, ქინქლაძე, ანჩაბაძე (სოლოლაშვილი, 58).
ივერია: ტოგონიძე, ჯიკაევი, მჭედლიშვილი, ბ. ჩადუნელი, ტყემალაძე (მარლიშვილი, 46), ხარაზიშვილი, მაქაცარია, რობაქიძე (ლაცაბიძე, 80), ბაკურაძე, ქობელაშვილი, გ. ჩადუნელი.

1:0 ყაველაშვილი (34)
2:0 ყაველაშვილი (65)
2:1 ქობელაშვილი (77)
3:1 ყაველაშვილი (80)
3:2 მარლიშვილი (82)
3:3 მარლიშვილი (85)

გაფრთხილება: ბ. ჩადუნელი
მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი).

## კახეთი 0 ერქვანი 1

თბილისი. დილმის ბაზა. 20 ნოემბერი.

კახეთი: ვაზაგაშვილი, ჭაჭუა, ლ. ხორხელი, ნიქარიშვილი, ა. ხორხელი, ალავიძე (ჭვრიტიძე), ტოგონიძე, კვარაცხელია, მაღრაძე (ზაბულაიძე, 46), კალუჟა, სეფაშვილი.
ერქვანი: ნარეკლიშვილი, შალამბერიძე, გაგნიძე, პაპიძე, ლაცაბიძე, ფოფხაძე, ინიაშვილი, დოლიძე, ყიზილაშვილი (თაბუკაშვილი, 83), ყიფიანი, მეტრეველი (გელბახიანი, 86).

0:1 ყიფიანი (72)

გაფრთხილება: კვარაცხელია, ყიფიანი, დოლიძე
გაძევება: კვარაცხელია (88)
მსაჯი: ვ. ტოროსიანი (სოხუმი)

## მეტალურგი 1 მარგვეთი 1

რუსთავი. სტადიონი „მეტალურგი". 20 ნოემბერი.

მეტალურგი: ქორიძე, დიმიტრიშვილი (თ. მეტრეველი, 46), ბურნაძე, არჩვაძე, გაბელაია, ვ. კილასონია, ამბიძე, გ. კილასონია, კობიაშვილი, ლუდუშაური, ალადაშვილი.
მარგვეთი: ბაბუაძე, მანაგაძე, გურიელიძე, გიგატაძე, ლონდაძე, ნიქარიშვილი, გაბრიჭიძე, ხუნდაძე, მეგრელაძე, ლანჩავა, შენგელია.

0:1 მეგრელაძე (10)
1:1 ვ. კილასონია (85 პ)
მსაჯი: ლ. რაზმაძე (გორი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 16 | 13 | 1 | 3 | 66-21 | 40 |
| ივერია | 16 | 8 | 5 | 3 | 27-20 | 29 |
| მარგვეთი | 15 | 7 | 4 | 4 | 30-22 | 25 |
| მაღაროელი | 16 | 7 | 4 | 5 | 26-23 | 25 |
| საპოვნელა | 16 | 7 | 2 | 7 | 28-19 | 23 |
| დილა | 15 | 6 | 2 | 7 | 22-28 | 20 |
| შევარდენი | 11 | 6 | 1 | 4 | 21-19 | 19 |
| ერქვანი | 13 | 5 | 4 | 4 | 20-22 | 19 |
| კახეთი | 15 | 4 | 3 | 8 | 22-34 | 15 |
| მეტალურგი | 15 | 3 | 1 | 11 | 20-40 | 10 |
| მრეტები | 15 | 2 | 1 | 13 | 12-46 | 7 |

დასავლეთი

## ბათუმი 3 სამტრედია 2

ბათუმი. სტადიონი „დინამო". 20 ნოემბერი.

ბათუმი: ბალაძე, გოგიტიძე, შანიძე, გეთია (მუჯირი, 83), შეყილაძე, თორლაშვილი, მახარაძე, ფუტკარაძე (სიხარულიძე, 71), ხომერიკი, ტულუში, კანტიძე.
სამტრედია: მიქაძე, იონანიძე, სიდამონიძე, ბზიკაძე, ვაშაკიძე, ამაშუკელი, გოგიაშვილი, გენძეხაძე, ჯანაშია, ფანჩულიძე, ტონია.

1:0 ხომერიკი (20)
2:0 ტულუში (31)
2:1 გენძეხაძე (56)
3:1 ხომერიკი (70)
3:2 ფანჩულიძე (88)

მსაჯი: მ. მირცხულავა (ლანჩხუთი)

## გურია 2 კოლხეთი 1913 1

ლანჩხუთი. ცენტრალური სტადიონი. 20 ნოემბერი.

გურია: აბუსერიძე, პაპავა, თევზაძე, დანელია, ბუცურეიშვილი, მალანია, ნარიაშვილი (იმნაძე, 65), რეხვიაშვილი, გოგოლაძე, ფრიდონაშვილი, გამცემლიძე.
კოლხეთი 1913: გვასალია (დევაძე, 46), ტორჩინავა (თიბილაშვილი, 46), კაკაჩია, მაჭავარიანი, ქუნთელია, მიქაბერიძე, გოროზია, მახარაძე, ჯულელი, ბულუხია, ჩხაიძე.

1:0 რეხვიაშვილი (27)
1:1 მიქაბერიძე (36)
2:1 ფრიდონაშვილი (73)

გაფრთხილება: თევზაძე, თიბილაშვილი, ქუნთელია
მსაჯი: გ. მიქაუტაძე (ქუთაისი)

## შუქურა 4 სამგურალი 0

ქობულეთი. ცენტრალური სტადიონი. 20 ნოემბერი.

შუქურა: ბერაძე, კოროტკოვი, ჭელიძე, კანდელაკი, კაკუბავა, გვიანიძე (ჩელებაძე), ნიკლაური, ლონდაძე (კედელაძე), გვასალია, ამბიძე, ბერიკაშვილი.
სამგურალი: კიკალეიშვილი, ქობულაძე, ჯანხოთელი, გუჩუა, ვ. ფესტვენიძე, დ. იობიძე (დვალიშვილი, 46), ჯანაშია (ლ. ფესტვენიძე, 46), რ. იობიძე, ხურცილავა, გუბელაძე, მაღლაკელიძე.

1:0 გვასალია (30)
2:0 გვასალია (44)
3:0 ნიკლაური (73)
4:0 გვასალია (89)

მსაჯი: რ. გარნოვსკი (სამტრედია)

## ოდიში 4 ტორპედო 4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბათუმი | 7 | 4 | 1 | 2 | 16-8 | 13 |
| გურია | 6 | 4 | 0 | 2 | 15-9 | 12 |
| სამტრედია | 6 | 4 | 0 | 2 | 11-8 | 12 |
| კოლხეთი 1913 | 6 | 3 | 1 | 2 | 9-6 | 10 |
| ტორპედო | 8 | 2 | 2 | 4 | 11-16 | 8 |
| შუქურა | 5 | 2 | 1 | 2 | 10-8 | 7 |
| ოდიში | 4 | 1 | 1 | 2 | 7-11 | 44 |
| სამგურალი | 6 | 1 | 0 | 5 | 4-17 | 3 |

ამ ეტაპზე ცხუმი, ამირანი და მზიური ჩემპიონატს გამოეთიშნენ

მეორე ჯგუფი
აღმოსავლეთი

XIV ტური. 17 ნოემბერი
რკონი — თორი 3:1
მესხეთი — ნაფარეული 4:2
სიონი — შირაქი 3:0 (არ გამოცხადდა)
არმაზი — თეთრი არწივი 0:3
არაგვი — ჭაბუკიანი 2:0
არმაზი-90 — ერქვანი-ზოოვეტი 1:3
დურუჯი — მერანი-91 1:0
ბახტრიონი — ანცი 0:1
ქართლი — მერანი 6:3
XV ტური. 20 ნოემბერი
თეთრი არწივი — არაგვი 3:1
21 ნოემბერი
მერანი — რკონი 1:3
ანცი — ქართლი 3:0
მერანი-91 — ბახტრიონი 1:1
ერქვანი-ზოოვეტი — დურუჯი 1:2
ჭაბუკიანი — არმაზი-90 3:2
შირაქი — არმაზი 3:1
ნაფარეული — სიონი 4:0
თორი — მესხეთი 5:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თეთრი არწივი | 15 | 13 | 0 | 2 | 43-11 | 39 |
| დურუჯი | 15 | 12 | 1 | 2 | 34-14 | 37 |
| ანცი | 15 | 12 | 1 | 2 | 38-4 | 37 |
| ნაფარეული | 14 | 9 | 1 | 4 | 29-16 | 28 |
| ჭაბუკიანი | 15 | 8 | 2 | 5 | 32-16 | 26 |
| არაგვი | 15 | 7 | 1 | 7 | 21-26 | 22 |
| სიონი | 15 | 7 | 1 | 7 | 24-20 | 22 |
| მესხეთი | 15 | 6 | 2 | 7 | 21-26 | 20 |
| რკონი | 15 | 6 | 1 | 8 | 22-31 | 19 |
| თორი | 13 | 5 | 3 | 5 | 22-23 | 18 |
| ერქვანი-ზოოვ. | 14 | 5 | 3 | 6 | 23-25 | 18 |
| ბახტრიონი | 14 | 5 | 1 | 8 | 18-22 | 16 |
| არმაზი-90 | 15 | 4 | 3 | 8 | 24-24 | 15 |
| მერანი-ბაჩო | 13 | 4 | 2 | 7 | 20-28 | 14 |
| შირაქი | 15 | 4 | 2 | 9 | 9-39 | 14 |
| მერანი-91 | 15 | 3 | 3 | 9 | 12-32 | 12 |
| არმაზი | 14 | 3 | 3 | 8 | 19-31 | 12 |
| ქართლი | 15 | 2 | 2 | 11 | 12-35 | 8 |

დასავლეთი
V ტური 18 ნოემბერი
სულორი — მეშახტე 2:7
კოლხეთი — ჩხერიმელა 2:1
იმერეთი — ბახმარო 0:1
გურია — მერცხალი 0:2
ეგრისი — ჩიხურა 2:1
VII ტური. 21 ნოემბერი
სულორი — იმერეთი 1:1
გურია-2 — ბახმარო 1:2

# ლუდოვიკ მეორეს რუსები არ უყვარებია

გუშინწინ დაიწყო 1993-94 სეზონის ჩემპიონთა ლიგის გათამაშება. როგორც მოსალოდნელი იყო, ბრძოლა ყველა მატჩში ბოლო წუთებამდე მიმდინარეობდა, თუმცა იყო ერთი გამონაკლისი. მონტე-კარლო ისეთივე მარცხიანი გამოდგა მოსკოვის „სპაარტაკისთვის", როგორც ნანა იოსელიანისთვის — ორივემ ეს ქალაქი გამანადგურებელი ანგარიშით ნაგებულმა დატოვა. საინტერესოა, რომ იმ დღეს სპარტაკელები მათთვის უჩვეულო ცისფერ მაისურებში თამაშობდნენ. თურმე რუსებს მხოლოდ ერთი ხელი ფორმა წაუღიათ, მისი ფერები კი მასპინძლებისას დაემთხვა. ბოლოსდაბოლოს, სტუმრებმა „მონაკოსგან" ითხოვეს ფორმა და ლუდოვიკ მეორის სტადიონზე იმით ითამაშეს. „მონაკო" იმ დღეს აშკარად სჯობდა „სპარტაკს", რომლის მწვრთნელმა ოლეგ რომანცევმა ეს აღიარა კიდეც და თქვა, მხოლოდ ონოპკომ და ხლესტოვმა ითამაშეს ჩვეულ დონეზეო. შეიძლება, ცუდ შედეგში ჩემი ბრალიცააო. მასპინძელთა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა კი განაცხადა, რომ იცოდა მეტოქის ძლიერი და სუსტი მხარეები და ამის მიხედვით ააგო თამაში. გაზეთი „ფრანს სუარი" წერდა: „სპარტაკი" უეშმაკოდ თამაშობდა და მეტოქეს დიდ პრობლემებს არ უქმნიდა. ყველაზე დიდი ეშმაკობა კი ის იყო, რომ მცველი მამედოვი 9 ნომრით ათამაშეს, მარჯვენა გარემარბი ციმბალარი კი — ოთხით". ამისთანა ნაგების მიუხედავად, ფრანგულმა პრესამ მოსკოველები მაინც დაამშვიდა: „სპარტაკი" სჯობია ც.ს.კ.ა.-ს, რომელიც შარშან სპარინგპარტნიორის როლში მოგვევლინაო — წერდა გაზეთი „პარიზიენი". ამ ჯგუფის მეორე მატჩში „გალათასარაიმ" ქულა აართვა ფავორიტ „ბარსელონას".

„ბ" ჯგუფში გამარჯვებით დაიწყო „პორტუმ", თუმცა ბოლო წუთებზე გერმანელებმა კინაღამ გაათანაბრეს ანგარიში. ამ მატჩის რეპორტაჟის მნახველნი დარწმუნდნენ, რომ შუქი მარტო ჩვენში არ ქრება — პირველი ტაიმის შუაში ამის გამო თამაში ოციოდე წუთით შეწყდა. ბრიუსელის დათოვლილ სტადიონზე „ანდერლეხტმა" და „მილანმა" ქულები გაიყვეს, თუმცა გამარჯვებასთან უფრო ახლოს სტუმრები იყვნენ. მათ რაამდენიმე აშკარა საგოლე მომენტი გააფუჭეს. თავის მხრივ, მასპინძლებსაც ჰქონდათ ორი შესაძლებლობა: პირველად ბურთი ძელს მოხვდა, მეორედ კი ბელარუსმა მსაჯმა ვერ გარისკა სახელგანთქმული „მილანის" კარში აშკარა პენალტის დანიშვნა — ბურთი ხელზე მოხვდა იტალიელ მცველს, ჟუკმა კი... ბელგიელი თავდამსხმელი დააჯარიმა.

ლიგის მეორე ტური 8 დეკემბერს შედგება, თუმცა ჩვენი ინფორმაციით, შესაძლებელია „მილანისა" და „პორტუს" მატჩი მომავალ ოთხშაბათს შედგეს, ვინაიდან იტალიის ჩემპიონი 12 დეკემბერს „მარსელის" მაგივრად „სან პაულუს" ეთამაშება საკონტინენტთაშორისო თასზე.

უეფა-ს თასზე პირველივე თამაშის შემდეგ თითქმის გაინაღდეს მეოთხედფინალში გასვლა „ბოავიშტამ" და „იუვენტუსმა". დანარჩენ წყვილებში ძნელი გამოსაცნობია გამარჯვებულის ვინაობა. ეს „ინტერისა" და „ნორვიჩის" წყვილსაც კი ეხება.

## ჩემპიონთა ლიგა

პირველი ტური

A · ჯგუფი

„მონაკო" — „სპარტაკი" 4:1
მონტე-კარლო. 18 000 მაყურებელი.

მონაკო: ეტორი, ვალერი, სონორი, პეტი, დიუმა, პიუელი, კლინსმანი, ჟორკაეფი (პასი, 83), ტიურამი, შიფო, იკპება (ნოაკო, 73).
სპარტაკი: პომაზუნი, ხლესტოვი, ივანოვი, ციმბალარი, პისარევი, ნიკიფოროვი, ონოპკო, კარპინი, მამედოვი, ლედიახოვი (პიატნიცკი, 46), ბესჩასტნიხი (როდიონოვი, 73).
გოლები: კლინსმანი (18), იკპება (40), პისარევი (49), ჟორკაეფი (62 პ), ტიურამი (90).
გაფრთხილება: ლედიახოვი (4), ივანოვი. (19), სონორი (33).
მსაჯი: ბალდასი (იტალია).

„გალათასარაი" — „ბარსელონა" 0:0
სტამბოლი. 32 000 მაყურებელი.

გალათასარაი: პაირეთინი, შტუმპფი, ქორქმაზი, თეფექჩილე, გიოტცი (ალთინთასი, 29), ქერიმოღლუ, თუთუნექჩერი (ერდემი, 70), პამზაოღლუ, შუქური, ქაია, თურქილმაზი.
ბარსელონა: სუბისარეტა, ფერერი, გვარდიოლა, კუმანი, ნადალი, ბაკერო, როდრიგესი (ამორი, 60), ეუსებიო (ესტებარანსი, 77), ლაუდრუპი, რომარიო, გოიკოეჩეა.
გაფრთხილება: გვარდიოლა (13), ქაია (23), თურქილმაზი (60).
მსაჯი: ფ. ვან დენ ვაინგაარტი (ბელგია).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 1 | 1 | 0 | 0 | 4-1 | 2 |
| ბარსელონა | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| გალათასარაი | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| სპარტაკი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-4 | 0 |

B ჯგუფი

„ანდერლეხტი" — „მილანი" 0:0
ბრიუსელი. 28 063 მაყურებელი.

ანდერლეხტი: დე ვილდე, კრასონი, რუტიესი, ალბერი, დე ვოლფი, ვალემი, ზეტერბერგი, ბოსმანი, ხააკდორემი, ვერსაველი, ბოფენი (ვან ბაკელი, 90).
მილანი: როსი, პანუჩი, მალდინი, ალბერტინი, კოსტაკურტა, ბარეზი, ორლანდო, დონადონი, პაპენი, ლაუდრუპი, სიმონე (მასარო, 75).
გაფრთხილება: როსი (19), ალბერტინი (21), დონადონი (26).
მსაჯი: ჟუკი (ბელარუსი).

„პორტო" — „ვერდერი" 3:2
პორტუ. 35 000 მაყურებელი.

პორტუ: ვიტორ ბაია, ჟოაო პინტუ, ჟორჟი, ალვესი, კოშტა, კარლუში, სეკრეტარიო, კოსტადინოვი (მაგალიაეში, 75), დომინგუში, სემედუ, სანტუში (ფილიპე, 88).
ვერდერი: რეკი, ბასლერი, ბოდე (ნოიბარტი, 65), ბრატსეტი, ბაიერსდორფერი (ვოლტერი, 86), ლეგატი, აილტსი, ვოტავა, ჰობში, ჰერცოგი, რუფერი.
გოლები: ოლივეირა (7), ჟორჟე (34), კარლუში (81), ჰობში (85), რუფერი (86).
გაფრთხილება: ვოტავა, კოსტადინოვი (13), კოშტა (85).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტო | 1 | 1 | 0 | 0 | 3-2 | 2 |
| მილანი | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| ანდერლეხტი | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| ვერდერი | 1 | 0 | 0 | 1 | 2-3 | 0 |

## უეფას თასი

მერვედფინალი

23 ნოემბერი

| | |
|---|---|
| აინტრახტი (გერმანია) | 1 |
| ლა კორუნია (ესპანეთი) | 0 |
| | |
| ბორდო (საფრანგეთი) | 1 |
| კარლსრუე (გერმანია) | 0 |
| | |
| ო.ფ.ი. (საბერძნეთი) | 1 |
| ბოავიშტა (პორტუგალია) | 4 |

24 ნოემბერი

| | |
|---|---|
| იუვენტუსი (იტალია) | 3 |
| ტენერიფე (ესპანეთი) | 0 |
| | |
| სპორტინგი (პორტუგალია) | 2 |
| კაზინო (ავსტრია) | 0 |
| | |
| ნორვიჩ სიტი (ინგლისი) | 0 |
| ინტერი (იტალია) | 1 |
| ბერხკამპი (81 პ) | |
| | |
| ბრონდბიუ (დანია) | 1 |
| ბორუსია (დორტმუნდი, გერმანია) | 1 |
| კრისტენსენი (19); შაპუიზა (61) | |

25 ნოემბერი

| | |
|---|---|
| მეხელენი (ბელგია) | 1 |
| კალიარი (იტალია) | 3 |
| ჩერნიატინსკი (38); მატეოლი (33), ოლივეირა (82), პუშედუ (87) | |

# ფეხბურთის რუკასთან

მსოფლიოს ჩემპიონატის წილისყრამდე ერთი თვე დარჩა. უკვე გაირკვა ის 6 გუნდი, რომლებიც სათავეში ჩაუდგებიან ქვეჯგუფებს. ესენია: არგენტინა, იტალია, გერმანია, ბრაზილია, აშშ და ბელგია.

კორეებმა — კომუნისტურმა ჩრდილოეთმა და კაპიტალისტურმა სამხრეთმა გადაწყვიტეს, ფიფა-ს 2002 წლის მსოფლიო პირველობის გამართვის უფლება ერთად გამოსთხოვონ. როგორც სამხრეთის პრეზიდენტმა კიმ იანგ სანმა შენიშნა, თუ ფიფა ყაბულს იქნა, ახალი ათასწლეულის გარიჟრაჟზე ქვეყნის ორივე ნაწილში შეჯიბრების ჩატარება საყოველთაო ჰარმონიის სიმბოლო იქნებაო. ფიფა 2002 წლის ჩემპიონატის მასპინძელს 1997 წელს დაასახელებს.

საუდის არაბეთის ფეხბურთის მამებმა აზიის ზონის გაგანია ფინალურ ტურნირში მოხსნეს ქვეყნის ნაკრების მწვრთნელი, ბრაზილიელი ჟოზე კანდიდუ — აქაო და გვეურჩებაო. არაბები უკანდიდუდაც გავიდნენ ფინალურ სტადიაზე და ახლა ნაკრებში საამერიკოდ მიიწვიეს ჰოლანდიელი ლეო ბეენჰაკერი, რომელიც ერთი პირობა თავისი ქვეყნის ნაკრებსაც წვრთნიდა.

ინგლისის ნაკრებშიც დაამხეს მწვრთნელი გრემ ტეილორი, რომელსაც



გრემ ტეილორი

სამნახევარწლიანი ზეობის შემდეგ კიდევ რვა თვე უნდა ეხელმძღვანელა გუნდისათვის. ტეილორს თანაშემწე ლორი მაკმანამანიც მიაყოლეს. მწვრთნელმა ნაკრებში მუშაობისას თავი ვერაფრით გამოიჩინა, მანამდე კი „უოტფორდსა" და „ასტონ ვილაში" წარმატებით უღვაწია. ტეილორმა ნაკრების კვართი 79 ფეხბურთელს მოაზომა, მაგრამ იმის გამო, რომ ინგლისში ერთობ გადატვირთული საშინაო სეზონია, თამაშის დონე კი ვერ უმჯობესდება, ვერაფერს გახდა. ახლა ფეხბურთის ასოციაციამ გუნდს დროებითი მწვრთნელი უნდა მოუძებნოს ორი ამხანაგური მატჩისთვის: თებერვალში დანიის, აპრილში კი გერმანიის წინააღმდეგ, მაგრამ როგორც მედია აღნიშნავს, არავის სურს ამ სახათაბალო პოსტის დაკავება. მწვრთნელობის სავარაუდო კანდიდატებად „ლიდს იუნაიტედის" მენეჯერ ჰოვარდ უილკინსონსა და დროებით უმუშევარ „კრისტალ პალასელ" სტივ კოპელს ასახელებენ. მესამე, მაგრამ ყველაზე ნაღდმა კანდიდატმა დონ ჰოუვმა წინადადება შორს დაიჭირა. რაც შეეხება ტეილორს, ნაკრებთან განშორების შემდეგ უთქვამს, პასუხიმგებლობას ვერ გავექცევი, მაგრამ სრულად მაინც ვერავინ ჩასწვდება პირადად ჩემი გაწბილების ზომასო.

ბულგარეთის „ბოტევის" მოთამაშე გიორგი დონკოვს უეფა-მ თავიდან ხუთწლიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა თანამსაჯისთვის მიფურთხების გამო, მაგრამ მას შემდეგ, რაც შემცდარმა დანაშაული აღიარა, უეფა-ს გული აუჩუყდა და სასჯელის ვადა ორ წლამდე შეამცირა.

ინგლისის მედია ცხოვლად გამოეხმაურა „უემბლიზე" ინგლის — უნგრეთის ისტორიული თამაშის 40 წლისთავს. მაშინ მედიდურ კუნძულელებს კონტინენტური ევროპის წარმომადგენლებმა გამანადგურებელი მარცხი — 6:3 აგემეს. როგორც ბრიტანეთის მედიამ შენიშნა, ინგლისს მერე და მერე ბუდაპეშტში 1:7 წაუგია, მაგრამ ამ მარცხის იუბილეს აღნიშვნა ალბათ აღარავის გაახსენდებაო.

ბრაზილიის საშინაო საქმედ იქცა სამხრეთ ამერიკის საკლუბო სუპერთასის გათამაშება. ამ ოთხშაბათს „სან-პაულუმ" განმეორებით ფინალში უმასპინძლა „ბოტაფოგოს". თამაში, ისევე როგორც ამ გუნდების პირველი შეხვედრა, 2:2 დასრულდა. პენალტებით გაიმარჯვა „სან-პაულუმ" 5:3 და თასი მოიგო. „სან პაულუმ" ნახევარფინალშიც პენალტების სერიის შედეგად გაიმარჯვა კოლუმბიის ქალაქ მედელინის „ნასიონალთან", რადგან ორი მატჩის ჯამური ანგარიში აქაც 2:2 იყო. სამაგიეროდ „ფლამენგომ" ჩამოახვრა ურუგვაის წარმომადგენელი, მონტევიდეოს „ნასიონალი" — 5:1 ორი შეხვედრის ანგარიშში. განმეორებით შეხვედრაში მე-80 წუთისთვის „ფლამენგო" 3:0 იგებდა მონტევიდეოში, როცა იქაურმა გულშემატკივრებმა მოედანზე ქვების სროლა მორთეს. მსაჯმა მეგაფონით საშველ მიმართა საზოგადოებრიობას, მერე კი თამაში შეწყვიტა.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, სადაც ფეხბურთი უპირატესად ზანგების სპორტია, დაუპირებიათ 2006 წლის მსოფლიო პირველობის მასპინძლობა. ასე განუცხადებია ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის გენერალურ მდივან სოლომონ ლორიკას.

ბოლივიის ნაკრების ლიდერი მარკო ეჩევერი მუხლის მყესების დაშავების გამო ოთხი თვით გამოაკლდა ფეხბურთს. ეჩევერის, რომელიც ჩილეს „კოლო-კოლოში" თამაშობს, ამ ქვეყნის ლიგის მატჩის დროს ფეხზე დააახტა „უნივერსიდად კატოლიკას" მცველი და ტრავმა მიაყენა.

საფრანგეთში რეპრესირებულმა მარსელის „ოლიმპიკმა" კიდევ ერთი ვარსკვლავი მოისაკლისა: პორტუგალიელი პაულუ ფუტრე იტალიის „რეჯანაში" გადაბარგდა. მანამდე ფრანგი მარსელ დესაი „მილანში" გადავიდა, ხორვატი ალენ ბოქშიჩი კი — „ლაციოში". ამდენი დანაკარგის ასანაზღაურებლად გუნდმა შვეიცარიის „სერვეტისგან" ითხოვა ბრაზილიელი ანდერსონ და სილვა, რომელმაც შვეიცარიის პირველობაზე შარშან 20 ბურთი გაიტანა, წელს კი 11.

ბრიტანეთში თავისებური როქი განახორციელეს: გლაზგოს „სელტიკმა" მწვრთნელად დანიშნა ინგლისის პირველი ჯგუფის გუნდის თავკაცი, „მანჩესტერ იუნაიტედის"



1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი, შოტლანდია — ირანი. № 16 — ლუ მაკარი

1970-იანი წლების ვარსკვლავი ლუ მაკარი, „სტოკ სიტის" კი ამიერიდან გაწვრთნის შოტლანდიის ნაკრების ყოფილი მოთამაშე ჯო ჯორდანი, რომელიც წელს „სელტიკის" მწვრთნელის თანაშემწედ მუშაობდა.

ზიმბაბვეს ნაკრებშიც უფროსობის შეცვლა მოხდა. გერმანელი რაინჰარდ ფაბიში, რომელიც მისი ქვეყნის მთავრობამ მასებში ფეხბურთის განავითარებლად მიავლინა აფრიკის ამ ქვეყანაში, ზიმბაბველებმა ერთი პირობა ეროვნული ნაკრების მწვრთნელადაც დაინიშნეს, მაგრამ ახლა ფაბიშისგან მოთხოვნით მის ადგილზე დააწინაურეს 1970-იანი წლების იქაური ვარსკვლავი გიბსონ ჰამელა. ჰამელას მოთამაშეობის დროს ზიმბაბვეს სამხრეთი როდეზია ერქვა და იქ რასისტი იენ სმითი პარპაშებდა.

ესპანეთში „ვალენსიის" ქომაგებმა „კარლსრუესთან" 0:7, მადრიდის „რეალთან" კი 0:3 წაგების შემდეგ მსვლელობა



გუს ჰიდინგი

მოაწყვეს კლუბის ბინისკენ ჰოლანდიელი მწვრთნელის, გუს ჰიდინგის დასაცავად, მაგრამ კლუბის პრეზიდენტმა არტურო ტუზონდმა თავისი გაიტანა და მწვრთნელი დაათხოვინა.

აფრიკის ფეხბურთის მამებმა ქვეყნიერების ფეხბურთის ქომაგებს შურიგებისკენ მოუწოდეს. საქმე ისაა, რომ აფრიკის ჩემპიონთა თასზე განის „აშანტი კოტოკოსა" და სპილოს ძვლის ნაპირის „აბიჟონის" შეხვედრის შემდეგ სპილოს ძვლის ნაპირში ანტიგანური გამოსვლები და ამბოხი დაიწყო, რასაც 23 კაცის დაღუპვა მოჰყვა.

საფრანგეთშიც გადადგა ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ინგლისური ენის 46 წლის მასწავლებელი ჟერარ ულიე, რომელმაც ბულგარეთთან წაგების შემდეგ რვა დღე იფიქრა და დაასკვნა, რომ 1998 წლის ჩემპიონატისთვის, რომელიც საფრანგეთში უნდა გაიმართოს, ნაკრებს ახალმა მწვრთნელმა უნდა უხელმძღვანელოს. ულიე ამიერიდან ფედერაციის ტექნიკურ დირექტორად იმუშავებს და ფედერაციის უახლოეს სხდომაზე, რომელიც ორშაბათს გაიმართება, ნაკრების ახალი მწვრთნელის არჩევისას რჩევით შეეწევა კოლეგებს.

იაპონიის „ჯეი-ლიგას" გაისად ორი გუნდი შეემატება: შიცუოკას „ჯუბლო ივატა" და კანაგავას „ბილმარე ჰირაცუკა". წელს ლიგაში ათი გუნდი თამაშობდა.

# ბუნდესლიგა. პირველი წრე

გასულ უქმეებზე გასრულდა ბუნდელიგის 1993-94 ჩემპიონატის პირველი წრე. როგორც ყოველთვის, ჩემპიონატი ამჯერადაც მოულოდნელობებითაა აღსავსე. პირველ რიგში აღვნიშნავთ წინა სეზონის ჩემპიონის „ვერდერის" წარუმატებელ თამაშს. ოტო რეჰაგელის შეგირდები ჯერჯერობით მეშვიდე ადგილზე არიან, მაგრამ მთავარი სენსაცია მაინც დებიუტანტ „დუისბურგის" მესამე ადგილია. რაც შეეხება ფრანკფურტის „აინტრახტს", სადაც კახი ცხადაძე გამოდის, მან ძლიერი სტარტის შემდეგ აშკარად მოუკლო და „ბაიერნს" საშუალება მისცა ორ ქულამდე შეემცირებინა ერთ დროს საკმაოდ სოლიდური სხვაობა. ბოლო ორ ტურში ფრანკფურტელებმა ორი დიდი ანგარიშით დამარცხება განიცადეს. სწორედ ახლა გამოჩნდება ამ სეზონში მოსული მწვრთნელის, 42 წლის კლაუს ტოპმიოლერის უნარი კრიზისიდან გამოიყვანოს გუნდი. შეგახსენებთ, რომ იგი აქამდე არასდროს ყოფილა ბუნდესლიგის გუნდის მთავარი მწვრთნელი. თავად კახი ცხადაძე კი თანაბრად, ჩავარდნების გარეშე თამაშობს, ჟურნალ „კიკერისგან" საშუალოზე დაბალი ნიშანი არ მიუღია, 6 შეხვედრაში კი უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. კახის მხოლოდ თითო-ოროლა მატჩის გამოტოვება მოუხდა ყვითელი ბარათების გამო.

მეორე წრე შესვენების გარეშე, ამ შაბათ-კვირას დაიწყება, თუმცა სამი ტურის შემდეგ ჩემპიონატი დროებით შეწყდება და 12 თებერვალს განახლდება.

ამჯერად გთავაზობთ პირველი წრის ყველა მატჩის შედეგს. გოლების ავტორთა სია, მართალია, არასრულად გვაქვს, მაგრამ მაინც მიზანშეწონილად ჩავთვალეთ მისი გამოქვეყნება.

I ტური. 6-8 აგვისტო.
დორტმუნდი — კარლსრუე 2:1
1:0 ზამერი (58), 2:0 შაპუიზა (63), 2:1 კარლი (90).
მიონხენგლადბახი — აინტრახტი 0:4
0:1 ფურტოკი (33), 0:2 ბაინი (36), 0:3 ვებერი (71), 0:4 იებოა (83).
ჰამბურგი — ნიურნბერგი 5:2
0:1 სარატე (3), 1:1, 2:1 ფონ ჰესენი (26 პ, 43), 2:2 სარატე (56), 3:2 ალბერტცი (66), 4:2, 5:2 ივანაუსკასი (73, 90).
ვატენშაიდი — შალკე 3:0
1:0 ლესნიაკი (33), 2:0 ფინკი (41), 3:0 ბახი (85).
ბაიერნი — ფრაიბურგი 3:1
1:0 შუპი (8), 2:0, 3:0 ვალენსია (14, 24), 3:1 ფრეინდი (37).
დუისბურგი — ლევერკუზენი 2:2
1:0 ვოლერტი (43), 1:1 სერჟიო (53), 2:1 რაინმაირი (67), 2:2 ჰაპე (74).
ლაიპციგი — დინამო 3:3
1:0 ლინდნერი (10), 1:1 მარშალი (15), 2:1, 3:1 ანდერსი (17, 25), 3:2, 3:3 მარშალი (27, 69).
კიოლნი — კაიზერსლაუტერნი 0:2
0:1 სფორცა (60), 0:2 მარინი (90).
ვერდერი — შტუტგარტი 5:1
1:0, 2:0 ჰერცოგი (16, 36), 3:0 ჰობში (47), 3:1 ვალტერი (61), 4:1, 5:1 რუფერი (75, 81).

II ტური. 13-15 აგვისტო.
ნიურნბერგი — კიოლნი 1:0
1:0 ვოლფი (18).
დინამო — დუისბურგი 0:1
0:1 კოზლე (85 პ).
ლევერკუზენი — ბაიერნი 2:1
1:0 კირსტენი (2), 1:1 ტონი (26 პ), 2:1 სერჟიო (71).
ფრაიბურგი — ვატენშაიდი 4:1
1:0 რაკლი (29), 2:0 სიმონი (48), 2:1 ნოიჰაუსი (59), 3:1 რაკლი (71), 4:1 ბურიჩი (79).
კარლსრუე — ჰამბურგი 2:0
1:0, 2:0 კარლი (35, 48).
კაიზერსლაუტერნი—მიონხენგლადბახი 4:2
1:0 ფუხსი (5), 1:1 ნოინი (29), 2:1 ფუხსი (37), 2:2 პფლიპსენი (46), 3:2 კუნცი (58), 4:2 ერიქსონი (66).
აინტრახტი — ვერდერი 2:2
0:1 ბაიერსდორფერი (12), 1:1 იებოა (21), 1:2 ბოდე (54), 2:2 ფურტოკი (70).
შალკე — დორტმუნდი 1:0
1:0 მულდერი (79).
შტუტგარტი — ლაიპციგი 0:0

III ტური. 17-22 აგვისტო.
ვერდერი — ლაიპციგი 3:1
0:1 რიშე (15), 1:1 ჰობში (16), 2:1 ბაიერსდორფერი (55), 3:1 ბასლერი (85).
კიოლნი — კარლსრუე 2:1
1:0 რუდი (6), 1:1 შმიტი (68), 2:1 კობილანსკი (84).
ვატენშაიდი — ლევერკუზენი 1:2
0:1 ვორნსი (5), 1:1 ვოლტერსი (32), 1:2 ჰაპალი (61).
ჰამბურგი — შალკე 4:1
1:0 ივანაუსკასი (6), 2:0 ბერონი (13), 3:0 ფონ ჰესენი (38 პ), 4:0 ლეჩკოვი (49), 4:1 ანდერბრიუგე (66).
აინტრახტი — კაიზერსლაუტერნი 1:0
1:0 იებოა (16).
მიონხენგლადბახი — ნიურნბერგი 2:0
1:0 ნოინი (23), 2:0 ფახი (67).
დუისბურგი — შტუტგარტი 2:2
1:0 ვაიდემანი (12), 2:0 კოზლე (15), 2:1 შტრუნცი (25), 2:2 სვერისონი (53).
დორტმუნდი — ფრაიბურგი 3:2
0:1 კარდოსო (13 პ), 0:2 ჰაიდენრაიხი (57), 1:2 რიდლე (59), 2:2 ცორკი (78), 3:2 ზამერი (80).
ბაიერნი — დინამო 5:0
1:0 შუპი (32), 2:0 ნერლინგერი (45), 3:0 შოლი (48), 4:0 ციგე (50), 5:0 შოლი (56).

IV ტური. 27-29 აგვისტო.
ფრაიბურგი — ჰამბურგი 0:1
კარლსრუე — მიონხენგლადბახი 1:0
ლაიპციგი — დუისბურგი 1:1
ლევერკუზენი — დორტმუნდი 2:1
შალკე — კიოლნი 1:2
ნიურნბერგი — აინტრახტი 1:5
კაიზერსლაუტერნი — ვერდერი 2:3
დინამო — ვატენშაიდი 1:1
შტუტგარტი — ბაიერნი 2:2

V ტური. 31 აგვისტო.
მიონხენგლადბახი — შალკე 3:2
0:1 ბოროდიუკი (2), 1:1 პერლიხი (5), 2:1 პფლიპსენი (14), 3:1 დალინი (17), 3:2 ლინკე (90).
აინტრახტი — კარლსრუე 3:1
1:0 ბაინი (48), 1:1 შმიტი (65), 2:1 ბაინი (77), 3:1 ოკოჩა (87).
კაიზერსლაუტერნი — ნიურნბერგი 3:1
1:0 სფორცა (48), 2:0, 3:0 კუნცი (80, 83 პ), 3:1 სარატე (90 პ).
ვერდერი — დუისბურგი 1:5
0:1, 0:2 შმიდტი (52, 61), 0:3 ვესტერბეკი (66), 1:3 ჰობში (68), 1:4 ვაიდემანი (72), 1:5 ბოგერი (73).
ვატენშაიდი — შტუტგარტი 2:4
1:0 ლობე (38), 1:1 ვალტერი (45), 2:1 პრინცენი (63), 2:2 ბრდარიჩი (78), 2:3 კნუპი (83), 2:4 ვალტერი (90).
ბაიერნი — ლაიპციგი 3:0
1:0 ნერლინგერი (13), 2:0 მათეუსი (55), 3:0 შუპი (88).
დორტმუნდი — დინამო 4:0
1:0, 2:0 შაპუიზა (38, 71), 3:0 რიდლე (88), 4:0 შაპუიზა (89).
ჰამბურგი — ლევერკუზენი 2:1
1:0 ბერონი (57), 2:0 ლეჩკოვი (62), 2:1 ტომი (78).
კიოლნი — ფრაიბურგი 2:0
1:0, 2:0 პოლსტერი (12, 52).

VI ტური. 3-5 სექტემბერი.
კარლსრუე — კაიზერსლაუტერნი 1:1
0:1 მარინი (19), 1:1 შმიტი (78).
შტუტგარტი — დორტმუნდი 2:2
1:0 ვოლტერი (17 პ), 1:1 ზელიჩი (45), 1:2 ზიპელი (90), 2:2 დუნგა (90).
დუისბურგი — ბაიერნი 2:2
1:0 კოზლე (3), 1:1 ვაუტერსი (20), 2:1 რაინმაირი (57), 2:2 შოლი (90).
ფრაიბურგი — მიონხენგლადბახი 3:3
1:0 ზეელიგერი (38), 2:0 რაკლი (55), 2:1 პერლიხი (60), 2:2 კასტენმაიერი (66 პ), 3:2 ტოდტი (85), 3:3 პფლიპსენი (87).
ნიურნბერგი — ვერდერი 0:1
0:1 რუფერი (84).
შალკე — აინტრახტი 1:3
0:1 იებოა (20), 1:1 ლინკე (43), 1:2 ბაინი (45), 1:3 გაუდინიო (69).
ლევერკუზენი — კიოლნი 2:1
1:0 კირსტენი (17), 2:0 ფოდა (22 პ), 2:1 რუდი (40).
ლაიპციგი — ვატენშაიდი 0:0
დინამო — ჰამბურგი 1:1
1:0 მარშალი (15), 1:1 ფონ ჰესენი (44).

VII ტური. 7-8 სექტემბერი.
ვატენშაიდი — დუისბურგი 0:2
0:1 ვაიდემანი (75), 0:2 კოზლე (90).
ჰამბურგი — შტუტგარტი 3:2
1:0 სპოლი (1), 1:1 სვერისონი (14), 1:2 ოტო (25), 2:2 ალბერტცი (31), 3:2 ბერონი (53).
კიოლნი — დინამო 0:1
0:1 რატი (57).
კაიზერსლაუტერნი — შალკე 0:0
აინტრახტი — ფრაიბურგი 3:0
1:0, 2:0, 3:0 იებოა (2, 44, 88).
მიონხენგლადბახი — ლევერკუზენი 2:2
0:1 სერჟიო (8), 1:1 კლინკერტი (14), 1:2 შუსტერი (69 პ), 2:2 კასტენმაიერი (82 პ).
დორტმუნდი — ლაიპციგი 0:1
0:1 რიშე (9).
ნიურნბერგი — კარლსრუე 1:1
1:0 ვუკი (5), 1:1 ბრუნერი (9, საკ. კარში).
ვერდერი — ბაიერნი 1:0
1:0 ჰობში (52).

VIII ტური. 17-18 სექტემბერი.
ლევერკუზენი — აინტრახტი 2:2
1:0 ფოდა (61 პ), 1:1 დიკჰაუტი (66), 2:1 ფიშერი (80), 2:2 ანდერსენი (90).
შალკე — ნიურნბერგი 1:2
0:1 სარატე (20), 1:1 ანდერბრიუგე (28 პ), 1:2 სარატე (61 პ).
ბაიერნი — ვატენშაიდი 3:3
1:0 ვიტეჩეკი (16), 1:1, 1:2 ლესნიაკი (20, 55), 2:2 ნერლინგერი (56), 3:2 შოლი (80), 3:3 ლესნიაკი (90).
დუისბურგი — დორტმუნდი 2:2
0:1 შაპუიზა (14), 1:1 შმიდტი (39), 2:1 კოზლე (46), 2:2 ზამერი (56).
დინამო — მიონხენგლადბახი 2:1
0:1 პფლიპსენი (5), 1:1 პილცი (15), 2:1 სტევიჩი (73).
ფრაიბურგი — კაიზერსლაუტერნი 2:3
0:1 რიტერი (23), 1:1 კარდოსო (52 პ), 1:2 კადლეცი (66), 2:2 ტოდტი (72), 2:3 კუნცი (80).
შტუტგარტი — კიოლნი 1:1
1:0 კიოგლი (79 პ), 1:1 დუბაჯიჩი (82).
ლაიპციგი — ჰამბურგი 1:4
0:1 ბერონი (25), 0:2 ფონ ჰესენი (37), 0:3 ბერონი (75), 1:3 ლიბერსი (84), 1:4 შპისი (89).
კარლსრუე — ვერდერი 0:3
0:1 ვიტვერი (11, საკ. კარში), 0:2, 0:3 ვიდენერი (88, 89).

IX ტური. 24-25 სექტემბერი.
ჰამბურგი — დუისბურგი 0:1
0:1 ვაიდემანი (71).
კარლსრუე — შალკე 0:0
აინტრახტი — დინამო 3:2
0:1 კმეჩი (20), 1:1 ანდერსენი (46), 2:1 გაუდინიო (51), 2:2 იანიგი (63), 3:2 ფურტოკი (70).
კიოლნი — ლაიპციგი 3:1
1:0 ლემანი (56), 1:1 ედმონდი (58), 2:1 გრაინერი (69), 3:1 იანკერი (87).
დორტმუნდი — ბაიერნი 1:1
0:1 შოლი (27), 1:1 კარლი (65).
ნიურნბერგი — ფრაიბურგი 2:2
1:0 სარატე (12), 1:1 ვასმერი (50), 2:1 სარატე (52 პ), 2:2 რაკლი (53).
კაიზერსლაუტერნი — ლევერკუზენი 3:2
0:1 ტომი (16), 1:1 კუნცი (26), 2:1 ვაგნერი (31), 3:1 კუნცი (48), 3:2 კირსტენი (61).
ვერდერი — ვატენშაიდი 0:0
მიონხენგლადბახი — შტუტგარტი 0:2
0:1 კიოგლი (23), 0:2 სვერისონი (51).

X ტური. 1-2 ოქტომბერი.
დუისბურგი — კიოლნი 0:0
დინამო — კაიზერსლაუტერნი 3:1
1:0 მარშალი (2), 1:1 კუნცი (15), 2:1 კრანცი (39), 3:1 შმალერი (61).
ლევერკუზენი — ნიურნბერგი 4:0
1:0 სერჟიო (39), 2:0 ციტში (45, საკ.კარში), 3:0 სერჟიო (77), 4:0 შუსტერი (85).
ფრაიბურგი — კარლსრუე 3:3
1:0 ზაიერი (12), 1:1 შმიტი (14), 2:1 ზეელიგერი (20), 2:2, 2:3 ბენდერი (52, 56 პ), 3:3 ტოდტი (61).
შტუტგარტი — აინტრახტი 0:2
0:1 გაუდინიო (71), 0:2 ბაინი (83).
ბაიერნი — ჰამბურგი 4:0
1:0 ჰელმერი (40), 2:0 შუპი (63), 3:0 ვალენსია (73), 4:0 შოლი (80).
ლაიპციგი — მიონხენგლადბახი 1:1
0:1 სალუ (66), 1:1 ანდერსი (81 პ).
შალკე — ვერდერი 1:1
1:0 ლუგინგერი (75), 1:1 ჰობში (87).
ვატენშაიდი — დორტმუნდი 1:2
1:0 ლესნიაკი (28), 1:1 ცორკი (69), 1:2 შაპუიზა (76).

XI ტური. 8-9 ოქტომბერი.
კარლსრუე — ლევერკუზენი 2:0
1:0 ბენდერი (23), 2:0 კირიაკოვი (25).
ნიურნბერგი — დინამო 3:0
ვერდერი — დორტმუნდი 4:0
მიონხენგლადბახი — დუისბურგი 4:1
კიოლნი — ბაიერნი 0:4
ჰამბურგი — ვატენშაიდი 2:1
შალკე — ფრაიბურგი 1:3
კაიზერსლაუტერნი — შტუტგარტი 5:0
აინტრახტი — ლაიპციგი 2:1

XII ტური. 15-17 ოქტომბერი.
დინამო — კარლსრუე 1:1
1:0 კრანცი (29), 1:1 კირიაკოვი (42).
ლაიპციგი — კაიზერსლაუტერნი 0:0
დუისბურგი — აინტრახტი 1:0
1:0 პრეეცი (42).
შტუტგარტი — ნიურნბერგი 1:0
1:0 კნუპი (15).
ლევერკუზენი — შალკე 5:1
1:0 კირსტენი (20), 2:0 სერჟიო (22), 3:0 კირსტენი (27), 4:0 სერჟიო (69), 5:0 ტომი (81), 5:1 ანდერბრიუგე (88).
ფრაიბურგი — ვერდერი 0:0
დორტმუნდი — ჰამბურგი 2:1
1:0 ცორკი (49), 2:0 შაპუიზა (52), 2:1 ბერონი (88).
ბაიერნი — მიონხენგლადბახი 3:1
1:0 მათეუსი (3 პ), 2:0 შნაიდერი (40, საკ. კარში), 3:0 ნერლინგერი (45), 3:1 პფლიპსენი (51).
ვატენშაიდი — კიოლნი 2:2
0:1 ბაუმანი (31), 0:2 ლემანი (44), 1:2 ფინკი (70), 2:2 ლესნიაკი (77).

XIII ტური. 22-23 ოქტომბერი.
ვერდერი — ჰამბურგი 0:2
აინტრახტი — ბაიერნი 2:2
1:0 ფურტოკი (31), 1:1 ნერლინგერი (35), 1:2 მათეუსი (44), 2:2 ოკოჩა (63).
კიოლნი — დორტმუნდი 2:0
1:0, 2:0 პოლსტერი (69 პ, 71).
კაიზერსლაუტერნი — დუისბურგი 2:0
1:0 სფორცა (11), 2:0 კადლეცი (85).
ფრაიბურგი — ლევერკუზენი 1:0
1:0 ტოდტი (47).
შალკე — დინამო 0:0
მიონხენგლადბახი — ვატენშაიდი 3:3
1:0 სალუ (12), 1:1 სანე (27), 2:1 სალუ (47), 3:1 პფლიპსენი (74), 3:2 სანე (76), 3:3 ფინკი (89).
ნიურნბერგი — ლაიპციგი 5:0
1:0 გოლკე (9), 2:0 სარატე (36), 3:0 ვუკი (39), 4:0 სუტერი (65), 5:0 კუბიკი (73).
კარლსრუე — შტუტგარტი 0:0

XIV ტური. 29-30 ოქტომბერი.
ჰამბურგი — კიოლნი 2:4
დორტმუნდი — მიონხენგლადბახი 3:0
დინამო — ფრაიბურგი 1:2
შტუტგარტი — შალკე 3:0
ლევერკუზენი — ვერდერი 2:2
ვატენშაიდი — აინტრახტი 0:0
ბაიერნი — კაიზერსლაუტერნი 4:0
დუისბურგი — ნიურნბერგი 1:0
ლაიპციგი — კარლსრუე 1:0



33 წლის ანდრეას ბრემე (კაიზერსლაუტერნი) წელიწადნახევრიანი პაუზის შემდეგ ნაკრებში დააბრუნეს

XV ტური. 5-6 ნოემბერი.
მიონხენგლადბახი — ჰამბურგი 2:2
შალკე — ლაიპციგი 3:1
კაიზერსლაუტერნი — ვატენშაიდი 4:1
კიოლნი — ვერდერი 2:0
ფრაიბურგი — შტუტგარტი 2:1
კარლსრუე — დუისბურგი 5:0
ნიურნბერგი — ბაიერნი 2:0
აინტრახტი — დორტმუნდი 2:0
დინამო — ლევერკუზენი 1:1

XVI ტური. 12-14 ნოემბერი.
ვერდერი — დინამო 0:1
0:1 პენქსა (31).
ვატენშაიდი — ნიურნბერგი 2:1
1:0, 2:0 ხანე (26, 46), 2:1 ნოიჰაუსი (77, საკ.კარში).
ლაიპციგი — ფრაიბურგი 2:2
0:1 კარდოსო (29), 0:2 ცაიერი (41), 1:2, 2:2 ვაიპერტი (60, 79).
შტუტგარტი — ლევერკუზენი 1:4
1:0 სვერისონი (17), 1:1, 1:2 სერჟიო (26, 36), 1:3 შუსტერი (76), 1:4 სერჟიო (79).
დორტმუნდი — კაიზერსლაუტერნი 2:1
0:1 კუნცი (9), 1:1 ცორკი (16), 2:1 შულცი (86).
კიოლნი — მიონხენგლადბახი 0:4
0:1, 0:2 მაქსი (6, 35), 0:3 ვინხოფი (58), 0:4 მაქსი (60).
დუისბურგი — შალკე 1:0
1:0 რეეცი (13).
ბაიერნი — კარლსრუე 1:0
1:0 შტერნკოპფი (50).
ჰამბურგი — აინტრახტი 3:0
1:0 ფონ ჰესენი (47 პ), 2:0 ზასენი (58), 3:0 ბერონი (74).

XVII ტური. 19-21 ნოემბერი.
მიონხენგლადბახი — ვერდერი 3:2
1:0 ნილსენი (12), 1:1, 1:2 რუფერი (31, 37), 2:2 ჰოხშტეტერი (77), 3:2 მაქსი (90).
კარლსრუე — ვატენშაიდი 2:0
1:0 კრიგი (42), 2:0 შმიტი (75).
აინტრახტი — კიოლნი 0:3
0:1 პოლსტერი (62), 0:2 შტაინმანი (65), 0:3 პელდტი (74).
ფრაიბურგი — დუისბურგი 1:2
ლევერკუზენი — ლაიპციგი 3:1
0:1 ჰაიდრიხი (14), 1:1 შუსტერი (57), 2:1, 3:1 კირსტენი (67, 76).
შალკე — ბაიერნი 1:1
0:1 ნერლინგერი (73), 1:1 მულდერი (85).
ნიურნბერგი — დორტმუნდი 0:0
კაიზერსლაუტერნი — ჰამბურგი 3:0
1:0 სფორცა (32), 2:0 კადლეცი (35), 3:0 კუნცი (39).
დინამო — შტუტგარტი 1:0
1:0 მარშალი (90).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აინტრახტი (3) | 17 | 10 | 4 | 3 | 34-19 | 24 |
| ბაიერნი (2) | 17 | 8 | 6 | 3 | 39-18 | 22 |
| დუისბურგი (დ) | 17 | 8 | 6 | 3 | 24-22 | 22 |
| ლევერკუზ. (5) | 17 | 8 | 5 | 4 | 36-24 | 21 |
| კაიზერსლ. (8) | 17 | 9 | 3 | 5 | 34-22 | 21 |
| ჰამბურგი (11) | 17 | 9 | 2 | 6 | 32-27 | 20 |
| ვერდერი (1) | 17 | 7 | 5 | 5 | 28-22 | 19 |
| კიოლნი (12) | 17 | 8 | 3 | 6 | 24-22 | 19 |
| დორტმუნდი (4) | 17 | 7 | 4 | 6 | 24-23 | 18 |
| კარლსრუე (6) | 17 | 5 | 6 | 6 | 21-18 | 16 |
| ფრაიბურგი (დ) | 17 | 5 | 5 | 7 | 28-31 | 15 |
| მ.გლადბახი (9) | 17 | 5 | 5 | 7 | 31-35 | 15 |
| შტუტგარტი (7) | 17 | 4 | 6 | 7 | 22-31 | 14 |
| ნიურნბერ. (13) | 17 | 5 | 3 | 9 | 21-28 | 13 |
| დინამო (15) | 17 | 5 | 6 | 6 | 18-27 | 12 |
| ვატენშ. (14) | 17 | 2 | 7 | 8 | 22-33 | 11 |
| ლაიპციგი (დ) | 17 | 2 | 7 | 8 | 15-33 | 11 |
| შალკე (10) | 17 | 2 | 5 | 10 | 14-32 | 9 |

ბომბარდირები:
შტეფან კუნცი (კაიზერსლ.) — 13
პაულუ სერჟიო (ლევერკუზ.) — 11
სერხიო სარატე (ნიურნბ.) — 10
კარსტენ ბერონი (ჰამბურგი) — 10
ენტონი იებოა (აინტრახტი) — 9
თომას ფონ ჰესენი (ჰამბურგი) — 9

## მეორე წრის კალენდარი

XVIII ტური. 27 ნოემბერი. აინტრახტი — მიონხენგლადბახი, კარლსრუე — დორტმუნდი, ნიურნბერგი — ჰამბურგი, ფრაიბურგი — ბაიერნი, შალკე — ვატენშაიდი, კაიზერსლაუტერნი — კიოლნი, ლევერკუზენი — დუისბურგი, დინამო — ლაიპციგი, შტუტგარტი — ვერდერი.

XIX ტური. 4 დეკემბერი. კიოლნი — ნიურნბერგი, დუისბურგი — დინამო, ვატენშაიდი — ფრაიბურგი, ვერდერი — აინტრახტი, მიონხენგლადბახი — კაიზერსლაუტერნი, ჰამბურგი — კარსლრუე, ბაიერნი — ლევერკუზენი, ლაიპციგი — შტუტგარტი, დორტმუნდი — შალკე.

XX ტური. 11 დეკემბერი. ლაიპციგი — ვერდერი, კარლსრუე — კიოლნი, ლევერკუზენი — ვატენშაიდი, შალკე — ჰამბურგი, შტუტგარტი — დუისბურგი, ნიურნბერგი — მიონხენგლადბახი, ფრაიბურგი — დორტმუნდი, კაიზერსლაუტერნი — აინტრახტი, დინამო — ბაიერნი.

XXI ტური. 12 თებერვალი. ჰამბურგი — ფრაიბურგი, მიონხენგლადბახი — კარლსრუე, დუისბურგი — ლაიპციგი, დორტმუნდი — ლევერკუზენი, კიოლნი — შალკე, აინტრახტი — ნიურნბერგი, ვერდერი — კაიზერსლაუტერნი, ვატენშაიდი — დინამო, ბაიერნი — შტუტგარტი.

XXII ტური. 19 თებერვალი. შალკე — მიონხენგლადბახი, დუისბურგი — ვერდერი, ნიურნბერგი — კაიზერსლაუტერნი, კარლსრუე — აინტრახტი, შტუტგარტი — ვატენშაიდი, ლაიპციგი — ბაიერნი, დინამო — დორტმუნდი, ლევერკუზენი — ჰამბურგი, ფრაიბურგი — კიოლნი.

XXIII ტური. 26 თებერვალი. კაიზერსლაუტერნი — კარლსრუე, ვერდერი — ნიურნბერგი, კიოლნი — ლევერკუზენი, მიონხენგლადბახი — ფრაიბურგი, აინტრახტი — შალკე, ვატენშაიდი — ლაიპციგი, ბაიერნი — დუისბურგი, დორტმუნდი — შტუტგარტი, ჰამბურგი — დინამო.

XXIV ტური. 5 მარტი. ლაიპციგი — დორტმუნდი, ლევერკუზენი — მიონხენგლადბახი, კარლსრუე — ნიურნბერგი, დუისბურგი — ვატენშაიდი, დინამო — კიოლნი, ფრაიბურგი — აინტრახტი, შტუტგარტი — ჰამბურგი, შალკე — კაიზერსლაუტერნი, ბაიერნი — ვერდერი.

XXV ტური. 12 მარტი. კაიზერსლაუტერნი — ფრაიბურგი, კიოლნი — შტუტგარტი, ჰამბურგი — ლაიპციგი, ნიურნბერგი — შალკე, ვერდერი — კარლსრუე, ვატენშაიდი — ბაიერნი, დორტმუნდი — დუისბურგი, აინტრახტი — ლევერკუზენი, მიონხენგლადბახი — დინამო.

XXVI ტური. 19 მარტი. დინამო — აინტრახტი, შალკე — კარლსრუე, დუისბურგი — ჰამბურგი, შტუტგარტი — მიონხენგლადბახი, ვატენშაიდი — ვერდერი, ბაიერნი — დორტმუნდი, ფრაიბურგი — ნიურნბერგი, ლევერკუზენი — კაიზერსლაუტერნი, ლაიპციგი — კიოლნი.

XXVII ტური. 26 მარტი. კაიზერსლაუტერნი — დინამო, კიოლნი — დუისბურგი, აინტრახტი — შტუტგარტი, მიონხენგლადბახი — ლაიპციგი, ნიურნბერგი — ლევერკუზენი, ჰამბურგი — ბაიერნი, კარლსრუე — ფრაიბურგი, ვერდერი — შალკე, დორტმუნდი — ვატენშაიდი.

XXVIII ტური. 2 აპრილი. დორტმუნდი — ვერდერი, ლევერკუზენი — კარლსრუე, დინამო — ნიურნბერგი, ვატენშაიდი — ჰამბურგი, ბაიერნი — კიოლნი, დუისბურგი — მიონხენგლადბახი, შტუტგარტი — კაიზერსლაუტერნი, ფრაიბურგი — შალკე, ლაიპციგი — აინტრახტი.

XXIX ტური. 5-6 აპრილი. კიოლნი — ვატენშაიდი, კარლსრუე — დინამო, აინტრახტი — დუისბურგი, შალკე — ლევერკუზენი, ვერდერი — ფრაიბურგი, ჰამბურგი — დორტმუნდი, მიონხენგლადბახი — ბაიერნი, ნიურნბერგი — შტუტგარტი, კაიზერსლაუტერნი — ლაიპციგი.

XXX ტური. 9 აპრილი. დუისბურგი — კაიზერსლაუტერნი, ვატენშაიდი — მიონხენგლადბახი, ლაიპციგი — ნიურნბერგი, დინამო — შალკე, ბაიერნი — აინტრახტი, ლევერკუზენი — ფრაიბურგი, შტუტგარტი — კარლსრუე, ჰამბურგი — ვერდერი, დორტმუნდი — კიოლნი.

XXXI ტური. 16 აპრილი. ფრაიბურგი — დინამო, კიოლნი — ჰამბურგი, მიონხენგლადბახი — დორტმუნდი, შალკე — შტუტგარტი, ვერდერი — ლევერკუზენი, აინტრახტი — ვატენშაიდი, კაიზერსლაუტერნი — ბაიერნი, ნიურნბერგი — დუისბურგი, კარლსრუე — ლაიპციგი.

XXXII ტური. 23 აპრილი. ჰამბურგი — მიონხენგლადბახი, ვატენშაიდი — კაიზერსლაუტერნი, ლაიპციგი — შალკე, ვერდერი — კიოლნი, შტუტგარტი — ფრაიბურგი, დუისბურგი — კარლსრუე, ბაიერნი — ნიურნბერგი, ლევერკუზენი — დინამო, დორტმუნდი — აინტრახტი.

XXXIII ტური. 30 აპრილი. კაიზერსლაუტერნი — დორტმუნდი, შალკე — დუისბურგი, დინამო — ვერდერი, მიონხენგლადბახი — კიოლნი, ლევერკუზენი — შტუტგარტი, აინტრახტი — ჰამბურგი, კარლსრუე — ბაიერნი, ნიურნბერგი — ვატენშაიდი, ფრაიბურგი — ლაიპციგი.

XXXIV ტური. 7 მაისი. ვატენშაიდი — კარლსრუე, ვერდერი — მიონხენგლადბახი, კიოლნი — აინტრახტი, დუისბურგი — ფრაიბურგი, ჰამბურგი — კაიზერსლაუტერნი, დორტმუნდი — ნიურნბერგი, ბაიერნი — შალკე, ლაიპციგი — ლევერკუზენი, შტუტგარტი — დინამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# Champions League


# სარბიელი

23 ნოემბერი, 1993 სპეცგამოშვება № 1




## A

«ბარსელონა»

«მონაკო»

«სპარტაკი»

«გალათასარაი»

## B

«ვერდერი»

«ანდერლეხტი»

«მილანი»

«პორტო»

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სუპერლიგა – სუპერკლუბთა ოცნება

1991 წლის აპრილში ლონდონში გამართულ უეფა-ს ალმასკომზე ევროპის ჩემპიონთა თასის რეფორმას მწვანე შუქი აუნთეს: გადაწყდა, რომ უკვე 1991-92 გათამაშებაში მხოლოდ სამი ეტაპი — მეთექვსმეტედფინალი, მერვედფინალი და ფინალი, ჩატარდებოდა ტრადიციული მეთოდით, მეოთხედფინალისა და ნახევარფინალის მაგივრად რვა უძლიერესი კლუბი ორ ჯგუფად განაწილდებოდა და წრიულ ტურნირში ფინალისტებს გაარკვევდა. ამ ისტორიულ ალმასკომზე ევროპის მდიდარი კლუბების მეპატრონეთა დიდი ხნის ოცნება ახდა.

...უეფა ამჯერადაც ქკვიანურად მოიქცა. ამ ორგანიზაციაში კარგად ესმოდათ — რომ არა ეს რეფორმა, მალე ჩემპიონთა თასი მეორეხარისხოვან ტურნირად იქცეოდა. ევროპის სუპერკლუბთა მფლობელები უკვე კარგა ხანია, რაც თავიანთი კლუბებისთვის განსაკუთრებულ, ელიტარულ ლიგაზე ფიქრობდნენ და არა მარტო ფიქრობდნენ — იყო ბევრი წინადადება, იქმნებოდა საინიციატივო ჯგუფები, შეისწავლეს რიგი პროექტები და სხვა. 1990 წელს სპორტულ პრესაში გამოქვეყნდა სუპერლიგის წინასწარი ვარიანტი, რომელიც, თუ მოიწონებდნენ, 1993 წლიდან ამოქმედდებოდა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ მადრიდის „რეალი“ და იტალიის „მილანი“ (რასაკვირველია, მილიონერი რამონ მენდოსას და სილვიო ბერლუსკონის სახით). მათთან ერთად ახალ იდეაზე ბევრი კლუბი ფიქრობდა. ძლიერ და მდიდარ გუნდებს მოსწყინდათ „მეორეხარისხოვან“, ანდა მთლად „პაწაწინა“ გუნდებთან თამაში, როცა ბლომად ფულს ვერ იშოვი. მათ ყელში ამოუვიდათ კენჭისყრა, რომელიც ხშირად სუპერკლუბებს ერთმანეთს პირველივე ეტაპებზე ახვედრებდა. პრობლემა კიდევ ერთი იყო: სათასო სისტემა შემთხვევითობას არ გამორიცხავს, ამიტომ წრიული ტურნირი იყო საჭირო, მის ჩასატარებლად კი ყველა გუნდი საკუთარი ეროვნული ჩემპიონატიდან უნდა გამოსულიყო. უეფა-ს კარგად ესმოდა სუპერლიგის პლიუსები, თუმცა აფრთხილებდა კლუბებს, რომ ნებისმიერი წინადადება ევროთასების სტრუქტურის შეცვლის შესახებ ეროვნული ფედერაციებიდან უნდა შემოსულიყო. პირველმა და ლონდონის ალმასკომამდე ერთადერთმა ეს ჰოლანდიის ფედერაციამ გააკეთა.

ლონდონის სხდომაზე, მართალია, სუპერლიგა არ შექმნილა, მაგრამ რეფორმის შედეგად მიღებული ნახევარფინალური ჯგუფები „მინი-სუპერლიგად“ მოინათლა. თანაც ბერლუსკონის და მენდოსას სუპერლიგისგან განსხვავებით, „მინი სუპერლიგაში“ მოხვედრის შანსი „პატარა“ კლუბებსაც ჰქონდათ. რასაკვირველია, უეფა მათ გვერდს ვერ აუვლიდა. როგორც ლიგის მომავალმა დაგვანახა, მასში ყოველთვის ხვდება თითო-ოროლა არასუპერკლუბი. ბედის ირონიაა, რომ ჩემპიონთა თასის გარდაქმნა სწორედ იმ წელს მოხდა, როცა მისი ერთ-ერთი ინიციატორი „მილანი“ უეფა-ს მიერ ერთი წლით დისკვალიფიცირებული იყო. ბედის დაცინვაა ისიც, რომ ლონდონში მიღებული გადაწყვეტილებით შექმნილ ჩემპიონთა ლიგაში ვერა და ვერ ხვდება ინგლისის ჩემპიონი: 1991 წელს „არსენალმა“ სტუმრად 1:1-ის შემდეგ შინ წააგო „ბენფიკასთან“ 1:3, შარშან „ლიდს იუნაიტედმა“ ლიგაში გზა „გლაზგო რეინჯერსს“ დაუთმო 1:2, 1:2, წლეულს კი „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ვერაფერი გააწყო სტამბოლის „გალათასარაისთან“ 3:3, 0:0. ასევეა ლიგის კიდევ ერთი „ფუძემდებელი“ მადრიდის „რეალი“, რომელიც მას მერე, რაც მისი იდეა რეალობად იქცა, ლიგას ვინ ჩივის, ესპანეთის ჩემპიონი ველარ გამხდარა.

ლიგის სამწლიანი ისტორიის მანძილზე უეფა-მ უკვე საკმაო ცვლილებები შეიტანა მისი ჩატარების ორგანიზაციაში. პირველ გათამაშებაში აუცილებელი არ იყო ერთსადაიმავე დღეს თამაში და ზოგი მატჩი ხუთშაბათობითაც კი იმართებოდა. შარშან ლიგას „ჩემპიონთა ლიგა“ ეწოდა, თამაშები ერთ დროს იწყებოდა და წინ ერთგვარი შოუც უძღვებოდა. წლეულს კი „მილანის“ შარშანდელი „სეირნობის“ შემხედვარე უეფა-მ, ბრძოლა რომ ბოლო ტურამდე შეენარჩუნებინა, ნახევარფინალები დააბრუნა, ოღონდ ჯგუფში გამარჯვებულს ხომ უნდა ჰქონდეს უპირატესობაო და მატჩი სწორედ ჯგუფში პირველ ადგილზე გასული გუნდის მოედანზე ჩატარდება.

...ყოველ ქულაზე გაცემული შვეიცარული ფრანკების რაოდენობა კი იზრდება და იზრდება!



ხრისტო სტოიჩკოვს და ჟან-პიერ პაპენს მაისურები გაუცვლიათ.
წლევანდელ ფინალში უმრავლესობა „ბარსელონა“ — „მილანის“ ორთაბრძოლას ელის.

| A | 1 | 2 | 3 | 4 | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | | | | | | | | | |
| მონაკო | | | | | | | | | |
| სპარტაკი | | | | | | | | | |
| გალათასარაი | | | | | | | | | |

**24 ნოემბერი:** „მონაკო“ — „სპარტაკი“, „გალათასარაი“ — „ბარსელონა“, **8 დეკემბერი:** „ბარსელონა“ — „მონაკო“, „სპარტაკი“ — „გალათასარაი“, **2 მარტი:** „სპარტაკი“ — „ბარსელონა“, „მონაკო“ — „გალათასარაი“; **16 მარტი:** „ბარსელონა“ — „სპარტაკი“, „გალათასარაი“ — „მონაკო“, **30 მარტი:** „სპარტაკი“ — „მონაკო“, „ბარსელონა“ — „გალათასარაი“, **13 აპრილი:** „მონაკო“ — „ბარსელონა“, „გალათასარაი“ — „სპარტაკი“.
**27 აპრილი:** ნახევარფინალები. **18 მაისი:** ფინალი.

| B | 1 | 2 | 3 | 4 | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვერდერი | | | | | | | | | |
| ანდერლეხტი | | | | | | | | | |
| მილანი | | | | | | | | | |
| პორტუ | | | | | | | | | |

**24 ნოემბერი:** „ანდერლეხტი“ — „მილანი“, „პორტუ“ — „ვერდერი“, **8 დეკემბერი:** „ვერდერი“ — „ანდერლეხტი“, „მილანი“ — „პორტუ“, **2 მარტი:** „მილანი“ — „ვერდერი“, „ანდერლეხტი“ — „პორტუ“; **16 მარტი:** „ვერდერი“ — „მილანი“, „პორტუ“ — „ანდერლეხტი“, **30 მარტი:** „მილანი“ — „ანდერლეხტი“, „ვერდერი“ — „პორტუ“, **13 აპრილი:** „ანდერლეხტი“ — „ვერდერი“, „პორტუ“ — „მილანი“.
**27 აპრილი:** ნახევარფინალები. **18 მაისი:** ფინალი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ჩემპიონთა ლიგის წლევანდელ გათამაშებაში მონაწილე რვავე გუნდის ურთიერთშეხვედრების ნუსხა. მართალია თანამედროვე ეტაპზე ისტორიული ციფრები ნაკლებ გავლენას ახდენს, მაგრამ პროგნოზების მოყვარულთ ეს ცხრილიც გამოადგებათ. ყველაზე ნაკლები ურთიერთობა „ლიგელ პარტნიორებთან“ „მონაკოს“ ჰქონია — მხოლოდ ორი და ორივე მარცხიანი. ასევე ყოველთვის აგებდა ამ გუნდებთან მოსკოვის „სპარტაკიც“. ლიდერად კი „ანდერლეხტი“ შეიძლება ჩაითვალოს: სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ეტაპზე ბელგიელები შვიდჯერ შეხვედრიან წლევანდელი სეზონის დანარჩენ შვიდ უძლიერეს გუნდს და მხოლოდ ერთხელ, ისიც პენალტებით სერიით გამოვარდნილან. საინტერესოა, რომ ევროთასებზე მრავალწლიანი თამაშის მიუხედავად, „ბარსელონა“ არასდროს შეხვედრია ჯგუფში მეტოქეებს: „სპარტაკს“, „მონაკოსა“ და „გალათასარაის“. აი „მილანი“ და „პორტუ“ კი ჩემპიონთა ლიგაში ერთმანეთს ზედიზედ მეორედ ხვდებიან.

| | ბარსელონა | მონაკო | სპარტაკი | გალათასარაი | ვერდერი | ანდერლეხტი | მილანი | პორტუ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | | | | | | 78-79 თთ 1/8 0:3,3:0<br>89-90 თთ 1/8 0:2,2:1 | 59-60 ჩთ 1/8 2:0,5:1 | 72-73 უთ 1/32 1:3,0:1<br>85-86 ჩთ 1/8 2:0,1:3 |
| მონაკო | | | | 88-89 ჩთ 1/4 0:1,1:1 | 91-92 თთ ფ 0:2 | | | |
| სპარტაკი | | | | | 87-88 უთ 1/16 4:1,2:6 | 83-84 უთ 1/4 2:4,1:0 | 72-73 თთ 1/4 0:1,1:1<br>75-76 უთ 1/8 0:4,2:0 | |
| გალათასარაი | | 88-89 ჩთ 1/4 1:0,1:1 | | | 91-92 თთ 1/4 1:2,0:0 | 76-77 თთ 1/8 1:5,1:5 | 62-63 ჩთ 1/4 1:3,0:5 | |
| ვერდერი | | 91-92 თთ ფ 2:0 | 87-88 უთ 1/16 1:4,6:2 | 91-92 თთ 1/4 2:1,0:0 | | 84-85 უთ 1/32 0:1,2:1 | 88-89 ჩთ 1/4 0:0,0:1 | |
| ანდერლეხტი | 78-79 თთ 1/8 3:0,0:3<br>89-90 თთ 1/8 2:0,1:2 | | 83-84 უთ 1/4 4:2,0:1 | 76-77 თთ 1/8 5:1,5:1 | 84-85 უთ 1/32 1:0,2:1 | | | 77-78 თთ 1/4 0:1,3:0<br>82-83 უთ 1/16 4:0,2:3 |
| მილანი | 59-60 ჩთ 1/8 0:2,1:5 | | 72-73 თთ 1/4 1:0,1:1<br>75-76 უთ 1/8 4:0,0:2 | 62-63 ჩთ 1/4 3:1,5:0 | 88-89 ჩთ 1/4 0:0,1:0 | | | 79-80 ჩთ 1/16 0:0,0:1<br>92-93 ჩლ 1:0,1:0 |
| პორტუ | 72-73 უთ 1/32 3:1,1:0<br>85-86 ჩთ 1/8 0:2,3:1 | | | | | 77-78 თთ 1/8 1:0,0:3<br>82-83 უთ 1/16 0:4,3:2 | 79-80 ჩთ 1/16 0:0,1:0<br>92-93 ჩლ 0:1,0:1 | |

OFFICIAL SPONSORS OF THE CHAMPIONS LEAGUE · OFFICIAL SPONSORS OF THE CHAMPIONS LEAGUE
Ford NIKE PHILIPS SNICKERS Ford NIKE PHILIPS SNICKERS

# «ბარსელონა»

## ესპანეთი

### Futbol Club Barcelona

დაარსდა 20.11.1899
სტადიონი Nou Camp — 115 000 (107X72)

ესპანეთის ჩემპიონი — (13) 1929, 1945, 1948, 1949, 1952, 1953, 1959, 1960, 1974, 1985, 1991, 1992, 1993
II პრიზიორი — (18) 1930, 1946, 1954, 1955, 1956, 1962, 1964, 1967, 1968, 1971, 1973, 1976, 1977, 1978, 1982, 1986, 1987, 1989
III პრიზიორი — (10) 1932, 1943, 1957, 1958, 1966, 1969, 1972, 1975, 1984, 1990
თასის მფლობელი — (22) 1910, 1912, 1913, 1920, 1922, 1925, 1926, 1928, 1942, 1951, 1952, 1953, 1957, 1959, 1963, 1968, 1971, 1978, 1981, 1983, 1988, 1990
ფინალისტი — (6) 1932, 1936, 1954, 1974, 1984, 1986
ჩემპიონთა თასის მფლობელი — 1992
ფინალისტი — 1961, 1986
თასების თასის მფლობელი — 1979, 1982, 1989
ფინალისტი — 1969, 1991
უეფას თასის მფლობელი — 1958, 1960, 1966
ფინალისტი — 1962
სუპერთასის მფლობელი — 1992

**მწვრთნელი — იოჰან კრუიფი**

ევროტურნირებზე:
პირველ გრაფაში ორთაბრძოლათა რაოდენობა, ბოლოში — საბოლოო გამარჯვებათა ბალანსი. ფრჩხილებში — მონაცემები ჩემპიონთა თასისთვის.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგ. | 3(0) | 7(0) | 2(0) | 3(0) | 2(0) | 9(0)-11(0) | 0 |
| რუსეთთი | 2(1) | 4(2) | 1(0) | 2(1) | 1(1) | 5(3)-4(4) | +1(0) |
| თურქეთი | 1(0) | 2(0) | 1(0) | 0 | 1(0) | 7(0)-3(0) | +1(0) |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩ.თ. | 7 | 54 | 30 | 11 | 13 | 101-51 |
| თ.თ. | 12 | 76 | 45 | 14 | 17 | 164-82 |
| უ.თ. | 19 | 122 | 60 | 27 | 35 | 229-141 |
| სულ | 38 | 252 | 135 | 52 | 65 | 494-274 |

წლევანდელ ჩემპიონთა თასზე:
1/16 დინამო (კიევი, უკრაინა) 1:3 (კუმანი), 4:1 (ბაკერო-2, ლაუდრუპი, კუმანი)
1/8 აუსტრია (ვენა, ავსტრია) 3:0 (კუმანი-2, ესტებარანსი), 2:1 (სტოიჩკოვი-2)

სულ: 1959-60 1/2, 60-61 ფ, 74-75 1/2, 85-86 ფ, 91-92 თ, 92-93 1/8

# «მონაკო»

## საფრანგეთი

### Association Sportive de Monaco

დაარსდა 1924
სტადიონი Louis II — 20 000 (100X70)

საფრანგეთის ჩემპიონი — (5) 1961, 1963, 1978, 1982, 1988
II პრიზიორი — (3) 1964, 1984, 1991, 1992
III პრიზიორი (5) 1956, 1958, 1985, 1992
თასის მფლობელი (5) 1960, 1963, 1980, 1985, 1991
ფინალისტი (3) 1974, 1984, 1989
ჩემპიონთა თასზე საუკეთესო შედეგი 1/4 1988-89
თასების თასის ფინალისტი 1992
უეფას თასზე საუკეთესო შედეგი 1/8 1990-91

**მწვრთნელი — არსენ ვენ გერი**

ევროტურნირებზე:

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 2(0) | 4(0) | 0 | 2(0) | 2(0) | 3(0)-5(0) | +1(0) |
| რუსეთი | 1(0) | 2(0) | 0 | 0 | 2(0) | 2(0)-4(0) | 0 |
| თურქეთი | 1(1) | 2(2) | 0 | 1(1) | 1(1) | 1(1)-2(2) | 0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩ.თ. | 6 | 22 | 6 | 5 | 11 | 31-26 |
| თ.თ. | 6 | 27 | 8 | 13 | 6 | 32-27 |
| უ.თ. | 4 | 14 | 6 | 2 | 6 | 23-23 |
| სულ | 16 | 63 | 20 | 20 | 23 | 86-76 |

წლევანდელ ჩემპიონთა თასზე:
1/16 აეკ (საბერძნეთი) 1:0 (ვლახოსი, საკ.კარში), 1:1 (ჟორკაეფი)
1/8 სტიაუა (რუმინეთი) 4:1 (იკპება-2, კლინსმანი-2), 0:1

სულ: 1961-62 1/16, 63-64 1/8, 78-79 1/16, 82-83 1/16, 88-89 1/4

## ეს მესამედ უნდა მომხდარიყო

მარტო ის რად ღირს, რომ 1991 წლიდან, როცა ჩემპიონთა თასზე ლიგა შეიქმნა, ესპანეთში „ბარსელონა" უცვლელად ჩემპიონობს და დაუძინებელი მტერი მადრიდის „რეალი" საოცნებო ლიგას ერთხელაც არ მიაკარა. ეს უკვე „ბარსას" დიდი გამარჯვებაა! ეს რომ ასე არ ყოფილიყო, შარშან მერვედფინალში მოსკოვის არმიელებთან განცდილი მარცხის შემდეგ ალბათ ნახევარ გუნდს მწვრთნელის თამადობით უმალ გარიცხავდნენ. არადა, მოსკოვში 1:1 ფრეს შემდეგ კატალონელები შინ 2:0-ს იგებდნენ და როგორც ჟურნალისტები აღნიშნავენ, ფაქტიურად თამაშს თავი მიანებეს და სასტიკადაც დაისაჯნენ. რომ არა ის დაუდევრობა, ახლა „ბარსა" ერთადერთი გუნდი იქნებოდა, ვინც ლიგის სამწლიან ისტორიაში მასში სამჯერვე შევიდოდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ამჯერად კრუიფის გუნდი მეორედ ჩაებმება ლიგის ტურნირში და თუ ამ კლუბისთვის დამახასიათებელ განმეორებების სიყვარულს გავითვალისწინებთ, წლეულს სწორედ „ბარსელონამ" უნდა ჩაიბაროს მორიგი ჩემპიონთა თასი. განმეორებები კი, იცოცხლეთ, „ბარსას" ცხოვრებაში ხშირად ხდება. თუნდაც ბოლო ორი ფაქტი გავიხსენოთ: ბოლო ორი წელია ჩემპიონობას ბოლო ტურში აღწევს და ორივეჯერ „რეალის" სანტა-კრუს-დე ტენერიფეში წაგების წყალობით. წინა და ამჟამად მიმდინარე ჩემპიონატებში კი ორი მართლაც ისეთი დამთხვევა მოხდა, ძნელად რომ წარმოიდგენს კაცი: შარშანაც და ახლაც „ბარსელონამ" პირველი მარცხი მეშვიდე ტურში იწვნია, მაშინაც და ახლაც ეს „ლაკორუნიასთან" მოხდა, ორივეჯერ მასპინძლებმა 1:0 მოიგეს და ორივეჯერ გოლი ბრაზილიელმა ბებეტომ გაიტანა, ოღონდ ამჯერად „დაგეგმილზე" ათი წუთით ადრე — 63-ე წუთის მაგივრად 53-ეზე.

კლუბის მთავარი ღირსება თითქმის უცვლელი, იდეალურად შეთამაშებული შემადგენლობაა. კრუიფს არც ჯერ კიდევ ფეხბურთელობის დროს ემლებოდა ბევრი რამ და არც ახლა აბრალებენ მას ზოგიერთ ჩავარდნას. ჩავარდნაც არაა „ბარსასთვის" უცხო ხილი. თუნდაც მადრიდის „ატლეტიკოსთან" ამასწინანდელი წაგება რად ღირს, როცა 3:0-ის შემდეგ სუბისარეტას მადრიდელებმა ოთხი გაუტანეს და მოიგეს. ამ თამაშის შემდეგ სუბისარეტა კარლოს ბუსკეტსმა შეცვალა, თუმცა ვერც მან ისახელა თავი და „ტენერიფესთან" გასვლით მატჩში ორი კურიოზული ბურთი გაუშვა. წლევანდელი სეზონის დასაწყისში კიდევ ერთი პრობლემა წარმოიშვა ეინდჰოვენიდან რომარიოს გადმოსვლით. ამან სტოიჩკოვის არც თუ ისე ხშირი თამაში გამოიწვია, თუმცა ახლა ყველაფერი დალაგდა და ორივე თავდამსხმელი ერთად თამაშობს.

ბოლო ტურში „ბარსელონამ" კვლავ სენსაციური მარცხი განიცადა შინ ბოლო ადგილზე მყოფ „ლერიდასგან" — 0:1. მართალია, ამ წაგებას გამართლება არა აქვს, მაგრამ მაინც გავიხსენოთ, რომ ამ მატჩამდე სამი დღით ადრე „ბარსას" 6 ფეხბურთელი ეროვნულ ნაკრებს დანიელებთან მოგებაში ეხმარებოდა, თანაც „ლერიდას" კარში რომარიომ პენალტი ვერ გაიტანა.

12 ტურში „ბარსელონას" 22 გოლი აქვს გატანილი და 12 გაშვებული. ნახევარზე მეტი (12) რომარიომ შეაგდო, 5 — ბეგირისტაინმა, 3 — სტოიჩკოვმა და თითო-თითოც — ბაკერომ და ესტაბარანსმა.



ხრისტო სტოიჩკოვი

## კარგია შემთხვევით მოხვედრა?

მას შემდეგ, რაც „მონაკომ" წლევანდელი ჩემპიონთა თასის პირველი ორი ეტაპი წარმატებით განვლო და უძლიერესთა ლიგაში მოხვდა, ალბათ უპრიანი იქნება ჩემპიონთა ლიგას სახელი შეეცვალოს და „ჩემპიონთა და ხანდახან არაჩემპიონთა ლიგა" ეწოდოს. „მონაკო" ხომ საფრანგეთის ბოლო ჩემპიონატში მესამე ადგილზე გავიდა და მხოლოდ „მარსელის" გაძევების შემდეგ მოხვდა ჩემპიონთა თასზე. ასე რომ, ვის და რას წარმოადგენს ეს კლუბი, კაცმა არ იცის — იგი არც ჩემპიონია და თუ სიმართლეს ვიტყვით, არც ფრანგული კლუბია: მონაკო ხომ მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე ცალკე ერთეულია.

...საფრანგეთის პირველ დივიზიონში „მონაკო" პირველად 1953-54 სეზონში გამოჩნდა, ორიოდ წელიწადში ბრინჯაოს პრიზიორი გახდა, 1961-ში კი პირველად მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონობა. ნებისმიერი კლუბის ბიოგრაფია არა მარტო ქულები და პრიზებია, არამედ მასში მოთამაშე ფეხბურთელებიც. სხვადასხვა დროს „მონაკოს" მაისური ეცვათ ისეთ ფეხბურთელებს, როგორებიცაა მანუელ ამორო და ანრი ბიანშერი (ახლანდელი ტექნიკური დირექტორი), ფ[illegible]ანზიანი და პატრიკ ბატისტონი, ალენ კურიოლ[illegible] და დანიელ ბრავო, ბერნარ ჟენგინი და მიშელ იდ[illegible], ივონ ლე რუ და ფრანკ სოზე, რუი ბარუში და [illegible]ან დიასი. გუნდის ახლანდელ შემადგენლობაში [illegible]ვლად არიან ვარსკვლავები, რომლებსაც არაე[illegible]ხელ უთამაშიათ საფრანგეთის თუ სხვა ქვე[illegible]ბის ეროვნულ ნაკრებებში. ეს უპირველესად კლი[illegible]მანსა და შიფოს ეხება. ყველაზე ერთგული კი 38 წლის მეკარე ჟან-ლუკ ეტორია.

საფრანგეთის ჩემპიონატის წლევანდელ გათამაშებაში გუნდი თითქმის შარშანდელი გრაფიკით მიდის და 18 ტურის შემდეგ „ჩვეულ" მესამე ადგილზეა. თუ ცალკეულ რგოლებს ავიღებთ, თავდასხმა [illegible] სჯაბნის დაცვას. თავად გა[illegible]ჯეთ: გატანილი ბურთებით (30) გუნდი ამჟამად პირველ ადგილზეა, გაშვებულით კი — მეთერთმეტეზე (!). „მონაკო" არც „ჩავარდნებს" ერიდება. მაგალითად, მე-13 ტურში გუნდმა სტუმრად „ოსერთან" 0:4 დათმო. თუმცა „ოსერი" მისთვის ყველაზე უხერხულ მეტოქედ ითვლება (შარშან თითქმის ისეთივე ანგარიში იყო — 1:4). მიზეზად შეიძლება შიფოს, სონორისა და ლუის ენრიკეს ხშირი ტრავმები მოვიყვანოთ. ალბათ, არც კლინსმანია ჩვეულ ფორმაში ამასწინდელი ტრავმის შემდეგ. სულ გატანილი 30 გოლი რვა ფეხბურთელზე მოდის: ჟორკაეფი — 10, იკპება — 5, კლინსმანი და სიმბა — 4-4, შიფო — 3, დიუმა, ნიაკო და სონორი — 1-1. ერთიც საკუთარ კარში ლიონელმა ფლაშეზემ გაიტანა.

მოსკოვის „სპარტაკამდე" ჩატარებულ ბოლო ორ მატჩში „მონაკომ" სამი ქულა მოაგროვა: გასვლაზე მოუგო „კანს" 2:0 (დიუმა, ჟორკაეფი), გასულ კვირას კი შინ გია გურულის „ლე ავრი" ვერ დაამარცხა — 1:1. მართალია, 77-ე წუთზე სიმბამ გახსნა ანგარიში, მაგრამ საფინალო სასტვენამდე 8 წუთით ადრე სტუმრებმა ქულა წაილეს. ამ შეხვედრაში „მონაკომ" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ეტორი, ვალერი (შიფო, 62), ტიურამი, დიუმა, სონორი, პიუელი, ნიაკო, პერესი, ჟორკაეფი, კლინსმანი, იკპება (სიმბა, 62).

გახსოვთ ალბათ, იუგოსლავიის მაგივრად ბოლო მომენტში დაშვებულმა დანიის ნაკრებმა როგორ ითამაშა 1992 წლის ევროპის ჩემპიონატზე. ვითომ „მონაკოც" გაიმეორებს დანიელთა წარმატებას?



იურგენ კლინსმანი

### შემადგენლობა

მეკარეები
ანდონი სუბისარეტა ........ 23.10.61
კარლოს ბუსკეტსი ........ 19.07.67
ხესუს მარიანო ანგოი ........ 22.05.66
მცველები
ალბერტ ფერერი ........ 06.06.70
რონალდ კუმანი ........ 21.03.63
ხუან კარლოსი ........ 19.01.65
პაბლო ........ 26.04.69
მიგელ სოლერი ........ 13.03.65
ნახევარმცველები
ეუსებიო ........ 13.04.64
ხოსე მარია ბაკერო ........ 11.02.63
გილერმო ამორი ........ 04.12.67
ხოსე გვარდიოლა ........ 18.01.71
მიგელ ანხელ ნადალი ........ 28.07.66
ოსკარი ........ 26.04.73
ივანი ........ 16.12.71
გორან ვუჩევიჩი ........ 28.05.71
თავდამსხმელები
აიტორ ბეგირისტაინი ........ 12.08.64
ხრისტო სტოიჩკოვი ........ 08.02.66
მიქაელ ლაუდრუპი ........ 15.06.64
ხულიო სალინასი ........ 11.09.62
ხუან ანტონიო გოიკოეჩეა ........ 21.10.65
რომარიო ........ 29.01.66
კიკე ესტებარანსი ........ 06.10.65
ხავი ........ 01.10.69
ტომას კრისტიანსენი ........ 11.03.73

### შემადგენლობა

მეკარეები
მარკ დელაროში ........ 18.04.71
ჟან-ლუკ ეტორი ........ 29.07.55
მცველები
პატრიკ ბლონდო ........ 27.01.68
ფრანკ დიუმა ........ 01.09.68
ჟილ გრიმანდი ........ 11.11.70
ერვან მანაში ........ 02.10.71
ემანუელ პეტი ........ 22.09.70
ლუკ სონორი ........ 15.09.72
ლილიან ტიურამი ........ 01.01.72
პატრიკ ვალერი ........ 03.07.69
ნახევარმცველები
იური ჟორკაეფი ........ 09.03.68
ჟერომ ნიაკო ........ 17.02.68
კრისტიან პერესი ........ 13.05.63
კლოდ პიუელი ........ 02.02.61
ვინჩენცო შიფო ........ 19.02.66
ლორან ვიო ........ 08.10.69
თავდამსხმელები
სირილ გრანონი ........ 21.02.72
ლუის ენრიკე ........ [illegible]
ვიქტორ იკპება ........ [illegible].73
იურგენ კლინსმანი ........ [illegible].07.64
ამარა სიმბა ........ [illegible].12.61

OFFICIAL SPONSORS OF THE CHAMPIONS LEAGUE
Ford NIKE PHILIPS SNICKERS Ford NIKE PHILIPS SNICKERS

ეროვნული ბიბლიოთეკა

# «სპარტაკი»

## მოსკოვი, რუსეთი

**Futbolni Club Spartak Moskva**

დაარსდა 1922
ცენტრალური სტადიონი „ლუჟნიკი“ — 102 [illegible]

რუსეთის ჩემპიონი (2) 1992, 1993

II პრიზიორი არ ყოფილა

III პრიზიორი არ ყოფილა

თასის მფლობელი არ ყოფილა

ფინალისტი არ ყოფილა

ჩემპიონთა თასზე საუკეთესო შედეგი 1/2 1990-91

თასების თასზე საუკეთესო შედეგი 1/2 1992-93

უეფას თასზე საუკეთესო შედეგი 1/4 1983-84

მწვრთნელი: ოლეგ რომანცევი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 4(2) | 8(4) | 2(1) | 3(2) | 3(1) | 8(3)-10(3) | +2(1) |
| საფრანგ. | 3(1) | 6(2) | 1(0) | 1(0) | 4(2) | 9(2)-11(5) | +1(0) |

თურქეთის კლუბებთან არ უთამაშია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩ.თ. | 5 | 24 | 12 | 5 | 7 | 45-22 |
| თ.თ. | 3 | 18 | 10 | 4 | 4 | 31-17 |
| უ.თ. | 12 | 60 | 34 | 11 | 15 | 97-65 |
| სულ | 20 | 102 | 56 | 20 | 26 | 173-104 |

ჩემპიონთა თასი 1993-94:
1/16 სკონტო (ლატვია) 5:0 (როდიონოვი-3, პოგოდინი, ბესჩასტნიხი), 4:0 (ციმბალარი-2, პისარევი, ონოპკო)
1/8 ლეხი (პოლონეთი) 5:1 (პისარევი-2, ონოპკო-2, კარპინი), 2:1 (კარპინი, ხლესტოვი)

სულ: 1970-71 1/16, 80-81 1/4, 88-89 1/8, 90-91 1/2

# «გალათასარაი»

## სტამბოლი, თურქეთი

**Galatasaray Spor Kulubu**

დაარსდა 1905
სტადიონი Ali Sami Yen — 34 000

თურქეთის ჩემპიონი (9) 1962, 1963, 1969, 1971, 1972, 1973, 1987, 1988, 1993

II პრიზიორი (6) 1961, 1966, 1975, 1979, 1986, 1991

III პრიზიორი (12) 1960, 1964, 1965, 1967, 1968, 1976, 1978, 1981, 1983, 1984, 1989, 1992

თასის მფლობელი (10) 1963, 1964, 1965, 1966, 1973, 1976, 1982, 1985, 1991, 1993

ფინალისტი (2) 1969, 1980

ჩემპიონთა თასზე საუკეთესო შედეგი 1/2 1988-89

თასების თასზე საუკეთესო შედეგი 1/4 1991-92

უეფას თასზე საუკეთესო შედეგი 1/8 1992-93

მწვრთნელი: რაინერ ჰოლმანი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 1(1) | 2(2) | 0 | 1(1) | 1(1) | 0(0)-1(1) | 0 |
| საფრანგ. | 1(1) | 2(2) | 1(1) | 1(1) | 0 | 2(2)-1(1) | +1(1) |
| რუსეთი | 2(1) | 4(2) | 0 | 1(1) | 3(1) | 3(1)-11(4) | 0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩ.თ. | 10 | 39 | 14 | 10 | 15 | 48-57 |
| თ.თ. | 7 | 28 | 9 | 7 | 12 | 33-49 |
| უ.თ. | 6 | 18 | 5 | 4 | 9 | 18-30 |
| სულ | 23 | 85 | 28 | 21 | 36 | 99-136 |

ჩემპიონთა თასი 1993-94:
1/16 კორკ სიტი (ირლანდია) 2:1 (თურქილმაზი, არიფი), 1:0 (თურქილმაზი)
1/8 მანჩესტერ იუნ. (ინგლისი) 3:3 (თურქილმაზი-2, არიფი), 0:0

სულ: 1956-57 1/16, 62-63 1/4, 63-64 1/8, 69-70 1/4, 71-72 1/16, 72-73 1/16, 73/74 1/16, 87-88 1/16, 88-89 1/2

# მთავარი უპირატესობა ამინდი

მას შემდეგ, რაც ჩემპიონთა თასზე ლიგა შეიქმნა, მასში ყოველთვის ხვდებიან ყოფილი საბჭოთა კავშირის გუნდები, თუმცა მოსკოვის „სპარტაკი“ პირველია, ვინც როგორც თავისი ქვეყნის ჩემპიონი გამოდის. კიევის „დინამო“ და მოსკოვის არმიის კლუბი საბჭოთა ჩემპიონატის ბოლო ორი გათამაშების გამარჯვებულები იყვნენ. წარმატებას ვერცერთმა ვერ მიაღწია, ც.ს.კ.ა.-მ კი თავიც შეირცხვინა მარსელში 0:6 წაგებით. „სპარტაკი“ ალბათ უფრო წარმატებულად ითამაშებს: ჯერ ერთი, არმიელებს ათი თავით სჯობია, მეორეც — საშინაო მატჩებს იგი მოსკოვში ჩაატარებს და არა ნეიტრალურ მინდვრებზე, როგორც შარშან ც.ს.კ.ა. ლუჟნიკებზე შეკრებილი „ფანების“ მხარდაჭერასთან ერთად მოსკოველებს ამინდის იმედიც ექნებათ — რუსეთის სუსხი საკმაო ხირთული იქნება „გალათასარაის“ და „ბარსელონასთვის“.

აგერ უკვე მეორე წელია, „სპარტაკს“ რუსეთში კონკურენტი არ გამოსჩენია. თავად განსაჯეთ: ორ ჩემპიონატში ოლეგ რომანცევის ფეხბურთელებმა მხოლოდ სამჯერ წააგეს. ახლახან დასრულებულ გათამაშებაში კი 14 მატჩი დიდი ანგარიშით მოიგეს და 34 შეხვედრაში 81 ბურთი გაიტანეს. ასე რომ, ჩვენი „დინამოსი“ არ იყოს, „სპარტაკიც“ მხოლოდ საერთაშორისო მატჩებში ხვდება ღირსეულ მეტოქეებს და ხშირად უგებს კიდევაც. მარტო თასების თასის ბოლო გათამაშებაში „ლივერპულთან“ და „ფეიენოორდთან“ მოგებები რად ღირს. მიუხედავად საუკეთესო მოთამაშეთა (შალიმოვი, შმაროვი, ჩერჩესოვი, კულკოვი, მოსტოვოი, რადჩენკო) ყოველწლიური მიგრაციისა, „სპარტაკი“ მაინც ძლიერ გუნდად რჩება. ახლანდელი შემადგენლობიდან გამოვყოფთ 24 წლის ვიქტორ ონოპკოს. ეს ფეხბურთელი წლეულს მეორე ზედიარეს რუსეთის საუკეთესო მოთამაშედ. ონოპკო უნივერსალური მოთამაშეა: ბევრი გოლიც გააქვს და თუ საჭიროა, მეტოქის ყველაზე სახიფათო ფეხბურთელსაც „კეტავს“. თუნდაც ბოლო ევროპის ჩემპიონატი გავიხსენოთ, სადაც მან ჰოლანდიელთა ლიდერს რუუდ გულიტს ფეხი არ გაანძრევინა. თავდასხმაში გამოირჩევა 19 წლის ვლადიმერ ბესჩასტნიხი, რომელიც 18 გოლით კლუბის საუკეთესო ბომბარდირია. გუნდის შედარებით სუსტი ადგილია მეკარე. სტანისლავ ჩერჩესოვის წასვლის შემდეგ კარს 23 წლის გინტარას სტაუჩე იცავს.

ოლეგ რომანცევის თქმით, მას არცერთი მეტოქის არ ეშინია. ვფიქრობთ, კენჭისყრამ აშკარად გაუმართლა სპარტაკელებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის მაინც არ ითვლება ნახევარფინალის რეალურ კანდიდატად. თუმცა, ყველაფერი მოსალოდნელია. ერთი რამის თქმა კი ალბათ, დაბეჯითებით შეიძლება: თანაქალაქელ არმიელებივით „სპარტაკი“ სამარცხვინოდ არ წააგებს.



ვლადიმერ ბესჩასტნიხი

# ფრთხილად: ლიგაშია ლომთალომი

ჩემპიონთა თასის წლევანდელი გათამაშება იმით გამოირჩევა, რომ მასში ორი არაჩემპიონი გუნდი მონაწილეობდა. „მარსელსა“ და „ლეგიას“ ეროვნულმა ფედერაციებმა ჩემპიონობა ჩამოართვეს და მათ მაგივრად ჩემპიონთა თასზე „მონაკო“ და „ლეხი“ გამოგზავნეს. მოგეხსენებათ, ეს ყველაფერი ქრთამებთან დაკავშირებული სკანდალების გამო მოხდა. ვინ იცის, თურქეთის ფეხბურთის ფედერაციის მესვეურთ რომ ფრანგი და პოლონელი კოლეგებივით კომპეტენტური გამოძიება ჩაეტარებინათ, იქნებ „გალათასარაიც“ არ მოხვედრილიყო ჩემპიონთა ლიგაში.

... გასული ჩემპიონატის ბოლო ტურის წინ „გალათასარაის“ და ბოლო ოთხი წლის უცვლელ ჩემპიონ „ბეშიქთაშს“ 64-64 ქულა გააჩნდათ, ბურთების სხვაობა კი პირველს ორით უკეთესი ჰქონდა. ჰოდა, აქაოდა არ დამეწიოსო, „გალათასარაიმ“ სტუმრად „ანკარაგიუჯუს“ 8:0 მოუგო. ამასობაში მისმა კონკურენტმა მოკრძალებული ანგარიშით 3:1 გაიმარჯვა. „ლომთალომი“, როგორც მას თურქული პრესა ეძახის, კი გახდა ჩემპიონი, მაგრამ საეჭვო გამარჯვებამ ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. „ანკარაგიუჯუს“ იუგოსლავმა მეკარემ კი გუდა-ნაბადი აიკრა და თურქეთი სამუდამოდ დასტოვა. ასე რომ... სამაგიეროდ, თურქეთის ჩემპიონის და თასის მფლობელის თამაში ევროპაში უკვე აღარავის აეჭვებს. რჩეულთა შორის მოხვედრამან თვით ინგლისის ჩემპიონს გამოსტყუა და ახლა მთელი თურქეთი ემზადება ლიგის მატჩების შესახვედრად.

ორი წლის წინ „გალათასარაის“ მთავარ მწვრთნელად გერმანელი კარლ-ჰაინც ფელდკამპი დაინიშნა. მისი მუშობის შედეგები დღეს უკვე სახეზეა. „გალა“ ყველა დანარჩენი თურქული კლუბისგან განსხვავდება არატრადიციული, სოლიდური თამაშით. განსაკუთრებით ძლიერია დაცვის ხაზი. ნაკრების მეკარე დემირბაშ ჰაირეთინი შარშანდელ ჩემპიონატში სულ 21-ხელ შეაწუხეს (პარადოქსია, მაგრამ 21-დან 15 ბურთი გუნდმა საკუთარ მოედანზე გაუშვა). ამის მთავარი მიზეზი, ალბათ, ორი ყოფილი ბუნდესლიგელი მცველი — შტუმპფი და გიოტცი არიან. წლეულს წასული მესამე გერმანელი, ოღონდ თავდამსხმელი გიუტშოვი წარმატებით შეცვალა თურქი წარმოშობის შვეიცარელმა ქუბილაი თურქილმაზმა.

წინა სეზონში გაკეთებული „დუბლის“ შემდეგ კარლ-ჰაინც ფელდკამპი გადადგა და „გალათასარაის“ ახალგაზრდულ გუნდს ჩაუდგა სათავეში, თავისი ადგილი კი თანამემამულე რაინერ ჰოლმანს დაუთმო, თუმცა თამაშების დროს „გალას“ ალზევების სულისჩამდგმელი ფელდკამპი მაინც სათადარიგოთა სკამზე ზის და საჭიროებისამებრ მზადაა რჩევა-დარიგების მისაცემად.

თურქი ჟურნალისტი ჰასან ჯემალი „უორლდ სოკერის“ ბოლო ნომერში წერს: თურქები იმედოვნებენ, რომ „გალათასარაი“ გააუმჯობესებს 1989 წლის შედეგს, როცა გუნდმა ჩემპიონთა თასის ნახევარფინალს მიაღწია.

ბოლო ტურში „გალათასარაიმ“ გასვლაზე „ალთაის“ მოუგო 2:0 და 11 ტურის შემდეგ „ფენერბახჩესთან“ ერთად პირველ-მეორე ადგილებს იყოფს.



კარლ-ჰაინც ფელდკამპი

### შემადგენლობა

მეკარეები
ვინტარას სტაუჩე ........ 24.12.69
ვალერი ჩიჟოვი ........ 14.04.75
ალექსეი სერგეევი ........ 05.06.66

მცველები
იური ნიკიფოროვი ........ 16.09.70
დიმიტრი ხლესტოვი ........ 21.01.71
ანდრეი ივანოვი ........ 06.04.67
რამიზ [illegible]მედოვი ........ 21.05.72
[illegible] ანანკო ........ 29.09.73
[illegible] ლიპკო ........ 18.08.75

ნახ[illegible]ველები
ალერი კარპინი ........ 02.02.69
იგორ ლედიახოვი ........ 22.05.68
ვიქტორ ონოპკო ........ 14.10.69
ანდრეი პიატნიცკი ........ 27.09.67
ილია ციმბალარი ........ 17.06.69
ფიოდორ ჩერენკოვი ........ 25.07.59
სერგეი ჩუდინი ........ 24.11.73
ანდრეი გაშკინი ........ 06.12.70

თავდამსხმელები
ვლადიმირ ბესჩასტნიხი ........ 01.04.74
ანდრეი ტიხონოვი ........ 16.10.70
ნიკოლაი პისარევი ........ 23.11.68
ანდრეი კონოვალოვი ........ 13.09.74
ეგორ ტიტოვი ........ 29.05.76

### შემადგენლობა

დემირბაშ ჰაირეთინი ........
მუსტაფა ქოქაბეი ........
ბულენთი ქორქმაზი ........
იუსუფ თეფექულე ........
რაინჰარდ შტუმპფი ........ 26.11.61
ფალკო გიოტცი ........ 26.03.62
ერდალ ქესერი ........
უგურ თუთუნექერი ........
ჰამზა ჰამზაოღლუ ........
თუგაი ქერიმოღლუ ........
ჰაქან შუქური ........
ქუბილაი თურქილმაზი ........
ნეზჰი ბოლოღლუ ........
სუათ ქაია ........
არიფ ერდემი ........
იუსუფ ალთინთასი ........

OFFICIAL SPONSORS OF THE CHAMPIONS LEAGUE
Ford NIKE PHILIPS SNICKERS Ford NIKE PHILIPS SNICKERS

# «ვერდერი»

## ბრემენი, გერმანია

### Sport-Verein Werder

დაარსდა 1.02.1899

სტადიონი Weserstadion — 40 640

გერმანიის ჩემპიონი (3) 1965, 1988, 1993

II პრიზიორი (4) 1968, 1983, 1985, 1986

III პრიზიორი (2) 1989, 1991

თასის მფლობელი (2) 1961, 1991

ფინალისტი (2) 1989, 1990

ჩემპიონთა თასზე საუკეთესო შედეგი 1/4 1988-89

თასების თასის მფლობელი 1992

უეფას თასზე საუკეთესო შედეგი 1/2 1987-88, 1989-90

მწვრთნელი: ოტო რეჰაგელი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბელგია | 3(0) | 6(0) | 3(0) | 0 | 3(0) | 8(0)-6(0) | +2(0) |
| იტალია | 4(1) | 8(2) | 3(0) | 4(1) | 1(1) | 11(0)-6(1) | +2(0) |

პორტუგალიის კლუბებთან არ უთამაშია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩ.თ. | 3 | 14 | 7 | 4 | 3 | 26-12 |
| თ.თ. | 3 | 17 | 10 | 2 | 5 | 34-17 |
| უ.თ. | 7 | 36 | 17 | 8 | 11 | 65-42 |
| სულ | 13 | 67 | 34 | 14 | 19 | 125-71 |

ჩემპიონთა თასი 1993-94:

1/16 დინამო (მინსკი, ბელორუსია) 5:2 (ჰობში-3, რუფერი-2), 1:1 (რუფერი)

1/8 ლევსკი 1914 (ბულგარეთი) 2:2 (ბოდე, რუფერი), 1:0 (ბასლერი)

სულ: 1965-66 1/8, 1988-89 1/4

# «ბრემენის მეფის» გუნდი

ლიგის პირველ ორ გათამაშებაში განზე რჩებოდნენ გერმანიის ჩემპიონები. არადა, ორივეჯერ კურიოზული სიტუაციების გამო. 1991-92 სეზონში „კაიზერსლაუტერნმა" მხოლოდ ბოლო წუთზე „გადაულოცა" ლიგის საგზური „ბარსელონას", შარშან კი „შტუტგარტმა" მოუგო მერვედფინალი „ლიდს იუნაიტედს", მაგრამ... განმეორებით მატჩში მის მწვრთნელს უცხოელთა თამაშის რეგლამენტი დაავიწყდა და ოთხი ლეგიონერი ათამაშა. გერმანელი ჟურნალისტების მიერ „ბრემენის მეფედ" მონათლული ოტო რეჰაგელი იმდენად გამოცდილია, თავისი შტუტგარტელი კოლეგის შეცდომას ნაღდად არ გაიმეორებს.

1981 წელს, როცა „ვერდერი" მეორე ლიგაში გავარდა, გუნდში ახალი მწვრთნელი მოიყვანეს და მისი შემწეობით გუნდი უმალ ბუნდესლიგაში დაბრუნდა. მას შემდეგ „ვერდერს" ოტი რეჰაგელი წვრთნის. იგი ალბათ ევროპის რეკორდსმენიცაა ერთ გუნდში შეუცვლელად მუშაობის სტაჟით. „ჩემთვის მთავარია გუნდში ჰარმონია იყოს" — ამბობს რეჰაგელი. ალბათ ამიტომაცაა, რომ წლეულს კლუბმა მხოლოდ ერთ ახალ ფეხბურთელთან მოაწერა ხელი — ბერლინის „ჰერტადან" გადმოვიდა უნივერსალური ფეხბურთელი მარიო ბასლერი. გუნდში შარშან მოსულები კი უკვე ისე შეერწყნენ გუნდს, თითქოს მთელი ცხოვრება აქ თამაშობდნენ: დიტმარ ბაიერსდორფერი ჩინებული მცველია, ბერნდ ჰობშმა თავდასხმას მრავალფეროვნება შეჰმატა, კლუბის ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებულმა ავსტრიელმა ანდრეას ჰერცოგმა კი გერმანელი ჟურნალისტების მიერ „ბუნდესლიგის საუკეთესო ცენტრფორვარდად" აღიარებას მიაღწია და რომ არავინ მოელოდა, ისეთი წარმატებით შეცვალა კლაუს ალოფსი, რომელმაც გასული სეზონის ბოლოს ფეხბურთს თავი მიანება. ასევე შეეშვა ფეხბურთს თომას შააფიც. ვარაუდობენ, რომ წლევანდელი სეზონი ბოლო იქნება ნორვეგიელი მცველის რუნე ბრატსეტისთვისაც. ჯერჯერობით კიდევ თამაშობს ფრანკ ნოიბარტი, რომელიც კარგად ახსოვთ თბილისელ გულშემატკივრებს.



ბერნდ ჰობში

მიმდინარე ჩემპიონატში „ვერდერი" ჯერჯერობით მეშვიდე ადგილზეა — ალბათ ჩემპიონთა თასის თამაშებმა იქონია თავის გავლენა. ბუნდესლიგას რამე ეშველება, მთავარი ამოცანა კი — ჩემპიონთა ლიგაში შესვლა — გუნდმა უკვე შეასრულა. ძნელი სათქმელია, რამდენად წარმატებით ითამაშებს „ვერდერი" საკმაოდ ძნელ ჯგუფში, ერთი კი ცხადია: გერმანელები ყველა მატჩში ბოლომდე იბრძოლებენ — ჯერ ერთი, ეს მათ სჩვევიათ, მეორეც — „ვერდერი" ბუნდესლიგის სხვა კლუბებთან შედარებით არც ისე მდიდარია და ლიგაში მოპოვებულ ყველა ქულაზე დაწესებული ფულადი ჯილდოები ძალზედ სასურველია.

„უორლდ სოკერის" ბოლო ნომერში მოყვანილია ოტო რეჰაგელის სიტყვები: მე ყველაფერი 3-4 წლით მაქვს გათვლილიო. საინტერესოა, გამოთვლილი აქვს თუ არა „ბრემენის მეფეს" ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება.

### შემადგენლობა

მეკარეები

ოლივერ რეკი ........ 27.02.65

ჰანს გუნდელახი ........ 29.11.63

ფრანკ როსტი ........ 30.06.73

მცველები

ულრიხ ბოროვკა ........ 19.05.62

დიტმარ ბაიერსდორფერი ........ 16.11.63

რუნე ბრატსეტი ........ 19.03.61

ბერნდ გოლდშმიდტი ........ 24.04.70

გუნარ ზაუერი ........ 11.06.64

ნახევარმცველები

მარიო ბასლერი ........ 18.12.68

მანფრედ ბოკენფელდი ........ 23.07.60

დიტერ აილტსი ........ 13.12.64

უვე ჰარტგენი ........ 06.07.64

ანდრეას ჰერცოგი ........ 10.09.68

ტორსტენ ლეგატი ........ 07.11.68

ლარს უნგერი ........ 30.09.72

მირკო ვოტავა ........ 25.04.56

ანდრე ვიდენერი ........ 14.03.70

თომას ვოლტერი ........ 04.10.63

თავდამსხმელები

მარკო ბოდე ........ 23.07.69

ბერნდ ჰობში ........ 07.05.68

ფრანკ ნოიბარტი ........ 29.07.62

ვინტონ რუფერი ........ 29.12.62

არი ვან ლენდტი ........ 31.08.70

# «ანდერლეხტი»

## ბრიუსელი, ბელგია

### Royal Sport Club Anderlechtois

დაარსდა 27.08.1908

სტადიონი Constant Vander Stock — 36 000

ბელგიის ჩემპიონი — (22) 1947, 1949, 1950, 1951, 1954, 1955, 1956, 1959, 1962, 1964, 1965, 1966, 1967, 1968, 1972, 1974, 1981, 1985, 1986, 1987, 1991, 1993

II პრიზიორი — (14) 1948, 1953, 1957, 1960, 1976, 1977, 1978, 1979, 1982, 1983, 1984, 1989, 1990, 1992

III პრიზიორი (5) 1946, 1961, 1963, 1971, 1975,

თასის მფლობელი — (7) 1965, 1972, 1973, 1975, 1976, 1988, 1989

ფინალისტი (2) 1966, 1977

ჩემპიონთა თასზე საუკეთესო შედეგი 1/2 1981-82, 1985-86

თასების თასის მფლობელი 1976, 1978

ფინალისტი 1977, 1990

უეფას თასის მფლობელი 1983

ფინალისტი 1970, 1984

სუპერთასის მფლობელი 1976, 1978

მწვრთნელი: იან ბოსკამპი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 7(2) | 13(4) | 5(1) | 2(1) | 6(2) | 15(5)-20(9) | +4(1) |
| იტალია | 9(3) | 18(7) | 6(3) | 4(2) | 8(2) | 23(9)-24(8) | +5(2) |
| პორტუგ. | 5(1) | 10(2) | 5(1) | 1(0) | 4(1) | 15(1)-11(2) | +3(0) |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩ.თ. | 17 | 84 | 39 | 15 | 30 | 145-127 |
| თ.თ. | 7 | 44 | 29 | 3 | 12 | 86-34 |
| უ.თ. | 10 | 68 | 37 | 15 | 16 | 140-81 |
| სულ | 34 | 196 | 105 | 33 | 58 | 371-242 |

ჩემპიონთა თასი 1993-94:

1/16 პიკ (ფინეთი) 3:0 (ბოსმანი, ვერსაველი, ბოფენი), 3:0 (ნილისი-3)

1/8 სპარტა (ჩეხეთი) 1:0 (ნილისი), 4:2 (ნილისი-2, ბოსმანი, ვერსაველი)

სულ: 1955-56 1/16, 56-57 1/16, 59-60 1/16, 62-63 1/4, 64-65 1/8, 65-66 1/4, 66-67 1/8, 68-69 1/8, 72-73 1/8, 74-75 1/4, 81-82 1/2, 85-86 1/2, 86-87 1/4, , 87-88 1/4, 91-92 ჩემპ.ლიგა (ჯგუფში III ადგილი).

# საკუთარი თავის მტერი?

ძალზე ძნელი სათქმელია იმ ორი გუნდის ვინაობის დასახელება, ვინც ჩემპიონთა ლიგის „ბ" ჯგუფიდან ნახევარფინალში გავა. ბუკმეიკერებს თუ დაეკითხებით, გამოვა, რომ ამის ყველაზე ნაკლები შანსი ბრიუსელის „ანდერლეხტს" აქვს. მართლაც ასეა საქმე?

ბელგიის კლუბები ლიგის არსებობის სამივე წელსვე ხვდებოდნენ მასში. წინა ორ გამოსვლას წარმატებულს ვერ უწოდებ. 1991-92 სეზონში თავად „ანდერლეხტი" თამაშობდა ლიგაში, მაგრამ „ცრვენა ზვეზდასთან" და „სამპდორიასთან" ჭიდილი ამაო გამოდგა. ერთწლიანი შესვენების შემდეგ კლუბი კვლავ გამოდის რჩეულთა შორის და თუ ბელგიელ ჟურნალისტებს დავეყრდნობით, ამჯერად „ანდერლეხტის" ხელმძღვანელობას დიდი იმედები გააჩნია.

როგორც ყოველთვის, ბელგიის ჩემპიონატის აშკარა ლიდერის შემადგენლობაში თითქმის ყველა ფეხბურთელი რომელიმე ეროვნული ნაკრების მოთამაშეა. გასულ ოთხშაბათს, როცა ბელგიის ნაკრებმა ჩეხებთან და სლოვაკებთან ბრძოლაში მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური მოიპოვა, მის რიგებში „ანდერლეხტის" ექვსი ფეხბურთელი თამაშობდა — დე ვოლფი, ალბერი, ნილისი, ვერსაველი, ბოფენი და მეკარე დე ვილდე, რომელმაც ბოლო მომენტში ტრავმირებული მიშელ პრიუდომი შეცვალა. მოსალოდნელია, რომ მათთან ერთად მომავალ წელს ამერიკაში „ანდერლეხტის" კიდევ ორი მოთამაშე გაემგზავრება: შვედეთის ნაკრების ფეხბურთელი პარ ზეტერბერგი და ჰოლანდიელი ჯონ ბოსმანი. სხვათაშორის, ბელგიის ნაკრებმა გადამწყვეტი მატჩი ბრიუსელის „კონსტანტ ვან დერ სტოკის" სტადიონზე ითამაშა. ეს კაცი ვინმე ისტორიული პიროვნება არ გეგონოთ. იგი „ანდერლეხტის" პრეზიდენტია. სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული კლუბის ყველა წარმატება. როგორც „უორლდ სოკერის" მიმომხილველი ჟან-ერმენ დე ბრუინი წერს, ვან დერ სტოკის წყალობითაა, რომ გუნდი ფინანსურად კარგად გრძნობს თავს და შეუძლია თავს ნება მისცეს და უცხოელი ვარსკვლავები იყიდოს. ბელგიის ბევრი კლუბი ამით ვერ დაიკვეხნის.



ჯონი ბოსმანი

ქვეყნის ბოლო ჩემპიონატი გუნდმა თითქმის სეირნობით მოიგო — მეორე ადგილზე გასულ „სტანდარდს" 13 ქულით გაასწრო. გუნდის მთავარი ბომბარდირი 19 გოლით კი ლუკ ნილისი გახდა. ჩემპიონატის მეორე ნახევარი გუნდს წვრთნიდა იან ბოსკამპი, რომელმაც იუგოსლავი ლუკა პერუზოვიჩი შეცვალა. მიმდინარე ჩემპიონატშიც „ანდერლეხტს" არ უნდა გაუჭირდეს. 14 ტურის შემდეგ გუნდი 24 ქულით ლიდერობს და სამი ქულით უსწრებს „ბრიუგეს". ბოსკამპი შიშობს, რომ ასეთმა კარგმა სტარტმა ცუდად არ იმოქმედოს და ფეხბურთელები არ დამშვიდდნენ. ჩვენ მხოლოდ ერთი მტერი გვყავს — ჩვენი თავიო — ამბობს „ანდერლეხტის" მწვრთნელი. „თავის თავის მტრობა" ამასწინათ გამოვლინდა, როცა ბრიუსელში ჩამოსულმა „ბრიუგემ" 3:0 მოუგო ლიდერს.

ბოლო, XIV ტურის შეხვედრა „ანდერლეხტმა" გასვლაზე „ლომერთან" ითამაშა და 1:0 გაიმარჯვა.

### შემადგენლობა

ფილიპ დე ვილდე ........

ბერტრან კრასონი ........ 05.10.71

მიშელ დე ვოლფი ........ 19.01.58

ფილიპ ალბერი ........

პეტერ მასი ........

გრემ რუტიესი ........

იოჰან ვალემი ........

ვიმ კოიმანი ........

პარ ზეტერბერგი ........

ფილიპ ჰააკდორენი ........

ბრუნო ვერსაველი ........

ალან ვან ბეკელი ........

ჯონი ბოსმანი ........ 01.02.65

დენი ბოფენი ........

ჩარლზ მუსონდა ........

მარკ ემერსი ........

ეროვნული ბიბლიოთეკა

# «მილანი»

## იტალია

### Milan Associazione Calcio

დაარსდა 15.01.1899
სტადიონი Giuseppe Meazza — 80 000 (110X68)

იტალიის ჩემპიონი (13) 1901, 1906, 1907, 1951, 1955, 1957, 1959, 1962, 1968, 1979, 1988, 1992, 1993
II პრიზიორი (13) 1902, 1948, 1950, 1952, 1956, 1961, 1965, 1971, 1972, 1973, 1989, 1990, 1991
III პრიზიორი (12) 1938, 1941, 1946, 1949, 1953, 1954, 1960, 1963, 1964, 1969, 1976, 1980

თასის მფლობელი (4) 1967, 1972, 1973, 1977
ფინალისტი (4) 1942, 1971, 1975, 1990

ჩემპიონთა თასის მფლობელი 1963, 1969, 1989, 1990
ფინალისტი 1958, 1993
თასების თასის მფლობელი 1968, 1973
ფინალისტი 1974
უეფას თასზე საუკეთესო შედეგი — 1/2 1971-72
სუპერთასის მფლობელი 1989, 1990

საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი 1969, 1898, 1990

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 8(4) | 15(8) | 8(4) | 3(2) | 4(2) | 26(15)-14(7) | +8(4) |
| ბელგია | 6(2) | 13(4) | 5(2) | 6(2) | 2(0) | 14(3)-9(0) | +4(2) |
| პორტუგ. | 5(4) | 9(6) | 6(4) | 1(1) | 2(1) | 8(5)-4(2) | +4(3) |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩ.თ. | 13 | 83 | 51 | 14 | 18 | 181-72 |
| თ.თ. | 4 | 30 | 17 | 10 | 3 | 47-20 |
| უ.თ. | 9 | 53 | 22 | 12 | 19 | 71-57 |
| სულ | 26 | 166 | 90 | 36 | 40 | 299-149 |

ჩემპიონთა თასი 1993-94

1/16 არაუ (შვეიცარია), 1:0 (პაპენი), 0:0
1/8 კოპენჰაგენი (დანია) 6:0 (პაპენი-2, სიმონე-2, ლაუდრუპი, ორლანდო), 1:0 (პაპენი)

სულ: 1955-56 1/2, 57-58 ფ, 59-60 1/8, 62-63 თ, 63-64 1/4, 68-69 თ, 69-70 1/8, 79-80 1/16, 88-89 თ, 89-90 თ, 90-91 1/4, 92-93 ფ.

# ჩემპიონთა ლიგის ფუძემდებელი

ის რომ ახლა ევროპის ჩემპიონთა თასზე ლიგა არსებობს და მასში მონაწილე გუნდები ფრიად სოლიდურ თანხებს ინაწილებენ, პირველ რიგში „მილანის“ მეპატრონის სილვიო ბერლუსკონის დამსახურებაა. სწორედ ბერლუსკონისა და მისთანების „შეტევით“ შეცვალა უეფა-მ ჩემპიონთა თასის სტრუქტურა. ცნობილი მილიონერი და ტელემაგნატი დიდი ხანია, რაც სუპერკლუბთა ლიგის იდეის მომხრეა, მაგრამ სხვებისგან განსხვავებით, მარტო ლაპარაკით არასდროს შემოფარგლულა. უკვე 70-იანი წლების ბოლოს მან საკლუბო მსოფლიოს ჩემპიონატის მსგავსი ტურნირის ჩატარებაც კი გადაწყვიტა და სანახევროდ ჩაატარა კიდეც, თუმცა გუნდებს ინტენსიური საერთაშორისო თუ ეროვნული. კალენდრით წრიული ტურნირისთვის სად ეცალათ? ბერლუსკონი კი მაინც არ ისვენებდა. უეფა-ს ტურნირები მისთვის მოუხერხებელი იყო თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ მომავალ მეტოქეს.მხოლოდ კენჭისყრა ავლენდა და სხვა ტელეარხებთან ჭიდილში ხანდახან მისი ტელეკომპანია ვეღარ ასწრებდა ჩვენების უფლების ყიდვას. ბოლოსდაბოლოს, ერთ-ერთ სეზონში „მილანის“ მფლობელმა ისიც კი გააკეთა, რომ კენჭისყრამდე ევროთასებზე მონაწილე ყველა (!) კლუბისგან იყიდა ტრანსლიაციის უფლება, თუმცა მერე მხოლოდ იტალიური გუნდების მატჩები ანახა. ეს ერთხელ, მაგრამ ყოველწლიურად ამის გაკეთება თვით მილიონერსაც აღარ შეეძლო. ახლა კი ბერლუსკონი კმაყოფილია: მას ლიგის კალენდარი ხელთა აქვს და ნახევარი წლის განმავლობაში იცის, თუ ვისგან რას იყიდოს.



ფაბიო კაპელო

...„მილანი“ იმიტომაა ძლიერი გუნდი, რომ იცის როგორ შეავსოს წასული ფეხბურთელების ადგილი— ამბობს ალესანდრო კოსტაკურტა. მისივე თქმით, გუნდი წლეულს უფრო ძლიერია, ვიდრე წინა სეზონში. შეიძლება, მაგრამ „მილანი“ შარშანდელის მსგავსად ლიგაში ყველა მატჩს რომ ვეღარ მოიგებს, ამაში დარწმუნებული ბრძანდებოდეთ. ამით იმის თქმა არ გვინდა, რომ „მილანი“ არ არის ჯგუფის ლიდერი. იგი ფავორიტია .და ნახევარფინალში რომ არ გავიდეს, უდიდესი სენსაციაც იქნება, მაგრამ... შარშანდელისგან განსხვავებით, როცა გუნდი უკვე პირველი წრის შემდეგ თითქმის ჩემპიონი იყო, წლეულს საქმე ასე აღარაა. თავდასხმა აშკარად ვეღარ ბრწყინავს ძველებურად. გახსოვთ, ალბათ, „მილანის“ შედეგები წინა ჩემპიონატში — 5:4, 7:3, 5:3. ამჟამად აღარაფერი დარჩა ამ ავანტიურული თამაშისაგან და გატანილი გოლების გრაფაში მოკრძალებულ ციფრებს ვხედავთ. სამაგიეროდ, დაცვა კვლავ სანაქებოდ თამაშობს და პირველი გოლი „მილანმა“ სეზონის მე-12 მატჩში, „ფოჯასთან“ გაუშვა. მანამდე კი 1051 წუთის მანძილზე „მილანის“ კარის ბადეს მხოლოდ ქარი არხევდა.

მილანელებმა ამასწინათ „მარსელიდან“ მარსელ დესაი გადმიბირეს. „ის ჩვენი ახალი რაიკაარდი იქნება“ — განაცხადა ბერლუსკონიმ. დესაი მართლაც კარგი შენაძენია, თუმცა ლიგაში თამაშის უფლებას ის მხოლოდ მარტიდან მიიღებს. იტალიის ჩემპიონატში მისი დებიუტი კი გუშინწინ „ნაპოლისთან“ მატჩში შედგა, რომელიც „მილანმა“ 2:1 მოიგო. სტუმრებმა გახსნეს ანგარიში, მაგრამ პანუჩის და ალბერტინის გოლებით „ანდერლეხტთან“ თამაშის გენერალური რეპეტიცია „მილანმა“ წარმატებით დაასრულა.

### შემადგენლობა

მეკარეები

| | |
|---|---|
| ფრანჩესკო ანტონიოლი | 14.09.69 |
| მარიო იელპო | 08.06.63 |
| სებასტიანო როსი | 20.07.64 |

მცველები

| | |
|---|---|
| ფრანკო ბარეზი | 08.05.60 |
| ალესანდრო კოსტაკურტა | 24.04.66 |
| ფილიპო გალი | 19.05.63 |
| პაოლო მალდინი | 26.06.68 |
| სტეფანო ნავა | 19.02.69 |
| ალესანდრო ორლანდო | 01.06.70 |
| კრისტიან პანუჩი | 12.04.73 |
| მაურო ტასოტი | 19.01.60 |
| ემილიანო ვერგა | 21.12.69 |
| მარსელ დესაი | 07.09.68 |

ნახევარმცველები

| | |
|---|---|
| დემეტრიო ალბერტინი | 23.08.71 |
| ზვონიმირ ბობანი | 08.10.68 |
| ანჯელო კარბონე | 23.03.68 |
| ფერნანდო დე ნაპოლი | 15.03.64 |
| რობერტო დონადონი | 09.09.63 |
| სტეფანო ერანიო | 29.12.66 |
| ბრიან ლაუდრუპი | 22.02.69 |
| დანიელე მასარო | 23.05.61 |
| დეიან სავიჩევიჩი | 15.09.66 |

თავდამსხმელები

| | |
|---|---|
| ჯანლუიჯი ლენტინი | 27.03.69 |
| ჟან-პიერ პაპენი | 05.11.63 |
| ფლორინ რადუჩოუ | 17.03.70 |
| მარკო სიმონე | 07.01.69 |
| მარკო ვან ბასტენი | 31.10.69 |

# «პორტუ»

## პორტუგალია

### Futebol Clube do Porto

დაარსდა 2.08.1906
სტადიონი das Antas — 90 000 (105X68)

პორტუგალიის ჩემპიონი (13) 1935, 1939, 1940, 1956, 1059, 1978, 1979, 1985, 1986, 1990, 1992, 1993
II პრიზიორი (20) 1936, 1938, 1941, 1951, 1954, 1957, 1958, 1962, 1963, 1964, 1965, 1969, 1975, 1980, 1981, 1983, 1984, 1987, 1989, 1991
III პრიზიორი (9) 1947, 1952, 1961, 1966, 1967, 1968, 1971, 1977, 1982

თასის მფლობელი (7) 1956, 1958, 1968, 1977, 1984, 1988, 1990, 1991
ფინალისტი (10) 1953, 1959, 1961, 1964, 1978, 1980, 1981, 1983, 1985, 1992

ჩემპიონთა თასის მფლობელი 1987
თასების თასის ფინალისტი 1984
უეფას თასზე საუკეთესო შედეგი 1/8 1972-73, 1975-76
სუპერთასის მფლობელი 1987

საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი 1987

მწვრთნელი: ტომისლავ ივიჩი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 7(2) | 13(3) | 4(1) | 4(1) | 5(1) | 15(3)-22(4) | +2(1) |
| ბელგია | 4(0) | 8(0) | 3(0) | 1(0) | 4(0) | 11(0)-16(0) | +1(0) |
| იტალია | 5(2) | 9(4) | 2(1) | 2(1) | 5(2) | 4(1)-6(2) | +2(1) |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩ.თ. | 11 | 51 | 26 | 9 | 16 | 92-49 |
| თ.თ. | 7 | 35 | 17 | 7 | 11 | 48-41 |
| უ.თ. | 14 | 50 | 23 | 8 | 19 | 70-61 |
| სულ | 32 | 136 | 66 | 24 | 46 | 210-151 |

ჩემპიონთა თასი 1993-94:
1/16 ფლორიანა (მალტა) 2:0 (კოსტადინოვი, სემედუ), 0:0
1/8 ფეიენოორდი (ჰოლანდია) 1:0 (დომინგუში), 0:0

სულ: 1956-57 1/16, 1959-60 1/16, 1978-79 1/16 1979-80 1/8, 1985-86 1/8, 1986-87 თ, 1987-88 1/8, 1988-89 1/8, 1990-91 1/4, 1992-93 ჩემპიონთა ლიგა (III ადგილი ჯგუფში)

# გამოცდილება ბევრს ნიშნავს

„პორტუ! შენ დაანათლე სახელი მთელ პორტუგალიას“ — თქვა მშობლიურ ქალაქზე პოეტმა ეუჟენიუ დი ანდრადემ და ეს მართალია. სწორედ მდინარე დოურუს მარჯვენა სანაპიროზე მონუმენტივით აღმართული ქალაქის სახელის მიხედვით დაირქვა ქვეყანამ პორტუგალია.

1906 წლის 2 აგვისტოს აქ დაარსდა კლუბი, რომელიც შემდგომში ქვეყნის პირველი ჩემპიონი გახდა. დამაარსებლები ცდილობდნენ კლუბი უნივერსალური ყოფილიყო და ასეც გამოვიდა: დღეს „პორტუს“ 50 ათასი წევრიდან ზოგი ხელბურთს მისდევს, ზოგი ველოსპორტს, მაგრამ აღიარებული ფავორიტი, რაღა თქმა უნდა, ფეხბურთია. კლუბში პროფესიული გუნდის გარდა ახალგაზრდული, ჭაბუკთა და ბავშვთა უამრავი გუნდია. სწორედ ადგილობრივ საბავშვო სკოლაში აღიზარდა „პორტუს“ ისტორიაში ყველაზე ცნობილი ფეხბურთელი, „სუპერბომბარდირად“ წოდებული გომეში. კლუბის ეს სკოლა ცნობილია იმითაც, რომ ქვეყნის ყველაზე კარგი მეკარეები აქედან გამოდიან (ზე ბეტუ, ვიტორ ბაია). ივლისში ჰოლანდიაში გამართულ ტურნირზე, სადაც საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებიც მონაწილეობდა, პორტუგალიის ნაკრების კარს სწორედ „პორტუს“ მეკარე იცავდა.



ჟორჟე კოუტუ

... კლუბი ზედიზედ მეორედ ხვდება ჩემპიონთა ლიგაში და მეორედვე „მილანის“ ჯგუფში. წინა გამოსვლას წარმატებულს ვერ დაარქმევ: ორი წაგება „მილანთან“, წაგება გიოტებორში და ფრე საკუთარ მოედანზე ჰოლანდიის ჩემპიონთან, თუმცა ლიგაში მონაწილეობის გამოცდილების მიღება დიდი უპირატესობაა და ვინ იცის, ალბათ, წლეულს „პორტუ“ უფრო წარმატებით გამოვა. მითუმეტეს, რომ გუნდში ახალი სეზონის დასაწყისში ახალი მწვრთნელი მოვიდა — გამოცდილი ტომისლავ ივიჩი, რომელმაც კარლოს ალბერტო სილვა შეცვალა. რაც შეეხება შემადგენლობას, ის მხოლოდ უმნიშვნელოდ შეიცვალა. მეკარე ვიტო ბაია ეროვნული ნაკრების კარის დარაჯია. დაცვა პორტუგალიის ჩემპიონატში ყველაზე საიმედოდ ითვლება — შარშანდელი ჩემპიონატის 34 მატჩში მან მხოლოდ 17 ბურთი გაუშვა. ნახევარდაცვაში გამოცდილი ჟაიმე მაგალიაეშის გვერდით ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა თამაშობს, მათ შორის ასიმილირებული რუმინელი იონ ტიმოფტე. თავდასხმაში კი პირველ რიგში ამასწინათ საფრანგეთის დამაქცეველი ბულგარელი ემილ კოსტადინოვი გამოირჩევა. წლეულს მას „ფამალიკაუდან“ გადმოსული თანამემამულე პეტარ მხიტარსკი დაიმატა, თუმცა ის ჯერ იშვიათად ხვდება ძირითადში, სადაც წარმატებით თამაშობს ეროვნული ნაკრების წევრი, 24 წლის დომინგუშ ოლივეირა.

პორტუგალიის მიმდინარე ჩემპიონატი „პორტუმ“ არც თუ ისე სხარტად დაიწყო, თუმცა ბოლო ტურებში იმდენი ჰქნა, ლიდერებს მაინც წამოეწია. გასულ უქმეებზე ტურის და მთლიანად ჩემპიონატის ერთ-ერთ ცენტრალურ შეხვედრაში „პორტუმ“ გასვლაზე აქამდე ერთპიროვნული ლიდერი ლისაბონის „სპორტინგი“ დაამარცხა 1:0 და ახლა „სპორტინგთან“, „ბენფიკასთან“ და „ბოავიშტასთან“ ერთად 15 ქულით პირველ-მეოთხე ადგილებს იყოფს.

### შემადგენლობა

მეკარეები

| | |
|---|---|
| ვიტორ ბაია | 15.10.69 |
| ვიტორ ნოვოა | 17.08.62 |

მცველები

| | |
|---|---|
| ალოიზიუ | 16.08.63 |
| ფერნანდუ კოუტუ | 02.08.69 |
| ჟოაო პინტუ | 21.11.61 |
| ჟორჟე კოშტა | 10.10.71 |
| ჟოზე კარლუში | 02.08.66 |
| პაულუ პერეირა | 27.08.65 |
| რუი ჟორჟე | |

ნახევარმცველები

| | |
|---|---|
| ანდრე | 24.12.57 |
| ბანდეირინია | 26.11.62 |
| ფოლია | 21.05.71 |
| ჟაიმე მაგალიაეში | 10.07.62 |
| ჟორჟე კოუტუ | 01.07.70 |
| რუი ფელიპე | 08.03.68 |
| სემედუ | 05.03.65 |
| იონ ტიმოფტე | |

თავდამსხმელები

| | |
|---|---|
| დომინგუში | 02.01.69 |
| პეტერ მხიტარსკი | |
| ვინია | |
| ემილ კოსტადინოვი | 12.08.67 |

OFFICIAL SPONSORS OF THE CHAMPIONS LEAGUE
Ford NIKE PHILIPS SNICKERS Ford NIKE PHILIPS SNICKERS

# ჩემპიონთა ლიგა. 1991–92

## A

«ცრვენა ზვეზდა»
იუგოსლავია

«სამპდორია»
იტალია

«პანათინაიკოსი»
საბერძნეთი

«ანდერლეხტი»
ბელგია



## B

«ბენფიკა»
პორტუგალია

«ბარსელონა»
ესპანეთი

«დინამო»
ს.ს.რ.კ.

«სპარტა»
ჩეხოსლოვაკეთი

I ტური. 27 ნოემბერი.
„სამპდორია" — „ცრვენა ზვეზდა" 2:0

„სამპდორია": პალიუკა, ლანა, მანინი, ვერხოვოდი, პარი, კატანეცი, ლომბარდო, სერეზო (ინვერნიცი, 84), ი. ბონეტი, ვიალი, მანჩინი.
„ცრვენა ზვეზდა": მილოევიჩი, რადინოვიჩი, ვასილიევიჩი, იუგოვიჩი, ნედელკოვიჩი, ნაიდოსკი, სტოშიჩი, ივიჩი (იოვანოვიჩი, 68), რატკოვიჩი, პანჩევი, მიხაილოვიჩი.
გოლები: მანჩინი (7), ვიალი (74).

„ანდერლეხტი" — „პანათინაიკოსი" 0:0

„ანდერლეხტი": დე ვილდე, უბენი, დე სარტი, რუტიესი, დე ვოლფი, ოლივეირა, დეგრიზი, ვალემი, ბოფენი, ბოსმანი (ვერპეინი, 83), ნილისი.
„პანათინაიკოსი": ვანძიკი, აპოსტოლაკისი, მავრიდისი, კალიცაკისი, კალაცისი, ანტონიუ, კარაგეორგიუ, ხრისტოდულუ, მარაგაკოსი, სარავაკოსი, ატანასიადისი (დონისი, 68; ფრანცეკოსი, 56).

II ტური. 11 დეკემბერი.
„პანათინაიკოსი" — „სამპდორია" 0:0

„პანათინაიკოსი": ვანძიკი, აპოსტოლაკისი, კალაცისი, მავრიდისი, კალიცაკისი, ანტონიუ, ფრანცეკოსი, მარანგოსი, ხრისტოდულუ, სარავაკოსი, დონისი (კარაგეორგიუ, 80).
„სამპდორია": პალიუკა, მანინი, ბუზო, ვერხოვოდი, პარი, ლანა, სერეზო, ი. ბონეტი, ლომბარდო, კატანეცი, ვიალი.

„ცრვენა ზვეზდა" — „ანდერლეხტი" 3:2

„ცრვენა ზვეზდა": მილოევიჩი, ნაიდოსკი, ბელოდედიჩი, ტანიგა (ივიჩი, 64), ვასილიევიჩი, რადინოვიჩი, სტოშიჩი, იუგოვიჩი, რატკოვიჩი, მიხაილოვიჩი, პანჩევი.
„ანდერლეხტი": დე ვილდე, უბენი, რუტიესი, დე სარტი, დე ვოლფი, ვალემი, ბოფენი, ლემპტი (კრასონი, 85), ნილისი, ბოსმანი, ოლივეირა (მარხული, 76).
გოლები: რატკოვიჩი (18), ლემპტი (32), ნილისი (55), ივიჩი (68), პანჩევი (88).

III ტური. 4 მარტი.
„პანათინაიკოსი" — „ცრვენა ზვეზდა" 0:2

„პანათინაიკოსი": ვანძიკი, აპოსტოლაკისი, კალაცისი, მავრიდისი, კალიცაკისი, ანტონიუ (დონისი, 62), კარაგეორგიუ (ფრანცეკოსი, 75), ხრისტოდულუ, მარაგოსი, სარავაკოსი, ვარჟიხა.
„ცრვენა ზვეზდა": ლეკოვიჩი (მილოევიჩი, 57), შერადინოვიჩი, ტანიგა, ბელოდედიჩი, ვასილიევიჩი, რატკოვიჩი, ბოლიჩი, იუგოვიჩი, მიხაილოვიჩი, პანჩევი, ივიჩი.
გოლები: პანჩევი (70, 87).

„ანდერლეხტი" — „სამპდორია" 3:2

„ანდერლეხტი": მასი, კრასონი, კომანი, რუტიესი, დე ვოლფი, ბოფენი (ვან ბაკენი, 71), დეგრიზი, ვალენი, ვერსაველი, ოლივეირა (ლემპტი, 66), ნილისი.
„სამპდორია": პალიუკა, ი.ბონეტი, ვერხოვოდი, ლანა, მანინი, პარი, კატანეცი, სერეზო, ლომბარდო, მანჩინი, ვიალი.
გოლები: ვიალი (26, 62), დეგრიზი (53), ნილისი (66, 88).

IV ტური. 18 მარტი.
„ცრვენა ზვეზდა" — „პანათინაიკოსი" 1:0

„ცრვენა ზვეზდა": მილოევიჩი, შერადინოვიჩი, ბელოდედიჩი, ტანიგა, ვასილიევიჩი, რატკოვიჩი, იუგოვიჩი, სავიჩევიჩი (ბელიჩი, 35), მიხაილოვიჩი, პანჩევი, ივიჩი.
„პანათინაიკოსი": ვანძიკი, აპოსტოლაკისი, კალაცისი (ფრანცეკოსი, 76), კარაგეორგიუ, კალიცაკისი, მავრიდისი, სარავაკოსი, ანტონიუ (დონისი, 81), ვარჟიხა, ხრისტოდულუ, მარაგოსი.
გოლი: მიხაილოვიჩი (53 პ).

„სამპდორია" — „ანდერლეხტი" 2:0

„სამპდორია": პალიუკა, მანინი, პარი, დ. ბონეტი, კატანეცი, სერეზო, ლომბარდო, ლანა, ი. ბონეტი, მანჩინი (ბუზო, 41), ვიალი.
„ანდერლეხტი": მასი, კრასონი, კომანი, რუტიესი, დე ვოლფი, ვალემი, ვერსაველი, ოლივეირა (ლემპტი, 46), ბოფენი (ვან ბაკენი, 70), დეგრიზი, ნილისი.
გოლები: ლომბარდო (33), მანჩინი (35).

V ტური. 1 აპრილი.
„ცრვენა ზვეზდა" — „სამპდორია" 1:3

„ცრვენა ზვეზდა": მილოევიჩი, რადინოვიჩი (ივიჩი, 75), ნედელკოვიჩი, ბელოდედიჩი, ვასილიევიჩი, რატკოვიჩი, ბელიჩი, იუგოვიჩი, მიხაილოვიჩი, პანჩევი, სავიჩევიჩი (ჩულა, 80).
„სამპდორია": პალიუკა, დ. ბონეტი, პარი, ლანა, ი. ბონეტი, ვერხოვოდი, ლომბარდო, სერეზო (ინვერნიცი, 10), კატანეცი, ვიალი, მანჩინი.
გოლები: მიხაილოვიჩი (19), კატანეცი (34), ვასილიევიჩი (41, საკ. კარში), მანჩინი (76).

„პანათინაიკოსი" — „ანდერლეხტი" 0:0

„პანათინაიკოსი": ვანძიკი, აპოსტოლაკისი, მავრიდისი, კარაგეორგიუ, კურბანასი, ხრისტოდულუ, ანტონიუ, გიორგამლისი (ატანასიადისი, 70), ვარჟიხა, ბორელი (დონისი, 80), სარავაკოსი.
„ანდერლეხტი": მასი, კრასონი, კომანი, რუტიესი, დე ვოლფი, დეგრიზი, ვალემი, ვერსაველი (ვან ბაკენი, 65), ბოსმანი, ნილისი (ვერპეინი, 55), ოლივეირა.

VI ტური. 15 აპრილი.
„ანდერლეხტი" — „ცრვენა ზვეზდა" 3:2

„ანდერლეხტი": მასი, კრასონი, კომანი, რუტიესი, დე ვოლფი, ლემპტი (ვერპეინი, 75), ვალემი, ბოფენი (ვან ბაკენი, 66), დეგრიზი, ოლივეირა, ბოსმანი.
„ცრვენა ზვეზდა": იოვანოვიჩი, რადინოვიჩი, ნედელკოვიჩი, ტანიგა, სტოიკოვსკი, იუგოვიჩი, ბელიჩი, რატკოვიჩი, მიხაილოვიჩი (ჩულა, 78), პანჩევი, ივიჩი.
გოლები: ოლივეირა (3), პანჩევი (7), ბოსმანი (44), ჩულა (80), დეგრიზი (82).

„სამპდორია" — „პანათინაიკოსი" 1:1

„სამპდორია": პალიუკა, მანინი, პარი, ლანა, დ. ბონეტი, კატანეცი, ინვერნიცი (ბუზო, 78), სილასი, ორლანდო, მანჩინი, ვიალი.
„პანათინაიკოსი": ვანძიკი, აპოსტოლაკისი, ხრისტოდულუ, მავრიდისი, კალაცისი, კურბანასი, კარაგეორგიუ, ვარჟიხა, დონისი, სარავაკოსი, მარანგოსი.
გოლები: მარანგოსი (27), მანჩინი (36).

## გამარჯვება 112-ე წუთზე

ჩემპიონთა თასის ისტორიაში პირველად მერვედფინალების შემდეგ რვა უძლიერესი კლუბი ორ ნახევარფინალურ ჯგუფად განაწილდა, მანამდე კი ჩვეულებრივ, 32 გუნდი ჩაება გათამაშებაში. რჩეული „რვიანიდან" პირველი ეტაპი იოლად განვლეს „ცრვენა ზვეზდამ" ჩრდილოირლანდიის „პორტადაუნთან" 4:0, 4:0, „სამპდორიამ" ნორვეგიის „რუსენბორგთან" 5:0, 2:1, „ბენფიკამ" მალტის „ჰამრუნ სპარტანსთან" 6:0, 4:0, „ბარსელონამ" როსტოკის „ჰანზასთან" 3:0, 0:1 და კიევის „დინამომ" ფინეთ[illegible] პ.ი.კ.-თან 1:0, 3:0 (აქვე აღვნიშნავთ: მიუხედავად იმისა, რომ ბევრი გამოცემა კიევის „დინამოს" უკვე უკრაინას აკუთვნებდა, ის მაინც საბჭოთა კავშირის სახელით გამოდიოდა, ვინაიდან ჩემპიონთა თასის ამ გათამაშებაში როგორც საბჭოთა კავშირის ჩემპიონი მონაწილეობდა). „ანდერლეხტი" შინ ფრეს (1:1) დასჯერდა ციურიხის „გრასჰოპერსთან", მაგრამ მოულოდნელად გასვლაზე დიდი ანგარიშით მოიგო 3:0, პრაღის „სპარტამ" შინ 1:0 მოგების შემდეგ გლაზგოში „რეინჯერსთან" ასეთივე ანგარიშით წააგო, დამატებით დროში ორივე გუნდმა გაიტანა და შემდეგ წრეში ჩეხები გავიდნენ, „პანათინაიკოსი" კი მხოლოდ სტუმრად გატანილმა გოლებმა იხსნა ისლანდიის „ფრამთან" — 2:2, 0:0.

მერვედფინალში საინტერესო იყო „ბენფიკასა" და ლონდონის „არსენალის" მატჩები. პირველი ლისაბონში 1:1 დამთავრდა. ასევე დასრულდა მეორე მატჩიც, დამატებით დროში კი ლისაბონელებმა ორი უპასუხო გოლი გაიტანეს. განმეორებითი მატჩის ბოლო წუთამდე შემდეგ წრეში გასვლა არარეალური ჩანდა „ბარსელონისთვის", რომელიც „კაიზერსლაუტერნთან" შინ 2:0 მოგების შემდეგ 0:3-ს აგებდა, მაგრამ ბოლო წუთზე ტანმორჩილმა ბაკერომ აჯობა გერმანიის ჩემპიონის მცველებს და თავური დარტყმით „ბარსელონა" ლიგაში გაიყვანა. როგორც ხედავთ, თასის მომავალ მფლობელს გათამაშებიდან გავარდნას მხოლოდ ერთი წუთი აშორებდა. ამ ეტაპზე „სამპდორიამ" ერთი ბურთით აჯობა ბუდაპეშტის „ჰონვედს" 1:2, 3:1, „ცრვენა ზვეზდამ" ორივე შეხვედრაში დაამარცხა კვიპროსის „აპოლონი" 3:1, 2:0, „პანათინაიკოსმა" „გიოტებორგს" მოუგო 2:0, 2:2, „სპარტამ" მარსელის „ოლიმპიკი" გააგდო 2:3, 2:1, „ანდერლეხტმა" მეზობელ პ.ს.ვ.-ს სძლია 0:0, 2:0, „დინამომ" კი კიევში ფრეს (1:1) შემდეგ დანიის „ბრონდბიუ" კოპენჰაგენში დაამარცხა 1:0.

ჯგუფებში მალე გამოიკვეთა ორი აუტსაიდერი — „პანათინაიკოსი" და „დინამო", დანარჩენი ექვსი გუნდი კი ბოლომდე იბრძოდა. იუგოსლავიის ჩემპიონი ომის გამო საშინაო მატჩებს ბულგარეთსა და უნგრეთში ატარებდა და ალბათ, სწორედ ამან განაპირობა ის, რომ წინა გათამაშების გამარჯვებული ამჯერად ფინალს მიღმა დარჩა.

ფინალში საქმე დამატებით დრომდე მივიდა და მხოლოდ მის დამთავრებამდე რვა წუთით ადრე ჰოლანდიელმა მცველმა რონალდ კუმანმა საუცხოო საჯარიმო დარტყმით გამარჯვება ესპანელებს მოუტანა.

ქულები ყოველი ტურის შემდეგ და საბოლოო ცხრილები:

| A ჯგუფი | I | II | III | IV | V | VI | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| „სამპდორია" გენუა | 2 | 3 | 3 | 5 | 7 | 8 | 3 | 2 | 1 | 10-5 |
| „ცრ. ზვეზდა" ბელგრადი | 0 | 2 | 4 | 6 | 6 | 6 | 3 | 0 | 3 | 9-10 |
| „ანდერლეხტი" ბრიუსელი | 1 | 1 | 3 | 3 | 4 | 6 | 2 | 2 | 2 | 8-9 |
| „პანათინაიკოსი" ათენი | 1 | 2 | 2 | 2 | 3 | 4 | 0 | 4 | 2 | 1-4 |
| **B ჯგუფი** | **I** | **II** | **III** | **IV** | **V** | **VI** | **მ** | **ფ** | **წ** | **ბ** |
| „ბარსელონა" | 2 | 3 | 5 | 7 | 7 | 9 | 4 | 1 | 1 | 10-4 |
| „სპარტა" პრაღა | 0 | 2 | 3 | 4 | 6 | 6 | 2 | 2 | 2 | 7-7 |
| „ბენფიკა" ლისაბონი | 0 | 1 | 2 | 3 | 5 | 5 | 1 | 3 | 2 | 8-5 |
| „დინამო" კიევი | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 4 | 2 | 0 | 4 | 3-12 |

ფინალი
20 მაისი, ლონდონი
„ბარსელონა" — „სამპდორია" 1:0 (დ. დ)

„ბარსელონა": სუბისარეტა, ნანდო, ფერერი, კუმანი, ხუან კარლოსი, ბაკერო, სალინასი (გოიკოეჩეა, 65), სტოიჩკოვი, ლაუდრუპი, გვარდიოლა (ალესანკო, 113), ეუსებიო.
„სამპდორია": პალიუკა, მანინი, კატანეცი, პარი, ვერხოვოდი, ლანა, ლომბარდო, სერეზო, ვიალი (ბუზო, 101), მანჩინი, დ. ბონეტი (ინვერნიცი, 72).
გოლი: კუმანი (112).
მსაჯი: შმიდჰუბერი (გერმანია).

I ტური. 27 ნოემბერი.
„ბარსელონა" — „სპარტა" 3:2

„ბარსელონა": სუბისარეტა, ნანდო, კუმანი, სერნა, გვარდიოლა, ბაკერო, გოიკოეჩეა (ნადალი, 77), ამორი, ლაუდრუპი, ვიჩხე, ბეგირისტაინი (ხუან კარლოსი, 62).
„სპარტა": კოუბა, ხორნაკი, მისტრუი (ჩერნი, 73), ვრაბეცი, ლავიჩკა (მატა, 80), ნემეჩეკი, ნემეცი, ნოვოტნი, ზიგლი, კუკლეტა, ფრიდეკი.
გოლები: ამორი (16), ვრაბეცი (18), ლაუდრუპი (34), ბაკერო (61), ნემეჩეკი (63).

„დინამო" — „ბენფიკა" 1:0

„დინამო": კუტეპოვი, ლუჟნი, ცვეიბა, ალექსანენკოვი, შმატოვალენკო, კოვალეცი, ვ. მოროზი, ზაეცი, სალენკო, ი. მოროზი, შარანი (ბეცა, 78).
„ბენფიკა": ნენუ, კულკოვი, პაულუ მადეირა, რუი ბენტუ, ველოსუ (რუი კოშტა, 66), ტერნი, ვიტორ პანეირა, შვარცი, რუი აგუაში, ისაიაში (პაშეკუ, 76), იურანი.
გოლი: სალენკო (31).

II ტური. 11 დეკემბერი.
„ბენფიკა" — „ბარსელონა" 0:0

„ბენფიკა": ნენუ, რუი კოშტა (სეზარ ბრიტუ, 63), პაულუ მადეირა, რუი ბენტუ, ველოზუ (პაშეკუ, 46), ტერნი, ვიტორ პანეირა, შვარცი, კულკოვი, იურანი, ისაიაში.
„ბარსელონა": სუბისარეტა, ნანდო, ხუან კარლოსი, კუმანი, სერნა, ბაკერო, გვარდიოლა (ბეგირისტაინი, 65), სტოიჩკოვი (სალინასი, 79), ლაუდრუპი, ვიჩხე, ეუსებიო.

„სპარტა" — „დინამო" 2:1

„სპარტა": კოუბა, ხორნაკი, მისტრუი, ვრაბეცი, ლავიჩკა (მატა, 80), ნემეჩეკი, ნემეცი, ნოვოტნი, ზიგლი, კუკლეტა, ფრიდეკი.
„დინამო": კუტეპოვი, ლუჟნი, ცვეიბა, ალექსანენკოვი, შმატოვალენკო, კოვალეცი, ვ. მოროზი, ზაეცი, სალენკო, ი. მოროზი, შარანი.
გოლები: ნემეჩეკი (16), კუტეპოვი (24, საკ. კარში), შარანი (55).

III ტური. 4 მარტი.
„დინამო" — „ბარსელონა" 0:2

„დინამო": კუტეპოვი, ლუჟნი, ცვეიბა, ბესმერტნი, შმატოვალენკო, გრიცინა, ანენკოვი, ზაეცი, სალენკო, ი. მოროზი, შარანი (ვოლოტეკი, 78).
„ბარსელონა": სუბისარეტა, ნანდო, გვარდიოლა, კუმანი, როდრიგესი, ბაკერო (სალინასი, 64), ნადალი, სტოიჩკოვი, ლაუდრუპი (ბეგირისტაინი, 56), ვიჩხე, ეუსებიო.
გოლები: სტოიჩკოვი (33), სალინასი (68).

„ბენფიკა" — „სპარტა" 1:1

„ბენფიკა": ნენუ, ჟოზე კარლუში, პაულუ მადეირა, უილიამსი, ველოსუ, ტერნი, პაულუ სოუზა, რუი კოშტა, კულკოვი (პაშეკუ, 33), იურანი, მაგნუსონი.
„სპარტა": კოუბა, ნოვოტნი, მისტრუი, ვრაბეცი, ხორნაკი, ნემეჩეკი, ნემეცი, ხოვანეცი, ტრვალი (ჩერნი, 79), ზიგლი, ფრიდეკი (მატა, 39).
გოლები: ნოვოტნი (32), პაშეკუ (53 პ).

IV ტური. 18 მარტი.
„სპარტა" — „ბენფიკა" 1:1

„სპარტა": კოუბა, ხორნაკი, სიპკო (მატა, 63), ხოვანეცი, ვრაბეცი, მისტრუი, ფრიდეკი, ნემეჩეკი, ნემეცი, ზიგლი, ტრვალი (ჩერნი, 37).
„ბენფიკა": ნენუ, ჟოზე კარლუში, რუი ბენტუ, უილიამსი, ველოსუ, ვიტორ პანეირა, ტერნი, შვარცი, პაშეკუ (მაგნუსონი, 78), ისაიაში, სეზარ ბრიტუ.
გოლები: ვიტორ პანეირა (29), ხოვანეცი (45).

„ბარსელონა" — „დინამო" 3:0

„ბარსელონა": სუბისარეტა, ნანდო, გვარდიოლა (სალინასი, 73), კუმანი, ნადალი, ბაკერო (ამორი, 65), გოიკოეჩეა, სტოიჩკოვი, ლაუდრუპი, ვიჩხე, ეუსებიო.
„დინამო": მარტინკენასი, ლუჟნი (ვოლოტეკი, 9), ცვეიბა, ანენკოვი, შმატოვალენკო, გრიცინა, იაკოვენკო, ზაეცი, სალენკო (კვიტკაუსკასი, 76), ი. მოროზი, შარანი.
გოლები: სტოიჩკოვი (59, 83), სალინასი (88).

V ტური. 1 აპრილი.
„სპარტა" — „ბარსელონა" 1:0

„სპარტა": კოუბა, ხორნაკი, ნოვოტნი, ხოვანეცი, ვრაბეცი (მატა, 77), მისტრუი, ნემეჩეკი, რიდეკი, ვონაშეკი, ჩერნი, ზიგლი (იოკსიმოვიჩი, 90).
„ბარსელონა": სუბისარეტა, ნანდო, კუმანი, სერნა, ეუსებიო, გვარდიოლა (ნადალი, 74), ბაკერო, ლაუდრუპი, ვიჩხე, სალინასი (გოიკოეჩეა, 74), ბეგირისტაინი.
გოლი: ზიგლი (65).

„ბენფიკა" — „დინამო" 5:0

„ბენფიკა": ნენუ, ჟოზე კარლუში, პაულუ მადეირა, უილიამსი, ველოსუ, ტერნი, ვიტორ პანეირა (რუი კოშტა, 75), პაშეკუ (ისაიაში, 59), შვარცი, იურანი, სეზარ ბრიტუ.
„დინამო": მარტინკენასი, ბეცა, ცვეიბა, ანენკოვი, ბესმერტნი, გრიცინა, იაკოვენკო, ზაეცი, სალენკო, კვიტკაუსკასი (ვოლოტეკი, 46), შარანი (მატვეევი, 80).
გოლები: სეზარ ბრიტუ (25, 63), ისაიაში (71), იურანი (83, 88).

VI ტური. 15 აპრილი.
„დინამო" — „სპარტა" 1:0

„დინამო": კუტეპოვი, ლუჟნი, ცვეიბა, ანენკოვი, სუკიასიანი (შარანი, 46), კოვალეცი, იაკოვენკო (ტერნავსკი, 23), მატვეევი, სალენკო, ბეცა, გრიცინა.
„სპარტა": კოუბა, ნოვოტნი, იოკსიმოვიჩი, ვრაბეცი, ხორნაკი, ნემეჩეკი, ნემეცი, ხოვანეცი, ჩერნი, ზიგლი, ფრიდეკი.
გოლი: სალენკო (83).

„ბარსელონა" — „ბენფიკა" 2:1

„ბარსელონა": სუბისარეტა, ნანდო, კუმანი, სერნა, ეუსებიო, გვარდიოლა, ბაკერო, ამორი (ნადალი, 72), გოიკოეჩეა, ლაუდრუპი (ალესანკო, 82), სტოიჩკოვი.
„ბენფიკა": ნენუ, ჟოზე კარლუში (რუი კოშტა, 64), პაულუ მადეირა, რუი ბენტუ, ველოსუ, ვიტორ პანეირა, შვარცი, პაულუ სოუზა, ისაიაში (პაშეკუ, 78), სეზარ ბრიტუ, იურანი.
გოლები: სტოიჩკოვი (12), ბაკერო (24), სეზარ ბრიტუ (28).

OFFICIAL SPONSORS OF THE CHAMPIONS LEAGUE
Ford NIKE PHILIPS SNICKERS Ford NIKE PHILIPS SNICKERS

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა. 1992-93

## A

**«ოლიმპიკი»**
საფრანგეთი

**ც.ს.კ.ა.**
რუსეთი

**«ბრიუგე»**
ბელგია

**«რეინჯერსი»**
შოტლანდია

I ტური. 25 ნოემბერი.
„ბრიუგე“ — ცსკა 1:0

„ბრიუგე“: ვერლინდენი, ვერსპაილი (კრევი, 78), პლოვი, დისტლი, კოსეი, ბორკელმანსი, სტალენსი, ვან დერ ელსტი, ვერპეინი, ამოკაში (კვერტერი, 89), ძიუბინსკი.
ცსკა: ხარინი (გუტეევი, 46), გუშჩინი, ბისტროვი, კოლოტოვკინი, ივანოვი, მალიუკოვი, მაშკარინი, კოლესნიკოვი, სერგეევი, გრიშინი (კარსაკოვი, 30), ფაიზულინი.
გოლი: ამოკაში (17).

„გლაზგო რეინჯერსი“ — „ოლიმპიკი“ 2:2

„რეინჯერსი“: გორამი, მიურეი, რობერტსონი, გაფი (პრესლი, 46), მაკფერსონი, ბრაუნი, სტივენი, მაკკოლი (მაკსვიგანი, 77), დარანტი, პეიტლი, მიხაილიჩენკო.
„ოლიმპიკი“: ბარტეზი, ანგლომა, დი მეკო, ბოლი, სოზე, დესაი, კაზონი, ბოკშიჩი (დიურანი, 83), ფიოლერი (ეიდელი, 89), პელე, დეშამი.
გოლები: ბოკშიჩი (31), ფიოლერი (57), მაკსვიგანი (78), პეიტლი (83).

II ტური. 9 დეკემბერი.
„ოლიმპიკი“ — „ბრიუგე“ 3:0

„ოლიმპიკი“: ბარტეზი, ტომა, ანგლომა, დესაი, დი მეკო, კაზონი, ეიდელი (დიურანი, 82), დეშამი, სოზე, პელე, ბოკშიჩი (ფერერი, 86).
„ბრიუგე“: ვერლინდენი, ბორკელმანსი, ვერსპაი, პლოვი, დისტლი, ვან დერ ელსტი, ვან დერ ეიდენი, სტალენსი, ძიუბინსკი, ამოკაში (კოსეი, 46), ვერპეინი.
გოლები: სოზე (5 პ), ბოკშიჩი (10, 27).

ცსკა — „გლაზგო რეინჯერსი“ 0:1

ცსკა: გუტეევი, გუშჩინი (ივანოვი, 68), კოლოტოვკინი, ბისტროვი, ფოკინი, მალიუკოვი, მინკო (გრიშინი, 61), კარსაკოვი, სერგეევი, ბუშმანოვი, ფაიზულინი.
„რეინჯერსი“: გორამი, მაკკოლი, რობერტსონი, დარანტი, მაკფერსონი, ბრაუნი, სტივენი, ფერგიუსონი, მაკკოისტი, პეიტლი, მიხაილიჩენკო.
გოლი: ფერგიუსონი (13).

III ტური. 3 მარტი.
„ბრიუგე“ — „გლაზგო რეინჯერსი“ 1:1

„ბრიუგე“: ვერლინდენი, კრევე, სტალენსი, კვერტერი, კოსეი (ვერსპაი, 80), ბორკელმანსი, ვერპეინი, ვან დერ ელსტი, ძიუბინსკი, ამოკაში, ბოი.
„რეინჯერსი“: გორამი, ნისბეტი (პრესლი, 84), მაკფერსონი, ბრაუნი, რობერტსონი, ჰუისტრა, მიურეი, მაკკოლი, მიხაილიჩენკო, პეიტლი, მაკკოისტი.
გოლები: ძიუბინსკი (44), ჰუისტრა (75).

ცსკა — „ოლიმპიკი“ 1:1

ცსკა: პლოტნიკოვი, მამჩური, კოლოტოვკინი, ბისტროვი, მალიუკოვი, ანტონოვიჩი, მინკო (კარსაკოვი, 55), ივანოვი (დუდნიკი, 46), ბუშმანოვი, სერგეევი, ფაიზულინი.
„ოლიმპიკი“: ბარტეზი, ეიდელი, დი მეკო, ანგლომა, სოზე, დესაი, კაზონი, ბოკშიჩი, დობროვოლსკი (დიურანი, 58), პელე, დეშამი.
გოლები: პელე (27), ფაიზულინი (56).

IV ტური. 17 მარტი.
„გლაზგო რეინჯერსი“ — „ბრიუგე“ 2:1

„რეინჯერსი“: გორამი, ნისბეტი, მაკფერსონი, ბრაუნი, გაფი, სტივენი, მიურეი, დარანტი, მაკკოლი, მაკკოისტი, პეიტლი.
„ბრიუგე“: ვერლინდენი, კრევე, კოსეი, სტალენსი, დისტლი, ბორკელმანსი, ვერპეინი, ვან დერ ელსტი, ვან დერ ეიდენი, შასენსი, ამოკაში.
გოლები: დარანტი (41), სტალენსი (51), ნისბეტი (71).

„ოლიმპიკი“ — ცსკა 6:0

„ოლიმპიკი“: ბარტეზი, ანგლომა, დი მეკო, ბოლი, სოზე (ეიდელი, 66), დესაი, დიურანი, ბოკშიჩი, ფიოლერი (ფერერი, 65), პელე, დეშამი.
ცსკა: გუტეევი, მამჩური, კოლოტოვკინი, ბისტროვი, მალიუკოვი, ანტონოვიჩი, მინკო, მაშკარინი (კარსაკოვი, 40), სერგეევი, ბუშმანოვი (გრიშინი, 46), ფაიზულინი.
გოლები: სოზე (4 პ, 34, 48), პელე (42), ფერერი (72), დესაი (79).

V ტური. 7 აპრილი.
ცსკა — „ბრიუგე“ 1:2

ცსკა: პლოტნიკოვი, გუშჩინი, კოლოტოვკინი, მაშკარინი, მალიუკოვი, ბუშმანოვი, მინკო, კარსაკოვი (მამჩური, 73), ივანოვი (ანტონოვიჩი, 31), სერგეევი, ფაიზულინი.
„ბრიუგე“: ვერლინდენი, კოსეი, ვან დერ ელსტი, ვერპეინი, ბორკელმანსი, ვან დერ ეიდენი, კრევე, ძიუბინსკი (ბოი, 46), სტალენსი, შასენსი, ამოკაში (ვანმალე, 88).
გოლები: სერგეევი (18), შასენსი (43), ვერპეინი (84).

„ოლიმპიკი“ — „გლაზგო რეინჯერსი“ 1:1

„ოლიმპიკი“: ბარტეზი, ანგლომა, დესაი, ბოლი, დი მეკო, ეიდელი, დეშამი, სოზე, პელე, ბოკშიჩი, ფიოლერი.
„რეინჯერსი“: გორამი, მაკფერსონი, გაფი, ბრაუნი, რობერტსონი (მიურეი, 54), სტივენი, მაკკოლი, ჰუისტრა (მაკსვიგანი, 80), ფერგიუსონი, დარანტი, მაკკოისტი.
გოლები: სოზე (15), დარანტი (53).

VI ტური. 21 აპრილი.
„ბრიუგე“ — „ოლიმპიკი“ 0:1

„ბრიუგე“: ვერლინდენი, დისტლი, კრევე, სტალენსი, კოსეი, ბორკელმანსი, შასენსი (რენიე, 81), ვანმალე, ძიუბინსკი, ვერპეინი, ამოკაში.
„ოლიმპიკი“: ბარტეზი, ანგლომა, დესაი, ბოლი, ტომა, ეიდელი, ფერერი (სოზე, 46), დეშამი, პელე, ბოკშიჩი, ფიოლერი (დიურანი, 90).
გოლი: ბოკშიჩი (2).

„გლაზგო რეინჯერსი“ — ცსკა 0:0

„რეინჯერსი“: გორამი, მაკკოლი, რობერტსონი, გაფი, მაკფერსონი, ბრაუნი, სტივენი (მაკსვიგანი, 80), ფურგიუსონი, მაკკოისტი, დარანტი, ჰუისტრა.
ცსკა: პლოტნიკოვი, გუშჩინი, მამჩური, მაშკარინი, მალიუკოვი, ბუშმანოვი, მინკო, კარსაკოვი, ანტონოვი, სერგეევი, ფაიზულინი (დუდნიკი, 60).




## ფრანგების პირველი თასი

ჩემპიონთა თასის ამ გათამაშებაში პირველად მიიღეს მონაწილეობა, როგორც დამოუკიდებელმა ქვეყნებმა, ყოფილ საბჭოთა კავშირსა და იუგოსლავიაში შემავალი ზოგიერთი რესპუბლიკების (უკრაინა, ლიტვა, სლოვენია, ლატვია, რუსეთი, ესტონეთი) ჩემპიონებმა. სულ ბოლო მომენტში, კენჭისყრის წინა დღეს გათამაშებაში მონაწილეობაზე უარი უთხრეს საქართველოს, ხორვატიის და ალბანეთის ჩემპიონებს. ჩატარდა საკვალიფიკაციო წრეც. უკვე ცნობილი იყო, რომ წინა გათამაშების მსგავსად მეოთხედფინალებისა და ნახევარფინალების მაგივრად ორი ჯგუფი შეიქმნებოდა და მას ამიერიდან „ჩემპიონთა ლიგა“ ეწოდებოდა. ლიგაში მოხვედრილ გუნდებს სხვა სიკეთესთან ერთად ელოდათ უეფა-ს ფულადი ჯილდოც, რომელიც მოგროვილ ქულებზე იყო დამოკიდებული.

მეთექვსმეტედფინალში მომავალმა „ლიგელებმა“ იოლად დაამარცხეს მოწინააღმდეგენი: „მილანმა“ მოუგო სლოვენიის „ოლიმპიას“ 4:0, 3:0, „მარსელმა“ — ჩრდილოირლანდიის „გლენტორანს“ 5:0, 3:0, პ.ს.ვ.-მ — ლიტვის „ჟალგირისს“ 6:0, 2:0, ც.ს.კ.ა.-მ — ისლანდიის „ვიკინგურს“ 1:0, 4:2, „პორტუმ“ — ლუქსემბურგის „უნიონს“ 4:1, 5:0, „გლაზგო რეინჯერსმა“ — დანიის „ლუნგბიუს“ 2:0, 1:0, „ბრიუგემ“ — თელ-ავივის „მაკაბის“ 1:0, 3:0 და „გიოტებორგმა“ — თურქეთის „ბეშიქთაშს“ 2:0, 1:2. როგორც ხედავთ, მომავალი საუკეთესო რვა გუნდიდან ამ ეტაპზე მხოლოდ შვედეთის ჩემპიონმა წააგო ერთი მატჩი.

მერვედფინალში მოგება უკვე ლიგაში მოხვედრას ნიშნავდა და ასე იოლად არცერთი მეტოქე აღარ ნებდებოდა. სენსაციურად წააგო „ბარსელონამ“, რომელმაც მოსკოვში ფრედ დამთავრებული მატჩის შემდეგ „ნოუ კამპზე“ 2:3 წააგო რუს არმიელებთან, თუმცა 2:0-ს იგებდა. ეს ამ გათამაშების ყველაზე დიდი მოულოდნელობა იყო, თან რუსეთის ჩემპიონის გასვლამ ლიგაში უეფა-ს საკმაო პრობლემები გაუჩინა, თუმცა ამაზე ქვემოთ. ამ ეტაპზე კვლავ გაისეირნა „მილანმა“, რომელმაც ორივე მატჩი მოუგო ბრატისლავის „სლოვანს“ — 1:0, 4:0. ორივეჯერ მოიგეს „გიოტებორგმა“ პოლონეთის „ლეხთან“ 1:0, 3:0 და ყველას გასაკვირად „რეინჯერსმაც“, რომელმაც ინგლისის ჩემპიონი „ლიდს იუნაიტედი“ გააგდო — 2:1, 2:1. პ.ს.ვ.-მ დაამარცხა საბერძნეთის ა.ე.კ. 0:1, 3:0, „პორტუმ“ — შვეიცარიის „სიონი“ 2:2, 4:0, „მარსელმა“ — ბუქარესტის „დინამო“ 0:0, 2:0. მხოლოდ მეტოქის მოედანზე გატანილმა გოლმა ლიგაში გაიყვანა „ბრიუგე“, რომელმაც ვენის „აუსტრიას“ შინ მოუგო 2:0, სტუმრად კი 1:3 დათმო.

ლიგის თამაშები ამჯერად ერთიდაიმავე დღეს და ერთიდაიმავე დროს იმართებოდა. თამაშებს წინ უძღოდა საზეიმო ცერემონიალები. უეფასთვის სამწუხაროდ, რუსეთის ამინდმა არ მისცა ც.ს.კ.ა.-ს საშუალება შინ ჩაეტარებინა მატჩები, თანაც მოსკოვში არ აღმოჩნდა სათანადოდ მომზადებული სტადიონი, ამიტომაც რუსეთის ჩემპიონი საშინაო მატჩებს ხან ესპანეთში, ხანაც გერმანიაში ატარებდა.

მეორე ჯგუფში „მილანმა“ ყველა თამაში მოიგო და ბოლოსწინა ტურში უკვე გაინაღდა ფინალში მონაწილეობა. საპირისპიროდ წარიმართა ბრძოლა პირველ ჯგუფში, სადაც შოტლანდიის და საფრანგეთის ჩემპიონები ბოლო ტურამდე ეცილებოდნენ ფინალის საგზურს. საბოლოოდ, „რეინჯერსი“, რომელსაც თამაში არ წაუგია, მაინც ვერ გავიდა პირველ ადგილზე და იგი „მარსელს“ დაუთმო. ფინალში ფრანგების ბელგიელმა მწვრთნელმა რაიმონ გუტალსმა კვლავ ჩვეული ფანდი — თამაშგარე იხმარა და ფავორიტად მიჩნეული „მილანიც“ ვერაფერს გახდა. ბაზილ ბოლის ერთადერთმა გოლმა „მარსელს“ მოუტანა თასი, რომელიც ფრანგული ფეხბურთის ისტორიაში პირველი გამოდგა.

ქულები ყოველი ტურის შემდეგ და საბოლოო ცხრილები:

| A ჯგუფი | I | II | III | IV | V | VI | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| „ოლიმპიკი“ მარსელი | 1 | 3 | 4 | 6 | 7 | 9 | 3 | 3 | 0 | 14-4 |
| „რეინჯერსი“ გლაზგო | 1 | 3 | 4 | 6 | 7 | 8 | 2 | 4 | 0 | 7-5 |
| „ბრიუგე“ | 2 | 2 | 3 | 3 | 6 | 6 | 2 | 1 | 3 | 5-8 |
| ც.ს.კ.ა. მოსკოვი | 0 | 0 | 1 | 1 | 1 | 2 | 0 | 2 | 4 | 2-11 |

| B ჯგუფი | I | II | III | IV | V | VI | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| „მილანი“ | 2 | 4 | 6 | 8 | 10 | 12 | 6 | 0 | 0 | 11-1 |
| „გიოტებორგი“ | 0 | 2 | 4 | 6 | 6 | 6 | 3 | 0 | 3 | 7-8 |
| „პორტუ“ | 1 | 1 | 1 | 1 | 3 | 5 | 2 | 1 | 3 | 5-5 |
| პ.ს.ვ. ეინდჰოვენი | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 0 | 1 | 5 | 4-13 |

ფინალი
26 მაისი, მიუნხენი
„ოლიმპიკი“ — „მილანი“ 1:0

„ოლიმპიკი“: ბარტეზი, ანგლომა (დიურანი, 61), დი მეკო, ბოლი, დესაი, სოზე, ეიდელი, დეშამი, ბოკშიჩი, ფიოლერი (ტომა, 79), პელე.
„მილანი“: როსი, ტასოტი, კოსტაკურტა, ბარეზი, მალდინი, ლენტინი, რაიკაარდი, ალბერტინი, დონადონი (პაპენი, 54), ვან ბასტენი (ერანიო, 85), მასარო.
გოლი: ბოლი (44).
მსაჯი: როტლისბერგერი (შვეიცარია)

## B

**«მილანი»**
იტალია

**«გიოტებორგი»**
შვედეთი

**პ.ს.ვ.**
ჰოლანდია

**«პორტუ»**
პორტუგალია

I ტური. 25 ნოემბერი.
„პორტუ“ — პსვ 2:2

„პორტუ“: ვიტორ ბაია, ჟოაო პინტუ, ანდრე, ალოიზიუ, ჟოზე კარლუში, ფილიპე, ჟაიმე მაგალიაეში, კოსტადინოვი, დომინგუში, სემედუ (ტოზე, 63), ჟორჟე კოუტუ.
პსვ: ვან ბრეკელენი, ლინსკენსი, ვან ტიგელენი, კუმანი (დე იონგი, 80), პაინცე (ფაბერი, 32), პოპესკუ, ვანენბურგი, ელერმანი, რომარიო, კიფტი, ნუმანი.
გოლები: ჟაიმე მაგალიაეში (35), რომარიო (43, 60), ჟოზე კარლუში (75).

„მილანი“ — „გიოტებორგი“ 4:0

„მილანი“: ანტონიოლი, ტასოტი, მასარო, ალბერტინი, კოსტაკურტა (ნავა, 67), ბარეზი, ლენტინი (სიმონე, 74), რაიკაარდი, ვან ბასტენი, პაპენი, ერანიო.
„გიოტებორგი“: რაველი, იუჰანსონი, პედერსენი, სვენსონი, კამარკი, ერიკსონი, რენი (ლეკსელი, 69), მილდი, ნილსონი, ანდერსონი, ექსტრიომი.
გოლები: ვან ბასტენი (34, 53 პ, 61, 62).

II ტური. 9 დეკემბერი.
„გიოტებორგი“ — „პორტუ“ 1:0

„გიოტებორგი“: რაველი, იუჰანსონი, კამარკი, ნილსონი, სვენსონი, ანდერსონი, ერიკსონი, მილდი, რენი, ბენგტსონი (ლინდკვისტი, 71), ექსტრიომი.
„პორტუ“: ვიტორ ბაია, ჟოაო პინტუ, ალოიზიუ, ფერნანდუ კოუტუ, ბანდერილია, ჟორჟე კოუტუ, კარლუშ სანტუში (ტოზე, 65), ანდრე, სემედუ, კოსტადინოვი, დომინგუში.
გოლი: ერიკსონი (87).

პსვ — „მილანი“ 1:2

პსვ: ვან ბრეკელენი, ბერენსი, ფაბერი, ლინსკენსი, პაინცე, ვანენბურგი, პოპესკუ, ნუმანი, ელერმანი (ჰუკსტრა, 38), რომარიო, კიფტი.
„მილანი“: როსი, ტასოტი, მალდინი, ალბერტინი, კოსტაკურტა, ბარეზი, ლენტინი, რაიკაარდი, ვან ბასტენი, გულიტი (ერანიო, 59), სიმონე (მასარო, 89).
გოლები: რაიკაარდი (20), სიმონე (63), რომარიო (66).

III ტური. 3 მარტი.
„პორტუ“ — „მილანი“ 0:1

„პორტუ“: ვიტორ ბაია, ჟოაო პინტუ, ფერნანდუ კოუტუ, ალოიზიუ, [illegible] ჟორჟე, ჟორჟე კოშტა, ჟორჟე კოუტუ (დომინგუში, 68), სემედუ, ტიმოფტე, კოსტადინოვი (ტონი, 78), პაულინიუ სანტუში.
„მილანი“: როსი (კუდიჩინი, 87), ტასოტი, კოსტაკურტა, ბარეზი, მალდინი, ალბერტინი, ბობანი, ლენტინი, გულიტი, პაპენი, სიმონე (ევანი, 79).
გოლი: პაპენი (71).

პსვ — „გიოტებორგი“ 1:3

პსვ: ვან ბრეკელენი, ვან აერლე, ვან ტიგელენი, ფაბერი, პაინცე, პოპესკუ, ნუმანი, ლინსკენსი (ვანენბურგი, 46), რომარიო, კიფტი, ჰუკსტრა.
„გიოტებორგი“: რაველი, იუჰანსონი, ბიერკლუნდი, სვენსონი, კამარკი, ერიკსონი, რენი, მილდი, ნილსონი, მარტინსონი (ანდერსონი, 67), ექსტრიომი (ლუნდკვისტი, 88).
გოლები: ნუმანი (7), ნილსონი (19), ექსტრიომი (34, 44).

IV ტური. 17 მარტი.
„მილანი“ — „პორტუ“ 1:0

„მილანი“: როსი, გამბარო, კოსტაკურტა, ბარეზი, მალდინი, ალბერტინი, ევანი, ლენტინი (მასარო, 66), ერანიო, პაპენი, სიმონე (სავიჩევიჩი, 81).
„პორტუ“: ვიტორ ბაია, ჟოაო პინტუ, ალოიზიუ, ფერნანდუ კოუტუ, რუი ჟორჟე, ტიმოფტე, პაულინიუ სანტუში (დომინგუში, 64), ჟორჟე კოუტუ, სემედუ, კოსტადინოვი, ანდრე (ბინუ, 83).
გოლი: ერანიო (31).

„გიოტებორგი“ — პსვ 3:0

„გიოტებორგი“: რაველი, იუჰანსონი, ბიერკლუნდი, სვენსონი, კამარკი, ერიკსონი (ანდერსონი, 57), რენი, მილდი, ნილსონი, მარტინსონი, ექსტრიომი.
პსვ: ვან ბრეკელენი, ვან აერლე, ვან ტიგელენი, კუმანი, პაინცე, ფაბერი, ლინსკენსი, ვანენბურგი, რომარიო, ნუმანი (კალუშა ბვალია, 14), ჰუკსტრა.
გოლები: ნილსონი (1), ექსტრიომი (45), მარტინსონი (47).

V ტური. 7 აპრილი
პსვ — „პორტუ“ 0:1

პსვ: ვან ბრეკელენი, ბერენსი, კუმანი, ფაბერი, პაინცე, ვანენბურგი, კლომპი, ლინსკენსი, ჰუკსტრა (კალუშა ბვალია, 81), რომარიო, კიფტი (ელერმანი, 62).
„პორტუ“: ვიტორ ბაია, ბანდერილია, ჟოზე კარლუში, ფერნანდუ კოუტუ, ვლკი (რუი ჟორჟე, 65), ტოზე (დომინგუში, 38), პაულინიუ სანტუში, ჟორჟე კოშტა, ჟორჟე კოუტუ, პაულინიუ სეზარი, ბინუ.
გოლი: ზე კარლუში (71 პ).

„გიოტებორგი“ — „მილანი“ 0:1

„გიოტებორგი“: რაველი, იუჰანსონი, ბიერკლუნდი, სვენსონი, კამარკი, ერიქსონი, რენი, მილდი, ნილსონი, მარტინსონი, ექსტრიომი.
„მილანი“: როსი, ტასოტი, ნავა, ევანი, კოსტაკურტა, მალდინი, ლენტინი, რაიკაარდი, ბობანი, სავიჩევიჩი, მასარო (გამბარო, 87).
გოლი: მასარო (70).

VI ტური. 21 აპრილი.
„მილანი“ — პსვ 2:0

„მილანი“: კუდიჩინი, ნავა, კოსტაკურტა, მალდინი, გამბარო, დონადონი, ევანი, ბობანი, დე ნაპოლი, სიმონე (მასარო, 34), სავიჩევიჩი.
პსვ: დერონი, ვან აერლე (ბერენსი, 37), კუმანი, ვან ტიგელენი, ვან დერ გააგი, პოპესკუ, ლინსკენსი (კლომპი, 77), ვანენბურგი, ელერმანი, რომარიო, ჰუკსტრა.
გოლები: სიმონე (5, 18).

„პორტუ“ — „გიოტებორგი“ 2:0

„პორტუ“: ვიტორ ბაია, ბანდერილია, ჟოზე კარლუში, ფერნანდუ კოუტუ, რუი ჟორჟე (ჟორჟე კოშტა, 45), ტიმოფტე, ჟაიმე მაგალიაეში, სემედუ, ანდრე, კოსტადინოვი (ბინუ, 83), დომინგუში.
„გიოტებორგი“: რაველი, იუჰანსონი, ბიერკლუნდი (ულსონი, 68), კამარკი, ნილსონი, ლინდკვისტი, რენი, მილდი, ბენგტსონი, მარტინსონი (ერიკსონი, 58), ექსტრიომი.
გოლები: ზე კარლუში (42), ტიმოფტე (56).

OFFICIAL SPONSORS OF THE CHAMPIONS LEAGUE · OFFICIAL SPONSORS OF THE CHAMPIONS LEAGUE
Ford NIKE PHILIPS SNICKERS Ford NIKE PHILIPS SNICKERS

**ნინა კვირაში ცალკე ქალთა და ცალკე ვაჟთა მსოფლიო ტურების შემაჯამებელი შეჯიბრებები გაიმართება. სეზონის მანძილზე ნაჩვენები შედეგების მიხედვით შერჩეული 16 მანდილოსანი ნიუ-იორკის „მედისონ სკვეარ გარდენში" შეიკრიბა, 8 ვაჟკაცი კი — მაინის ფრანკფურტში.**

# გერმანელთა დუბლი

ქალებს საპრიზო ფონდიც მეტი ჰქონდათ და მაყურებელიც უფრო მრავლად ჰყავდათ — შესაბამისად 3,5 მილიონი დოლარი 2,75 მილიონის წინააღმდეგ და 18 ათასი დამსწრე 9 ათასის საპირისპიროდ. ორივე შეჯიბრება გერმანელთა გამარჯვებით დასრულდა: დუბლი შტეფი გრაფმა და მიხაელ შტიხმა განახორციელეს.

გრაფი ტერფის ოპერაციის შემდეგ



შტეფი გრაფი

მეორე ტურნირში ასპარეზობდა და როგორც ანგარიშებიდან ჩანს (იხ. ამა და წინა „სარბიელის" შედეგთა დაფები), მოგება არ გასჭირვებია. ერთი ეგ იყო, ნახევარფინალში თანამემამულე ანკე ჰუბერის გზიდან ჩამოშორებას 102 წუთი მოანდომა, ფინალი კი, რომელიც ქალთათვის უჩვეულო რეგლამენტით — სამი ხელის მოგებამდე ტარდებოდა, ტკივილგამაყუჩებელ ნემსგაკეთებულმა ითამაშა და მოუგო მეორე ნომრად განთესილ სანჩეს-ვიკარიოს, რომელსაც თავის მხრივ მუცელი სტკიოდა, რის გამოც მესამე ხელში, ვიდრე მას მოიგებდა, ესპანელმა კორტზე ექიმიც კი იხმო.

მანამდე, ნახევარფინალში სანჩეს-ვიკარიომ სძლია 18 წლის გაფრანგებულ კანადელ მარი პირსს, რომელმაც მეოთხედფინალში ხალხის ფავორიტი, დედათმავალი ვეტერანი მარტინა ნავრატილოვა გათიშა. ნავრატილოვა თამაშის დროს ისე გატუტუცდა, რომ ჩოგანიც კი დაანარცხა მოედანს, მაგრამ საზოგადოებრიობამ ჯაგლაგ ჩოგბურთელს ეს საქციელიც მოუწონა (?!)

სანჩეს-ვიკარიოს მეოთხედფინალშიც დიდი ბრძოლა გადახდა — ვიდრე ჩეხ სუკოვას მოუგებდა, კორტზე 177 წუთი მოუწია ჯახირი. სამაგიეროდ, მის თანამემამულე მარტინესს, რომელსაც გავა სტკენოდა, ჰუბერმა 34 წუთში მოუგო.

მარტინესმა მერვედფინალში გააგდო მალეევა-ფრანიე, რომლისთვისაც იმდღევანდელი მატჩი უკანასკნელი ყოფილა: ბულგარელი ქალი კარგა ხანია რაც შვეიცარიაში გათხოვილა, ჰოდა, ახლა ჩოგბურთს თავს ანებებს და ბავშვის გაჩენას აპირებს!

ამ ტურნირის შემდეგ დაზუსტდა ქალთა რეიტინგები. ისინი თურმე წლის ბოლომდე აღარ შეიცვლება. პირველი ისევ გრაფია, მეორე — სანჩეს-ვიკარიო, მესამე — ნავრატილოვა. ბეჩავი სელეში უკვე მერვეა, პირსი კი, რომელმაც ზაფხულში როგორც იყო ჩამოიცილა ჩხუბისთავი მამა, ქალიშვილის მწვრთნელობას რომ ჩემობდა, ერთბაშად ათი საფეხურით აღზევდა და დღესდღეობით მეთორმეტეა.

კაცთა ტურნირს მსოფლიოს ახალი ჩემპიონი უნდა დაესახელებინა, ვინაიდან შარშანდელი გამარჯვებული ბორის ბეკერი უძლიერეს რვეულში ვერ მოხვდა — ბორისს ჩოგბურთი აღარც ახსოვს, რადგან მისი ზანგი საყვარელი ბავშვს ელოდება. ბეკერის არყოფნაში ფრანკფურტელთა იმედი მიხაელ შტიხი იყო, თუმცაკი ხალხს მაინც ბორისი ერჩია.

პირველ ეტაპზე, ჩოგბურთისათვის ასევე უჩვეულო წრიულ ტურნირებში ერთგვარი მოულოდნელობა მხოლოდ კურიეს მიერ განცდილი სამი მარცხი იყო: მსოფლიოს მეორე ჩოგანი, ეტყობა, სეზონმა გადაღალა და ისიც შესვენებისას, ვითომც დასასვენებლად, ზედ კორტზე წიგნებს კითხულობდა.

სამი ნახევარფინალისტი: სამპრასი, შტიხი და 19 წლის უკრაინელი მედვედევი იოლად გაირკვა. ფიცხელი ბრძოლა გაიმართა მეოთხე ადგილისათვის ივანიშევიჩსა და ედბერგს შორის. პირველ ორ ხელში მეტოქეებს ტაი-ბრეიკის თამაშიც მოუხდათ. ბოლოსდაბოლოს მოიგო ფიცხმა გორანმა, რომელსაც წინა ექვს ჯერზეც დაემარცხებინა შვედი.

ნახევარფინალები სლავების დამარცხებით დასრულდა. სამპრასმა მედვედევი 51 წუთში გაისტუმრა: პირველ ბურთი 196 კმ-სთ სიჩქარიანი მოწოდებით ჩაუგდო, ბოლო კი სეზონის მეათასე (!) „ეისით". აქამდე ATP-ის ტურის სეზონური რეკორდი — 957 „ეისი" ივანიშევიჩს ეკუთვნოდა.

ხორვატი შტიხს ერთობ გაუძალიანდა და თუმცა ორ ხელში წააგო, მაგრამ ორივეჯერ ტაი-ბრეიკზე. შტიხი მარჯვედ გადიოდა ბადესთან — ასეთ გასვლათა 75 პროცენტი მის სასარგებლოდ დასრულდა. მეორე ხელის ტაი-ბრეიკში, ვიდრე გაიმარჯვებდა, შტიხს ხუთი მატჩ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ გორანმა ამდენჯერვე თავი დააღწია განსაცდელს. საბოლოოდ ეს გეიმი 12:10 დასრულდა.

ფინალში პირისპირ ორი უნივერსალი წარსდგა. შტიხმა 27 „ეისის" წყალობით ოთხ ხელში გაიმარჯვა, რის შედეგად ისე გამოვიდა, რომ გერმანელმა წელს ოთხივე ტიპის საფარზე — ბალახზე, თიხაზე, პარკეტსა თუ ხალიჩაზე შეძლო ტურნირების მოგება. შტიხმა წელს უკვე მესამედ გაიმარჯვა სამშობ-



მიხაელ შტიხი

ლოში — აქამდე იგი პირველი იყო ჰამბურგში გამართულ გერმანიის ღია პირველობაში და შტუტგარტის ჰერკვეშა შეჯიბრებაში.

ამდენი გამარჯვების შემდეგ მსოფლიო კლასიფიკაციაში შტიხი პირველად აღზევდა მეორე ადგილამდე. პირველი კვლავაც პიტ სამპრასია.

ქალთა და ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონები კი გამოვლინდნენ, მაგრამ ახლა მსოფლიოს უძლიერესი წყვილია დასადგენი. საამისოდ იოჰანესბურგის „ელის პარკის" დარბაზში რვა წყვილი შეიკრიბა და ოთხშაბათიდან ჩაება შეჯიბრებაში. განთესვით პირველი და მეორე ნომრები წლევანდელი უიმბლდონის გამარჯვებულები და ხელმოცარული ფინალისტები, შესაბამისად ტოდ ვუდბრიჯი — მარკ ვუდფორდი (ორივე ავსტრალია) და გრანტ კონოლი (კანადა) — პეტ გალბრეითი (აშშ) არიან.





# მაიკლ ჯორდანიც წავიდა

ამ თვენახევრის წინ, როცა ყველა დროის საუკეთესო კალათბურთელმა, მაიკლ ჯორდანმა თამაშის მიტოვება გადაწყვიტა, ამერიკა გაოგნებული დარჩა. ჯორდანის გადაწყვეტილება სავსებით მოულოდნელი იყო და მან ძლიერ დაალონა მთელი მსოფლიოს სპორტისმოყვარული საზოგადოება. ამ თემამ გამოაძევა გაზეთებიდან და ტელევიზიიდან სომალის, ბოსნიის, აფხაზეთის ომები, კომუნისტური ჯანყი მოსკოვში... ერთ-ერთმა ყველაზე სოლიდურმა და ავტორიტეტულმა გაზეთმა მსოფლიოში, „ნიუ-იორკ თაიმსმა", მაიკლ ჯორდანის წასვლას ოთხი სვეტი დაუთმო, ხოლო მისმა კონკურენტმა „ვაშინგტონ პოსტმა" — ხუთი. ყველა ტელეარხმა მრავალი სიუჟეტი მიუძღვნა ამ გამოჩენილ კალათბურთელს. ყველაფერი ეს ხაზს უსვამდა მომხდარის მნიშვნელობას და ამტკიცებდა სუპერვარსკვლავის უდიდეს პოპულარობას: თავის ქვეყანაში ჯორდანს ამაში კონკურენტი არა ჰყავს.

მაგრამ სამწუხაროდ მასზე წარსულ დროში გვიხდება წერა. ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ეს ასეა, და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამ შესანიშნავი თამაშის თაყვანისმცემელნი ვეღარ იხილავენ მაიკლ ჯორდანს, ანუ, როგორც მას ამერიკელები უწოდებენ, „ეირ ჯორდანს" (ჰაეროვანს): პირველ რიგში იმიტომ, რომ უკვე მესამე წელია, რაც მსოფლიო კალათბურთი თავისი საუკეთესო წარმომადგენლის გარეშე რჩება. ორი წლის წინ ჩვენ გამოვემშვიდობეთ მეჯიკ ჯონსონს, შარშან — ლარი ბერდს, ახლა კი — ჯორდანს. მათი წასვლა განსხვავებული მიზეზებით იყო განპირობებული: ჯონსონმა სპორტი ავადმყოფობის გამო მიატოვა, ბერდმა — მძიმე ტრავმების, ხოლო ჯორდანი თავისი ზეობის ხანაში წავიდა. ეს კი ძნელი დასაჯერებელია. მართალია, ბევრი ფიქრობს, რომ მან ვერ დაძლია ის სულიერი სტრესი, რომელიც ამ ზაფხულს მამამისის — მაიკლისათვის ყველაზე ახლო ადამიანის მკვლელობით იყო გამოწვეული.

— მართალია, მე მიჭირს უმამოდ, მან ხომ ჩემთან ერთად გაიარა ჩემი საკალათბურთო გზა. იგი იზიარებდა ჩემს დარდსა და სიხარულს. ჩვენ ერთად ვიგებდით და ვაგებდით და მე მოხარული ვარ, რომ ის მომსწრე იყო ჩემი სამი გამარჯვებისა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში — თქვა 30 წლის მაიკლ ჯორდანმა პრესკონფერენციაზე და თვალებში ცრემლი აუკიაფდა.

— მაგრამ ეს არ გამხდარა მიზეზი ჩემი წასვლისა — განაგრძო მან — მივდივარ იმიტომ, რომ ვეღარაფერს დარფასესი მოთამაშეა, „ფლეი-ოფის" სამი ფინალის უძვირფასესი მოთამაშე. სარეკორდო შედეგი აჩვენა „ფლეი-ოფის" სერიაში 1986 წლის 20 აპრილს, „ბოსტონ სელტიკსის" წინააღმდეგ, სადაც მან 63 ქულა მოაგროვა. აქვს NBA-ს ისტორიაში უმაღლესი საშუალო მაჩვენებელი შედეგიანობის მიხედვით — 32,3 ქულა თამაშში, შვიდჯერ იყო NBA-ს საუკეთესო სნაიპერი. ეს უკანასკნელი განმეორებაა ლეგენდარული უილტ ჩემბერლენის შედეგისა, მაგრამ მაშინ ჩემბერლენი ფარქვეშ სრული ბატონ-პატრონი იყო და მას ღირსეული მეტოქე არ ყავდა, ხოლო ჯორდანი ქულებს აგროვებდა მეჯიკ ჯონსონთან, ლარი ბერდთან, კარლ მელოუნთან, კლაიდ დრექსლერთან, ტომ ჩამბერსთან, დომინიკ უილკინსთან ორთაბრძოლაში...

— ჩვენ ყველა მიწაზე დავდივართ, მაიკლი კი — ჩვენ თავს ზემოთ დაფარფატებს — განაცხადა ირვინ „მეჯიკ" ჯონსონმა ტელეინტერვიუში და თავისი სიტყვების დასამტკიცებლად მარჯვენა ხელით ჰაერში ხაზი გაავლო. ვგონებ, ამით ყველაფერი ნათქვამია.

მეტსახელი „ეირი" მაიკლ ჯორდანს ბავშვობაში შეარქვეს, მისი უნიკალური ნახტომის გამო. მან თავისი ნახტომი პირველად 16 წლის წინ შეასრულა. ეს ჩრდილოეთ კაროლინას შტატის ქალაქ უილინგტონში მოხდა, როცა ერთმანეთს მერვეკლასელი მოსწავლეები ხვდებოდნენ. უეცრად გამხდარმა ბიჭმა, რომლის სიმაღლე 175 სანტიმეტრი იყო, მოედნის ცენტრში მიიღო ბურთი, შევიდა მოწინააღმდეგის ფართან და ულამაზეს ნახტომში ბურთი კალათში ჩატენა. მჭყურებელმა შეყვირა გაოცებისგან: არავის ახსოვდა, რომ 14 წლის ყმაწვილს ასეთი ილეთით მოეთავსებინა ბურთი კალათში.

— მე ვერ ავხსნი, როგორ მოხდა ეს ყველაფერი. მე გულის ფანცქალით ვუმზერდი, როგორ ტენიდნენ ხოლმე ბურთებს ჩვენი კალათბურთის კორიფენი და ყოველთვის ვოცნებობდი იმ დღეზე, როცა მეც შევძლებდი ამას. ვარჯიშებზე მე ხშირად ვუმტკიცებ ვერც ჩემს თავს და ვერც ხალხს. თუ მე დავრჩები, მომიწევს იმავე გზის გავლა, რაც უკვე გავიარე. შემდეგ კი დაღმართი დაიწყება. ეს მე არ მინდა. მე მინდა ხალხს დავამახსოვრდე ისეთ კალათბურთელად, რომელიც თამაშს თავისი შესაძლებლობების 110 პროცენტს ახმარდა. მე მოვიგე ყველაფერი, რაც შესაძლებელი იყო. მეტი მოსაგები აღარაფერია.

მართლაც, არცთუ იოლია ყველა მისი წოდების ჩამოთვლა. მაიკლ ჯორდანი ამერიკის 1982 წლის ჩემპიონია სტუდენტთა შორის, მან ეს ტიტული ჩრდილოეთ კაროლინას უნივერსიტეტის გუნდთან ერთად მოიპოვა. აშშ-ს ორი სტუდენტური ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშეა, 1984 წლის ოლიმპიური ჩემპიონია აშშ-ს სტუდენტურ ნაკრებთან ერთად და 1992 წლის ოლიმპიადის ოქროს მედლის მფლობელია NBA-ს ნაკრების შემადგენლობაში, „ჩიკაგო ბულზთან" ერთად 1991, 1992, 1993 წლებში NBA-ს ჩემპიონია. 1987-88, 1990-91 და 1991-92 წლების უძვივიმეორებდი ამ ილეთს, მაგრამ არაფერი გამომდიოდა. იმ მატჩში ყველაფერი თავისთავად მოხდა — იხსენებს ჯორდანი. ამბობენ, მას შემდეგ მან თავის დაანება „სლემ დანქის" ვარჯიშს, როგორც ამერიკელები უწოდებენ ბურთის ჩატენვას: ეს ილეთი თავისთავად გამოსდიოდა. იგი ახტებოდა, გაიფრენდა მოთამაშეთა თავებზე და ბურთს კალათში ტენიდა.

იგი ხარობდა და სხვებსაც სიხარულს ანიჭებდა. ამიტომ მისი სიტყვები: „მე ვგრძნობ, რომ კალათბურთი ჩემთვის სამუშაოდ გადაიქცა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ დაუყოვნებლივ უნდა წავიდე" — მოწმენდილ ცაზე ქუხილივით გაისმა. ეს სიტყვები სხვას რომ ეთქვა, ყველა ნორმალურად აღიქვამდა: კალათბურთი რომ სამსახური ხდება პროფესიონალი სპორტსმენისთვის მას შემდეგ, რაც იგი პირველ კონტრაქტს მოაწერს ხელს. მაგრამ, ყველამ ისიც იცის, რომ კალათბურთი მაიკლისათვის ყოველთვის და პირველ რიგში თამაში იყო. ალბათ, ამიტომ შეძლო მან უმაღლესი მწვერვალების დაპყრობა.

კალათბურთელის თამაშს ორი პოზიციიდან განიხილავენ — თავდამსხმელისა და მცველის. ჯორდანი — ეს უიშვიათესი შემთხვევა — ორივეგან ერთნაირად ძლიერი იყო. NBA-ში გატარებული ცხრა წლიდან იგი შვიდჯერ გახდა საუკეთესო სნაიპერი და ექვსჯერ მოხვდა საუკეთესო მცველთა ხუთეულში. პერსონალურ დაცვაში იგი ერთ-ერთი საუკეთესო იყო. მხოლოდ ბოლო სამი წლის „ფლეი-ოფის" მატჩებში მანს მშრალზე დაუტოვებია მეჯიკ ჯონსონი (ლოს-ანჯელესი), ჯო დუმარსი (დეტროიტი), კლაიდ დრექსლერი (პორტლენდი), კევინ ჯონსონი (ფინიქსი)... ცოტა ვინმე თუ სჯობნიდა მას ფარიდან ასხლეტილი ბურთების დაუფლებაში და გადაცემის ჩაჭრაში. მას ჰქონდა ერთი ბრწყინვალე თვისება, რომელსაც მხოლოდ უდიდესი კალათბურთელები ფლობდნენ: შეეძლო თამაშის საკუთარ თავზე აღება. ხშირად იფიქრებდი, რომ იგი გადამწყვეტი ტყორცნის შესასრულებლად არის დაბადებული. ალბათ, მართალნი არიან ისინი, ვინც თვლის, რომ „ჩიკაგო ბულზის" გამარჯვებები მაიკლ ჯორდანის დამსახურებაა.

„როცა წავიდა ირვინ „მეჯიკ" ჯონსონი — საკალათბურთო ამერიკა იმით ინუგეშებდა თავს, რომ არიან ბერდი და ჯორდანი. როცა ჯონსონს ლარი „ლეჯენდ" ბერდი მიჰყვა, ჯონსონი მაინც გვრჩებოდა, ხოლო როცა მაიკლ „ეირ" ჯორდანიც წავიდა, გარშემო სიცარიელემ დაისადგურა" — წერდა „ნიუ-იორკ თაიმსი".

**შალვა შალოლაშვილი**

„სარბიელის" კორესპონდენტი, ნიუ-იორკი



„ჩიკაგო" — „ფინიქსი", შარშანდელი ფინალი: დან მარლი, ჩარლზ ბარკლი და ტომ ჩამბერსი ჯორდანის წინააღმდეგ

# ტოტალიზატორი "CROCO"

თამაშის წესები:

თამაშში მონაწილე პირის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონი გაკეთებულია ერთდროულად რამდენიმე მატჩის შედეგის გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს (მეათედის სიზუსტით).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და შესაბამისად მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც. ამ შემთხვევაში მოგების კოეფიციენტია — 4,0.

ფსონის მინიმალური თანხაა 5 000 კუპონი. ფსონების ვარიანტების რაოდენობა და დადებული თანხის სიდიდე არ არის შეზღუდული.

მოგებები გაიცემა ქვითარში აღნიშნული ბოლო მატჩის დღიდან ერთი კვირის განმავლობაში.

ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს ეროვნული სტადიონის მეხუთე სალაროში 13-დან 16 საათამდე.

დაწვრილებით წესებს შეგიძლიათ გაეცნოთ ეროვნული სტადიონის V სალაროში.

## უახლოესი ფსონები მიიღება შემდეგ თამაშებზე:

| | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 26-28 ნოემბერი | აინტრახტი — მიონხენგლადბახი | 1,3 | 2,4 | 4,4 |
| | კარლსრუე — დორტმუნდი | 1,4 | 2,3 | 3,7 |
| | ნიურნბერგი — ჰამბურგი | 2,0 | 2,5 | 2,0 |
| | ფრაიბურგი — ბაიერნი | 2,3 | 2,2 | 2,0 |
| | კაიზერსლაუტერნი — კიოლნი | 1,2 | 2,5 | 5,5 |
| | შალკე — ვატენშაიდი | 1,4 | 2,3 | 3,7 |
| | ლევერკუზენი — დუისბურგი | 1,4 | 2,3 | 3,7 |
| | დრეზდენი — ლაიპციგი | 1,3 | 2,4 | 4,4 |
| | შტუტგარტი — ვერდერი | 1,8 | 2,3 | 2,5 |
| | ქუინზ პარკი — ტოტენჰემი | 1,4 | 2,3 | 3,7 |
| | ლივერპული — ასტონ ვილა | 1,6 | 2,3 | 3,0 |
| | ხიხონი — რეალი | 2,8 | 2,2 | 1,7 |
| | სელტა — სევილია | 2,0 | 2,0 | 2,5 |
| | ვალენსია — სოსიედადი | 1,3 | 2,4 | 4,4 |
| | რაიო ვალეკანო — ბარსელონა | 2,8 | 2,2 | 1,7 |
| | ატლეტიკო — დეპორტივო | 1,5 | 2,3 | 3,5 |
| | კალიარი — რომა | 1,5 | 2,3 | 3,5 |
| | ინტერი — იუვენტუსი | 1,8 | 2,1 | 2,8 |
| | ლაციო — ჯენოა | 1,4 | 2,2 | 4,0 |
| | ნაპოლი — რეჯანა | 1,2 | 2,4 | 6,0 |
| | ტორინო — ლეჩე | 1,2 | 2,4 | 6,0 |
| | უდინეზე — ატალანტა | 1,5 | 2,3 | 3,5 |
| 1 დეკემბერი | მილანი — პორტუ | 1,2 | 2,3 | 5,5 |

30 დეკემბერს (სამშაბათი) და 1 დეკემბერს (ოთხშაბათი) სალარო არ იმუშავებს

## ჩემპიონთა თასი

1. ჯგუფში გუნდების მიერ დაკავებული ადგილების თანმიმდევრობა — 5,0
2. ჯგუფიდან ნახევარფინალში გასვლა:

„ა" ჯგუფი:
ბარსელონა — 1,5
მონაკო — 1,9
სპარტაკი — 2,0
გალათასარაი — 2,5

„ბ" ჯგუფი:
მილანი — 1,5
ვერდერი — 2,0
პორტუ — 2,0
ანდერლეხტი — 2,4

ფსონის გაკეთება შეიძლება ჯგუფიდან როგორც ერთი, ასევე ორივე გუნდის გასვლაზე. ამ შემთხვევაში შესაბამისი კოეფიციენტები მრავლდება.

3. ჯგუფში პირველ ადგილზე გასული გუნდის გამოცნობა:

„ა" ჯგუფი:
ბარსელონა — 1,7
მონაკო — 4,3
სპარტაკი — 4,5
გალათასარაი — 8,0

„ბ" ჯგუფი:
მილანი — 1,7
ვერდერი — 4,0
პორტუ — 4,8
ანდერლეხტი — 8,0

### თასის მფლობელის გამოცნობა:

| ჩემპიონთა თასი | თასების თასი | უეფას თასი | |
|---|---|---|---|
| მილანი — 2,6 | აიაქსი — 4,0 | იუვენტუსი — 3,0 | კარლსრუე — 12,0 |
| ბარსელონა — 3,3 | პარმა — 4,0 | ინტერი — 3,0 | სპორტინგი — 14,0 |
| ვერდერი — 5,0 | რეალი — 4,0 | აინტრახტი — 4,0 | ტენერიფე — 15,0 |
| პორტუ — 6,0 | არსენალი — 5,0 | ბორუსია — 6,0 | ბრონდბიუ — 30,0 |
| ანდერლეხტი — 6,5 | ტორინო — 6,0 | ნორვიჩი — 6,0 | მეხელენი — 30,0 |
| მონაკო — 7,5 | პსჟ — 6,0 | ლა კორუნია — 9,5 | ბოავიშტა — 30,0 |
| სპარტაკი — 8,0 | ბენფიკა — 7,0 | კალიარი — 10,0 | კაზინო — 75,0 |
| გალათასარ. — 10,0 | ბაიერი — 8,0 | ბორდო — 12,0 | ოფი — 75,0 |

ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲔᲤᲘᲪᲘᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ 8 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲐᲛᲓᲔ

ქვითარზე აღინიშნება ფსონის ჩაბარების თარიღი და მოგების შემთხვევაში მიიღებთ თანხას იმ კოეფიციენტით, რომელიც მოქმედებდა ფსონის ჩაბარების დროს.

# შედეგთა დაფა

## მძლეოსნობა

ნიუ-იორკის მარათონი. კვირა, 14.XI

ვაჟები: 1. ანდერს ესპინოზა (მექსიკა) 2:10.04;... 3. არტურო ბარიოსი (მექსიკა). ქალები: 1. ოტო პიპი (გერმანია) 2:26.23

ტოკიოს ქალთა მარათონი. კვირა, 21.XI

1. ეგოროვა (რუსეთი) 2:26.40. ფავორიტმა ლიზა ონდიეკიმ (ავსტრალია) რბენა შუა გზაზე მიატოვა

## ლიგის რაგბი

ახალი ზელანდიის "კივის" ევროპული ტურნე

ბოლო, XV თამაში. მხოლო ტესტი. კვირა, 21.XI. კარკასონი. საფრანგეთი 11 ახალი ზელანდია 36

## ჩოგბურთი

ვაჟ პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის წლის ფინალი. ფრანკფურტი (გერმანია). საპრიზო ფონდი 2,75 მილიონი დოლარი

„არტურ ეშის ჯგუფი" (ხუთ). 18.XI. გორან ივანიშევიჩი (ხორვატია, 8) — სერხი ბრუგერა (ესპანეთი, 4) 6:4, 7:6; პიტ სამპრასი (აშშ, 1) — სტეფან ედბერგი (შვედეთი, 5) 6:3, 7:6. (პარ), 19.XI. სამპრასი — ბრუგერა 2-1, ივანიშევიჩი — ედბერგი 7:6 (7:3), 6:7 (5:7), 6:3. კლასიფიკაცია: სამპრასი (3 მოგება), ივანიშევიჩი (2), ედბერგი (1), ბრიუგერა (0)

„სტენ სმითის ჯგუფი". 19.XI. მიხაელ შტიხმა (გერმანია, 3) მოუგო ჯიმ კურიეს (აშშ, 2); ანდრეი მედვედევი (უკრაინა, 6) — მაიკლ ჩანგი (აშშ,7) 2-1. კლასიფიკაცია: შტიხი (3), მედვედევი (2), ჩანგი (1), კურიე (0)

ნახევარფინალები. (შაბ), 20.XI. სამპრასი — მედვედევი 6:3, 6:0; შტიხი — ივანიშევიჩი 7:6 (7:3), 7:6 (12:10)

ფინალი. (კვი), 21.XI. შტიხი — სამპრასი 7:6, 2:6, 7:6 (9:7), 6:2

„ვირჯინია სლიმზის" ქალთა ტურის წლის ფინალი. ნიუ-იორკი. „მედისონ-სკვეარ გარდენი". საპრიზო ფონდი 3,5 მილიონი დოლარი

მერვედფინალი. (ხუთ), 18.XI. ანკე ჰუბერი (გერმანია) — მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი) 6:4, 1:6, 7:6

მეოთხედფინალი. (პარ), 19.XI. შტეფი გრაფმა (გერმანია) მოუგო ამანდა კეტცერს (სამხრეთი აფრიკა); ჰუბერი — კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) 6:3, 6:3; არანტა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი) — იანა ნოვოტნა (ჩეხეთი) 7:6, 6:7, 6:3; მარი პირსი (საფრანგეთი) — მარტინა ნავრატილოვა (აშშ) 6:1, 3:6, 6:4

ნახევარფინალი. (შაბ), 20.XI. გრაფი — ჰუბერი 6:2, 3:6, 6:3; სანჩეს-ვიკარიო — პიერსი 6:2, 5:7, 6:2

ფინალი. (კვი), 21.XI. გრაფი (1) — სანჩეს-ვიკარიო (2) 6:1, 6:4, 3:6, 6:1

## სქვოში

მსოფლიოს ღია პირველობა. ყარაჩი (პაკისტანი). 19-23.XI

მეოთხედფინალი. ჯანშირ ხანმა (პაკისტანი, 1) დაამარცხა როდნი აილსი (ავსტრალია, 5); პიტერ მარშალმა (ინგლისი) სძლია ტონი პაუნდზს (ინგლისი); ჯაჰანგირ ხანი (პაკისტანი) — ბრეი მარტინი (ავსტრალია, 3) 17:16, 17:15, 15:11; . კრის ვოკერი (ინგლისი, 8) როდნი მარტინი (ავსტრალია, 2) 13:15, 17:14, 15:10, 15:11

ნახევარფინალი. ჯანშირ ხანი — მარშალი 15:5, 15:6, 15:8; ჯაჰანგირ ხანი — ვოკერი 15:7, 15:5, 9:15, 15:4

ფინალი. ჯანშირ ხანი — ჯაჰანგირ ხანი 14:15, 15:9, 15:5, 15:5

## კრიკეტი

ბენგალიის კრიკეტის ასოციაციის დაარსებიდან მე-60 წლისთავისათვის მიძღვნილი „გმირთა თასის" გათამაშება. *ინდოეთი (პარ), 19.XI. ინდოეთი 248-5 (50) ზიმბაბვე 248-9 (50); ფრე! ზიმბაბველთა ბოლო ტაფელოსანმა ჯონ რენიმ ბოლო მოწოდებისას გაათანაბრა ანგარიში

(შაბ), 20.XI. სამხრეთმა აფრიკამ შრი-ლანკას 78 გარბენით მოუგო

(კვი), 21.XI. ჰაიდარაბადი. ვესტ-ინდოეთი 233-9 (50) ზიმბაბვე 99-ყველა (37)

(ორ), 22.XI. ჩანდიგარხი. ინდოეთი 221-ყველა (კამბლე 86; კრონიე 3 ბჭე) სამხრეთი აფრიკა 178-9 (50) (როუდზი 56; ანკულარი 3 ბჭე)

წრიული შეჯიბრების შედეგად:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ვესტ-ინდოეთი | 3 | 0 | 1 | 6 |
| ინდოეთი | 2 | 1 | 1 | 5 |
| სამხრეთი აფრიკა | 2 | 1 | 1 | 5 |
| შრი-ლანკა | 1 | 0 | 3 | 2 |
| ზიმბაბვე | 0 | 2 | 2 | 2 |

ნახევარფინალებში კალკუტის „ედემის ბაღში" სადღელამისო მატჩებში გუშინწინ ინდოეთ — სამხრეთი აფრიკა თამაშობდნენ, წუხელ კი ვესტ-ინდოეთ — შრი-ლანკა

ახალი ზელანდიის ტურნე ავსტრალიაში. პირველი ტესტი. პერთი (დასავლეთი ავსტრალია). 12-16.XI

ავსტრალია 398-ყველა და 323-1 — ახალი ზელანდია 419-9 და 166-4: თამაში უშედეგოდ დასრულდა

მეორე ტესტი დღეს დაიწყო ჰობარტში (ტასმანია)

## კალათბურთი

აზიის ვაჟთა პირველობა. ჯაკარტა (ინდონეზია)

კვირა, 21.XI. ფინალი. ჩინეთი — ჩრდ.კორეა 93:72

ცენტრალური ამერიკისა და კარიბეთის XVII თამაშები. სან-ხუანი (პუერტო-რიკო)

22.XI. ვაჟები. პუერტო-რიკო — კუბა 95:84

## აფროსნობა

„ვითბრედის" გარსაქვეყნო რბოლა. მეორე ეტაპი: პუნტა-დელ-ესტე (ურუგვაი) — ფრიმენთლი (ავსტრალია)

იახტები მიცურავენ სამხრეთი განედის 40-იან გრადუსებში 13-კვანძა ქარის, ნისლისა და თითო-ოროლა აისბერგის გარემოში

17.XI (სტარტიდან 4 დღე-ღამის შემდეგ): 1. „ენდევორი" (ახალი ზელანდია); 2. „მერიტ კაპი" (შვეიცარია); 3. „ტოკიო" (ახალი ზელანდია)

20.XI: 1. „ენდევორი" (მაქსი); 2. „ინტრუმ ჯუსტიცია" (60-ფუტიანი) ჩამორჩებოდა 14 საზღვაო მილით; 3. „პესკანოვა"

21.XI: 1. „ენდევორი"; 2. „მერიტ კაპი" (20 მილით); 3. „ლაპოსტი"; 60-ფუტიანებში ლიდერობდა „ინტრუმ ჯუსტიცია"

22.XI: 1. „ენდევორი"; 2. „მერიტ კაპი" (79 მილით)

23.XI: განლაგება არ შეცვლილა

24.XI: „ინტრუმ ჯუსტიცია" წამოეწია „ენდევორს"

## ავტორალი

მსოფლიო პირველობის ბოლო რალი — „სამეფო ავტოკლუბისა". უელსი და შიდა ინგლისი; ჯამური სიგრძე — 1600 მილი

I დღე. (კვი), 21.XI. 1. იუჰა კანკუნენი (ფინეთი); 2. არი ვატანენი (ფინეთი) ჩამორჩა 47 წამით; 3. დიდიე ორიოლი (საფრანგეთი)

II დღე. (ორ), 22.XI. 1. კოლინ მაკრეი (შოტლანდია); 2. კანკუნენი 21 წამით; 3. მალკოლმ ვილსონი (ინგლისი) კიდევ 2 წუთით

III დღე. (სამ), 23.XI. მაკრეი შეეჯახა ხეს, რადიატორი დაუზიანდა, ძრავი გადაუხურდა და დაეწვა. 1. კანკუნენი; 2. კენტ ერიქსონი (შვედეთი) 40 წამით; 3. ვილსონი

IV და ბოლო დღე, (ოთხ), 24.XI. 1. კანკუნენი; 2. ერიქსონი 1 წუთითა და 44 წამით; 3. ვილსონი

კანკუნენმა მესამედ მოიგო ბრიტანეთის რალი. რალებში ეს მისი მე-20 გამარჯვებაა

## რაგბი

ახალი ზელანდიის „ოლ ბლექსის" ტურნე ბრიტანეთში

X თამაში. (სამ), 23.XI. გლოსთერი. ინგლისის სამომავლო ნაკრები 19 ახალი ზელანდია 30


საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გაზეთი

„ოლიმპიელი"

მალე გამოჩნდება კიოსკებში

ვკითხეთ გაზეთის ქაღალდს.

მოგვმართეთ „სარბიელის" რედაქციაში, ან დარეკეთ:

38 11 14


# ტოტოლოტო
## საფეხბურთო პროგნოზი

ტირაჟი № 38 — 4-8 დეკემბერი

| | | შარშან | პროგნოზი | |
|---|---|---|---|---|
| | გერმანიის ჩემპიონატი | | | |
| 1 | ვერდერი — აინტრახტი | 0:0, 3:0 | 5 3 2 | 1 X |
| 2 | მიონხენგლადბახი—კაიზერსლაუტერნი | 2:2, 0:0 | 3 4 3 | 1 X 2 |
| 3 | ბაიერნი — ლევერკუზენი | 4:1, 2:4 | 6 3 1 | 1 |
| | იტალიის ჩემპიონატი | | | |
| 4 | მილანი — ტორინო | 0:0, 1:1 | 7 2 1 | 1 |
| 5 | რომა — პარმა | 1:0, 1:3 | 3 5 2 | 1 X |
| 6 | ატალანტა — ლაციო | 2:2, 0:3 | 4 4 2 | 1 X |
| 7 | ჯენოა — სამპდორია | 0:0, 0:2 | 2 5 3 | X 2 |
| | უეფას თასი | I თამაში | | |
| 8 | ლა კორუნია — აინტრახტი | 0:1 | 4 4 2 | 1 X |
| 9 | კარლსრუე — ბორდო | 0:1 | 6 3 1 | 1 |
| 10 | ინტერი — ნორვიჩ სიტი | 1:0 | 6 3 1 | 1 |
| 11 | ტენერიფე — იუვენტუსი | 0:3 | 4 5 1 | 1 X |

შევსებული ბილეთების ჩაბარების ბოლო ვადა: თბილისში — ყოველი კვირის ხუთშაბათი, 16 საათამდე, ცენტრალური ტელეგრაფის შენობაში. ცნობებისთვის დარეკეთ: 96-32-61


კომერციული ბანკი მინაგობანკი

Commercial Bank MINAGOBANK

„ბანკი, რომელსაც არ ჰყავს უკმაყოფილო კლიენტი"

სასტუმრო „აჭარა"
ოფისი № 305
ტელეფონი: 369 096, 369 407.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ლომბარდი"

თბილისი, ჯიქიას ქუჩა, 8

# ცივი დღეების ქრონიკა

ამერის პირველობა

ვაკე (ორ), 22.XI

**ქორები 12 (5)**
**ამირანი 42 (18)**

„ქორები" — 2ლ: №10 ძამიაშვილი (5:13), №1 გოჩიტაშვილი (10:30); გ: №15 სამქანაშვილი (12:30). „ამირანი" — 6ლ: №4 სულხანიშვილი (0:11), №6 დიდებულიძე (5:18), №15 ლიპარტელიანი (5:23), №11 ხარიძე (5:30), №6 კვანტალიანი (12:35), №3 მაჭუტაძე (12:40); 3გ: №12 კურატიშვილი (0:13), №10 ალანია (5:25), ლიპარტელიანი (12:42); ს: კურატიშვილი (0:6); ა: ალანია (0:3)
მსაჯი: რამაზ ბერაძე („ლავრი")

ვაკე (სამ), 23.XI — გიორგობა

**შევარდენი 29 (15)**
**ყორჩები 5 (5)**

„შევარდენი" — 4ლ: №14 სორდია-3 (5:0, 12:5, 20:5), №10* ფარცვანია (27:5); 3გ: №10 მოდებაძე (7:0), №15* იურინი (22:5), ფარცვანია (29:5); ს: მოდებაძე (15:5). „ყორჩები" — ლ: №8 ტეფნაძე (7:5)
მსაჯი: პაატა ნარიმანაშვილი („აკადემია")

ვაკე (ოთხ), 24.XI

**ვესტა 29 (12)**
**თბილისი 0**

„ვესტა" — 5ლ: №12 მარჯანიშვილი (5:0), №11 ნეველიძე (12:0), №14 ბუგიანიშვილი (17:0), №4 კახიანი (24:0), №15 ქავთარაშვილი (29:0); 2გ: ჩავლეიშვილი (7:0, 19:0)
მსაჯი: გოჩა აბაშიძე (რაგბის კავშირი)

ბუნება არა სწყალობთ ქართველ მორაგბეებს. წაგების ••ადალ ფრენაწვნევმა (31.X) ეროვნულმა ნაკრებმა, როგორც იქნა, ჩამოაღწია (6.XI) ლუქსემბურგიდან და შინაური ჩემპიონატის განახლებაც შესაძლებელი შეიქნა, რომ უმალ გაავდარდა (10.XI) და გვემული შეჯიბრება ისევ შეაფეახა. მერე გამოიდარა (14.XI), გუნდებმა თამაშთა გამართვის ახალი ვადები დათქვეს (17.XI), შეჯიბრება კიდეც გაგრძელდა (22.XI), მაგრამ კვლავ მოთოვა (24.XI) და პირველობის დასრულება ისევ სათუო გახდა. ახლა ყველაფერი ისევ და ისევ სარაგბო საძმოს თავდადებაზე ჰკიდია: თუ იმდენ რისკს გასწევს, რომ თოვლს, სიცივეს, ტალახსა და უგათბობობას არ შეეპუება, მაშინ 1993 წლის ბოლომდე საქართველოსი თუ არა, ამერის ჩემპიონის ვინაობას მაინც შევიტყობთ.

ამ, აქამდე გაუგონარ, უფრო სიმბოლურ, ვიდრე ოფიციალურად დამტკიცებულ ტიტულს ერთურთს სამი გუნდი ეცილება: „შევარდენი", რუსთავის „აზოტი" და უკანასკნელი ჩემპიონი „ვესტა". 1 დეკემბრამდე გასამართი ოთხი მატჩიდან ორში სწორედ ეს გუნდები ხვდებიან ერთმანეთს: „ვესტა", რომელიც ორივე მეტოქეს ჩამორჩება, ჯერ ვაკეში ეთამაშება „შევარდენს", მერე კი სტუმრად „აზოტს".

თუ ეს თამაშები გაიმართება და ამერის ორი უძლიერესი გუნდიც გაირკვევა, წლეულსვე შეიძლება გაიმართოს ქვეყნის ჩემპიონატი, რომელშიც ამერის წყვილი ქუთაისის „აიასა" და „ერქვანს" შეეჯიბრება. ეს პირველობა ერთწრიან ტურნირად უნდა მოეწყოს — უფრო ვაკეში, მაგრამ როგორც რაგბის სამყაროს კულუარებში მოვკარით ყური, თურმე არც ისაა გამორიცხული, რომ ტურნირი ამერისა და იმერის შესაყარზე, ხაშურში გაიმართოს, რომელიც მიზეზთა და მიაზეზთა გამო ქართველ მორაგბეთა წინამძღოლებს ლამისაა აღთქმულ მიწადა აქვთ შერაცხული.

თუ საქართველოს პირველობის გამართვა წელს ვეღარ მოესწრება, შეგვიძლია გულდამშვიდებით ვიყოთ, რომ გაისად ნამდვილად გაიმართება, რაკიღა ქართულ რაგბში დიდი ცვლილებები მზადდება. მავანსა და მავანს საამისოდ უკვე მოუსინჯავს ნიადაგი შაბათს, 20 ნოემბერს ამერის სარაგბო საზოგადოებრიობის შეკრებაზე, რომელზეც ბოლო წლებში უკვე მერამდენედ განუხილავთ რაგბის კავშირის ახლებურად მოწყობის პროექტი.

როგორც შევიტყვეთ — თუმცაკი ბურთაობის სხვა სახეობების ეროვნული ფედერაციების მამათაგან განსხვავებით, მორაგბეებს თავიანთ თავყრილობებზე დასწრება მედიის წარმომადგენლებისთვის არასოდეს აკურძალავთ, — კავშირს უხელმძღვანელებს მორიგი ფულიანი, ოღონდ არამორაგბე ძიაკაცი, ვისი სახელითაც საქმეს რეალურად წარუძღვება ალმასრულებელი, მდივანი, მენეჯერი თუ დირექტორი (რაც გნებავთ, ის დაარქვით). იარსებებს პრეზიდიუმიც — მიუხედავად იმისა, რომ გუნდების ნაწილი ამის სასტიკი წინააღმდეგია; და კიდევ იმუშავებენ მიზნობრივი კომისიები.

სარწმუნო წყაროებიდან „სარბიელისთვის" ცნობილი გახდა, რომ კომისიათაგან უმთავრესი მწვრთნელთა საკრებულო უნდა იყოს — თურმე ნუ იტყვით, მან და არა რომელიმე სხვამ უნდა იკისროს ჩაფლავებული ქართული რაგბის ასაღორძინებლად გასაწევი ძალისხმევის ინტელექტუალური და ორგანიზაციული უზრუნველყოფა. ასეთ ვითარებაში, კრების დამსწრეთა აზრით, თურმე გადამწყვეტი უნდა ყოფილიყო მწვრთნელთა არჩეული თავკაცის ვინაობა; მაგრამ კანდიდატურების დასახელებისა და ტრადიციული ღია კენჭისყრის შემდეგ, ამერის ჩემპიონობისა არ იყოს, ეს პოსტიც მავანთა მოწადინებით სიმბოლურად გაუმოცხადებიათ.

კრებაზე ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხიც განუხილავთ. ერთი მონაცემებით, ამერლებს გადაუწყვეტიათ, რომ გაისიდან იმერლებს ისევ ეთამაშონ ერთიანი ჩემპიონატის ფარგლებში — თუ რა ფორმითა და როგორი განრიგით, ეს კიდევ დასადგენი ყოფილა. სხვა წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ ბარემ ოთხ თბილისურ გუნდს იმერლებთან თამაში არა სურს — რაღა თქმა უნდა, ოდენ ეკონომიკური მოსაზრებებით. რაც შეეხებათ იმერლებს, როგორც ამბობენ, მათ ტურებად თამაში ურჩევნიათ — მეზობლად რომ იცხოვრებენ, ამერლები და იმერლები უკეთ გაეცნობიან ერთიმეორეს და ნაკლებად იჩხუბებენო.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| შევარდენი | 10 | 9 | 0 | 1 | 0 | 244-151 | 18 |
| აზოტი (რ) | 11 | 9 | 0 | 2 | 0 | 275-131 | 18 |
| ვესტა | 10 | 8 | 0 | 2 | 1 | 287-105 | 15 |
| ამირანი | 10 | 6 | 0 | 4 | 0 | 157- 99 | 12 |
| თბილისი | 11 | 2 | 1 | 8 | 0 | 181-272 | 5 |
| ყორჩები | 12 | 2 | 1 | 9 | 2 | 150-297 | 3 |
| ქორები | 12 | 1 | 0 | 11 | 0 | 124-373 | 2 |

ანონსი

(შაბ) 27.XI 14.00 თბილისი — ამირანი
(კვი) 28.XI 14.00 ვესტა — შევარდენი
(ოთხ) 1.XII 14.00 ამირანი — შევარდენი
(ოთხ) 1.XII 14.00 აზოტი — ვესტა



„ვესტა" — „თბილისი": ვესტელი ბუგიანიშვილი ბურთის დაუფლებას ლამობს



ეროვნული ბიბლიოთეკა

# აღორძინდება ქართული ხელბურთი!



**ათიოდე დღეში სტარტს აიღებს ვა•• ხელბურთელთა მეოთხე ეროვნული ჩემპიონატი. გუნდები უკვე ამთავრებენ პირველობისთვის მზადებას, აზუსტებენ შემადგენლობას. სამშაბათს იწურება ხელბურთის ფედერაციაში განაცხადების წარდგენის ვადა. ფინანსური გაჭირვების გამო სათუო იყო პირველობაში გორისა და სამტრედიის გუნდების მონაწილეობა. საქმეს უშველა საქართველოს ჩემპიონატის გენერალური სპონსორის გაზეთ „სარბიელის" მატერიალურმა დახმარებამ — ამ ორი კოლექტივის სამონაწილეო შესატანი რედაქციამ გადაიხადა. 30 ნოემბრამდე ალბათ დანარჩენი ექვსი გუნდიც მოაგვარებს საორგანიზაციო საკითხებს და განაცხადების წარდგენის შემდეგ ოქტეტი გასულ სეზონში დაკავებული ადგილების შესაბამისად განაწილდება ორ ქვეჯგუფში.**

აქამდე ჩატარებული სამი ჩემპიონატი და თასის ორი გათამაშება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხელბურთელთა აშკარა უპირატესობით აღინიშნა — მათ ხუთივე ტურნირი მოიგეს. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო „სტუ-შევარდენის" წლევანდელი ჩემპიონობა — გუნდს 16 მატჩში ერთი ქულაც კი არ დაუკარგავს და ასპროცენტიანი შედეგით დაასრულა ასპარეზობა.

მომავალი ტურნირის პირველი წრის დამთავრების შემდეგ, 24 დეკემბრიდან, საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრები ორკვირიან შეკრებას გაივლიან სლოვენიაში გამგზავრების წინ. ეს ორი გუნდი უნგრელ, ნორვეგიელ და ლიტველ ხელბურთელებთან ერთად ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევ ჯგუფში ასპარეზობს. გუნდები ორ-ორჯერ ხვდებიან ერთმანეთს საკუთარ და მეტოქის მოედნებზე. გასაგები მიზეზების გამო ჩვენები ყველა მატჩს სტუმრად თამაშობენ (ლიტველებთან ორივე შეხვედრა ნეიტრალურ მოედანზე, მოსკოვში შედგა). 9 და 12 იანვარს სლოვენიელებთან შეხვედრები ბოლო იქნება ჩვენს ქვეჯგუფში. ქართველი ხელბურთელები უკვე სამივე გუნდს ეთამაშნენ და მართალია ყველა თამაში წააგეს, მაგრამ დღევაანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, მთავარი იყო საერთაშორისო ასპარეზზე გამოჩენა და ამასთან, ასეთი მაღალი რანგის შეჯიბრებაში გამოცდილების შეძენაც. იმედია, სპორტსმენები თანდათან ირწმუნებენ საკუთარ ძალებს და ძლიერი მეტოქეებისადმი ბუნებრივი შიშიც გაუქრებათ. წინააღმდეგ შემთხვევაში სამუდამოდ მაჩანჩალებად დავრჩებით. საკმაოდ დამაიმედებელი იყო ლილეჰამერში ნორვეგიელებთაან მეორე მატჩი. ჩვენებმა მშვენივრად დაიწყეს თამაში, ანგარიშიც გახსნეს და მთელი პირველი ტაიმი 5-6 ბურთის უპირატესობით იყვნენ წინ. შესვენების შემდეგ მასპინძლებმა შესძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა და სწორედ გამოცდილებისა და უკეთესი ფიზიკური მომზადების ხარჯზე გვაჯობეს.

გთავაზობთ დღემდე გამართული ყველა მატჩის შედეგს:

07.03. სლოვენია — ლიტვა 22:20
07.04. უნგრეთი — ლიტვა 28:17
13.04 უნგრეთი—საქართველო 22:15
15.04. უნგრეთი—საქართველო 27:17
13.06 სლოვენია — უნგრეთი 24:19
13.06. საქართველო — ლიტვა 18:30
14.06. ლიტვა — საქართველო 27:15
13.08. ნორვეგია—საქართველო 30:18
15.08. ნორვეგია—საქართველო 26:17
12.10. უნგრეთი — ნორვეგია 24:15
20.10. ლიტვა — უნგრეთი 23:20

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნგრეთი | 6 | 4 | 0 | 2 | 140-111 | 8 |
| ლიტვა | 5 | 3 | 0 | 2 | 117-103 | 6 |
| ნორვეგია | 3 | 2 | 0 | 1 | 71-59 | 4 |
| სლოვენია | 2 | 2 | 0 | 0 | 46-39 | 4 |
| საქართველო | 6 | 0 | 0 | 6 | 100-162 | 0 |

დღეს კაუნასში ერთ-ერთი გადამწყვეტი მატჩია — ლიტვის ნაკრები ნორვეგიელებს მასპინძლობს.

გია ახალაძე

ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი

# დაემხობა ევროპელთა ჰეგემონია?

ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში პოლონეთისა და ესპანეთის ხელბურთელ ქალთა გუნდების მატჩით დაიწყო მსოფლიოს მე-11 ჩემპიონატის ფინალური ეტაპი.

ასპარეზობაში მონაწილე 16 ნაკრები ოთხ ქვეჯგუფშია განაწილებული:

A — ნორვეგია, პოლონეთი, უნგრეთი, ესპანეთი.
B — რუსეთი, დანია, კორეა, ლიტვა.
C — გერმანია, რუმინეთი, შვედეთი, ანგოლა.
D — ავსტრია, ჩინეთი, ჩეხეთი და სლოვაკეთი, აშშ.

ჯგუფური ტურნირები კვირას დამთავრდება და სამ-სამი მოწინავე გაერთიანდება ორ ექვსეულში, რომელთა გამარჯვებულები 5 დეკემბერს ოსლოშივე გაითამაშებენ კიდეც ჩემპიონის წოდებას.

საინტერესოა, რომ წინა ათ პირველობაში მხოლოდ ევროპის გუნდები აღწევდნენ წარმატებას:

1957 — ჩეხოსლოვაკია
1962 — რუმინეთი
1965 — უნგრეთი
1971 — გდრ
1973 — იუგოსლავია
1975 — გდრ
1978 — გდრ
1982 — სსრკ
1986 — სსრკ
1990 — სსრკ








წლევანდელ ჩემპიონატში მასპინძლებთან ერთად ფავორიტებად ითვლებიან ბოლო ორი ოლიმპიადის გამარჯვებულები — სამხრეთ კორეელი ხელბურთელები და ყოფილი სსრკ-ს მემკვიდრე — რუსეთის ნაკრები.

სამი წლის წინ აგებულ ოსლოს ულამაზეს „სპექტრუმში" 24 ნოემბერს სტარტი მიეცა მსოფლიოს ჩემპიონატს. 5 დეკემბერს იქვე გაირკვევა ჩემპიონის ვინაობა და იმ საღამოს, ალბათ, ყველა 11400 ადგილიც დაკავებული იქნება.



# სამივე დარჩა კმაყოფილი

უმაღლეს სასამართლოში ოთხდღიანი გარჩევის შემდეგ შეწყდა საფრაზ ნავაზ — ალენ ლემბის საქმის გარჩევა. ეს მოკრიკეტეები 12 წლის წინ თანაგუნდელები ყოფილან — ნორსჰემპტონის შემადგენლობაში მხარდამხარ ასპარეზობდნენ საგრაფოთა შეჯიბრებებში. ამ ცოტა ხნის წინათ ლემბს სტატია გამოუქვეყნებია „დეილი მირორში“. მასში სხვათა შორის წერებულა, რომ პაკისტანელი ნავაზი გარსის უჩუმრად დაზიანებით იმას აღწევდა, რომ ბურთი მოწოდებისას ტაფელოსანისთვის ერთობ მოუხერხებლად დაებზრიალებინა. ცოდვა გამხელილი სჯობს და ამგვარი სპორტული აფერისტობა კრიკეტში, მეტადრე — ჰინდუსტანურში, ერთობ გავრცელებულია. ამის წამკითხავმა საფრაზ ნავაზმა სასამართლოში იჩივლა, აქაო და ლემბმა ცილი დამწამა — საჯაროდ თაღლითად გამომიყვანაო. ატყდა ერთი აყალმაყალი და მოწმედ თვით იენ ბოუსამს — ბოლო ეროის უდიდეს ინგლისელ მოკრიკეტეს კი უხმეს, მაგრამ სად იყო და სად არა, მომჩივან-მოპასუხე უეცრად მორიგდნენ. ექს-თანაგუნდელები იმაზეც კი შეთანხმდნენ, რომ საკასაციო ხარჯებს თანაბრად იკისრებენ. კმაყოფილმა ნავაზმა განაცხადა, ჩემი ქველი სახელისათვის ჩირქის მოსახოცად ფული არ შენახვიაო, ალალმართალმა ლემბმა კი თავის გასამართლებლად შენიშნა, გაზეთში არც ის დამიწერია, რომ ნავაზი ბურთს აზიანებდა და მისთვის არც თაღლითი მიწოდებიაო; მხოლოდ ის აღვნიშნე, რომ ერთხელ (?!) საფრაზ ნავაზმა მიჩვენა, აი, ასე და ასე შეიძლება გარსის ისე დამუშავება, ბურთი უკეთ რომ დაბზრიალდესო. ერთი სიტყვით, სკანდალი მიჩუმათდა, რასაც სატესტო და საგრაფო კრიკეტის საბჭოც მიესალმა, თუმცაკი თავის დროზე ლემბი დააჯარიმა, აქაო და ჩვენი სპორტის სიბინძურე რატომ გამოამზეურეო.



# „ოლ ბლექსის“ ფუფუნება

შაბათი, 20.XI. ედინბურგი, მარიფილდი. 37 500 მაყურებელი

**შოტლანდია 15 (9) — ახალი ზელანდია 51 (22)**

შოტლანდია: გ. ჰეისთინგსი (ლოგანი (დროებით)); სთეინჯერი, ჯარდინი, შილი, ს. ჰეისთინგსი; ჩალმერსი (ვაილი), ნიკოლი; ვოტი, კ. მილნი, ბერნელი; ვეინრაიტი, კრონინი (პოგი), მაკდონალდი, მაკკაიბერი; ვეარი. — 5ს: გ. ჰეისთინგსი (4), ჩალმერსი

ახალი ზელანდია: თიმუ; ვილსონი, კუპერი (კლარკი), ბანსი, თუიგამალა; ელისი, ფორსტერი; დაუდი, ფითსპატრიკი, ბრაუნი; ზ. ბრუკი, ი. ჯოუნზი, გორდონი, ჯოზეფი; პენე. — 7ლ: ვილსონი (3), ელისი (2), ბრუკი, ბანსი; 5გ: კუპერი (4), ვილსონი; 2ს: კუპერი

შოტლანდიის „ნარშავისთვის“ ახალი ზელანდიის „ოლ ბლექსზე“ უხერხული მეტოქე ძნელად თუ მოიძებნება. სკოტები ზელანდიელებს აგერ უკვე 88 წელია, რაც ნაკრებთა დონეზე ეთამაშებიან, და ჯერაც ვერ დაუმარცხებიათ. ხუმრობენ კიდეც: შოტლანდიელებს „ოლ ბლექსის“ შეხვედრა ოდენ აეროპორტში თუ აზარებთო, როცა ესენი სატურნეოდ დიდი რაგბის მოთამაშე ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე ქვეყანაში ჩადიანო.

დიდი ხნის მანძილზე სკოტები „ოლ ბლექსს“ ერთთავად მარიფილდში (და მის წინამორბედ ინვერლისში) ეთამაშებოდნენ, რაკილა ბრიტანეთს ახალი ზელანდიის ნაკრები ჩადიოდა, ეკვატორს ქვემოთ კი ბრიტანელები ერთიან გუნდს, მერე და მერე „ლომებად“ წოდებულს აგზავნიდნენ. „ლომებმა“ წელსაც მოვლეს ახალი ზელანდია, მაგრამ ბოლო სამი ათწლეულია, ცალ-ცალკე ბრიტანულმა ქვეყნებმაც დააჭაშნიკეს ზღვისგაღმა ტურნეები.

წინა შაბათამდე შოტლანდია 16-ჯერ შეხვედროდა ზელანდიას და შინ ფრედ დამთავრებული ორი თამაშის გარდა, ყოველთვის წაეგო, სქოთები მხოლოდ არეკნით დარტყმაში ყოფილიყვნენ მაგრები.

XVII შეხვედრისას შოტლანდიამ არეკნიც ველარ გაიტანა და სარეკორდო ანგარიშითაც წააგო, თუმც ზელანდიელებისგან შვიდი ლელო ადრეც გაუშვია.

სტუმრებმა იმ დღეს ბრიტანულ მიწაზე მეცხრე თამაში გამართეს და მეცხრედ გაიმარჯვეს, შოტლანდიის გუნდები პირწმინდად 4-0 დაამარცხეს და ახლა ინგლისს მიუბრუნდებიან, სადაც ამ შაბათს, ლონდონის გარეუბან თვიქნემში ინგლისის „წითელ ვარდს“ უნდა ეთამაშონ ტესტი.

„ოლ ბლექსის“ წარმატებას ბევრი ელოდა, ოღონდ ბრიტანელებზე ესოდენ უპირატესობას — ალბათ არავინ. საქმე ისაა, რომ მიზეზთა და მიზეზთა გამო სტუმრებს ბრიტანეთში წასაყვანად გამოაკლდნენ გარემარბი კერვინი, შუამარბი ლითლი, დამრტყმელი ფოქსი და ფრთა მაიკლ ჯოუნზი. როგორც ახალზელანდიური მედია წუხდა, ესოდენ სუსტ ეროვნულ ნაკრებს აქამდე არასოდეს დაუტოვებია ახალი ზელანდიის ნაპირებიო. იქაური მედია, ეტყობა, ჯერაც ორთქლის გემების ეპოქის კატეგორიებით აზროვნებს!

პირიქით კი გამოვიდა: იმ ჯეელებმა, ვინც ვერცხლისგვიმრიანი შავი კვართები მოიზომეს, სრულად წარმოაჩინეს მათი ერისათვის ნიშანდობლივი სარაგბო ნიჭი და ბრძოლისუნარიანობა და ცხრა თამაშში სამად-სამი ლელო გაუშვეს.

შოტლანდიასთან შეხვედრაში ოთხი ზელანდიელის დებიუტი შედგა: პირველი სიმბოლური კეპები (საჩრდილობლიანი ქუდები) მიითვალეს ვილსონმა, ელისმა, ფორსტერმა და გორდონმა. ეტყობა, მხოლოდ „ოლ ბლექსის“ ზვიდრი თუა იმგვარი ფუფუნება, რომ რაგბის უმაღლეს დონეზე — ტესტ-მატჩში გუნდის ტვინად — ნახევარმცველთა წყვილად მოედანზე ახალბედები გაიყვანოს.

ჯეელებმა გაუმართლეს „ოლ ბლექსის“ მწვრთნელ ლორი მეინსს: შვიდიდან ხუთი ლელო მათს ანგარიშზეა. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი 20 წლის ჯეფ ვილსონმა, რომელიც შარშან იმედისმომცემი სამხრეთნახევარსფეროელი მოთამაშისათვის დაწესებული საგანგებო პრიზით — „ბრინჯაოს წაღითაც“ კი დაუჯილდოებიათ. საყოველთაო ვიწრო სპეციალიზაციის ხანაში პირდაპირ გასაკვირია ვილსონის მრავალსახეობა — მას შარშან თურმე ქვეყნის კრიკეტის ნაკრებშიც უთამაშია ტესტის დონეზე და ბრიტანეთიდან შინ დაბრუნებისთანავე ახალ სარაგბო სეზონამდე ისევ საკრიკეტო ოვალს მიუბრუნდება. რაც შეეხება ვილსონის დედას, იგი 40 წელს კი გადაცილებულა, მაგრამ კვლავაც კალათბურთს თამაშობს მშობლიური პროვინციის — ოთაგოს გუნდში.



ბრინჯაოს წაღოსანი ჯეფ ვილსონი

ვილსონმა მარიფილდში დაჯაბნა „ლომი“ სკოტ ჰეისთინგსი, რომელიც მასპინძელთა სელექტორებს შუამარბის ადგილიდან გარემარბად გაემწესებინათ. ამით შოტლანდიის უკანა ხაზს ხერხემალი გადაუტყდა, რაკილა უმცროსი ჰეისთინგსი მთელს ბრიტანეთში უხისტეს და უსაიმედოეს მბოჭავად ითვლება და შუა მოედანში შემოქმედებითადაც კარგად თამაშობს.

საერთოდ კი იმ დღეს მასპინძლები ხანდახან თუ გამოიღებდნენ ხელს, თორემ სხვაფრივ ერთობ დათრგუნული ჩანდნენ. კუპერმა „ნარშავებს“ მე-2 წუთზევე შეუგდო საჯარიმო, მერე კი შერკინების მიძალების შედეგად უკანა ხაზმა დიდებული ლელო გაუტანათ. ის იყო, შოტლანდიის კაპიტანმა, უფროსმა ჰეისთინგსმა საჯარიმოთი სხვაობა შეამცირა 3:8, რომ ვილსონმა მყის პირველი ლელო გაიტანა და ა.შ. შოტლანდია თამაშის ბოლოსლა გადაირია, როგორმე ლელო რომ გაეტანა, რის გამოც ერთი-ორი საჯარიმო კარში დარტყმის ნაცვლად გაითამაშა კიდეც.

„ოლ ბლექსმა“ მასპინძლები ფაქტიურად შესატევად ვარგისი ბურთის გარეშე დატოვა, თავად იმდენად კარგად ითამაშა დერეფანში. რაქებში, მოლებსა და ღია თამაშშიც ახალზელანდიელებმა იმარჯვეს. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ზინზან ბრუკმა, რომელიც მეინსმა ჰენდერსონის ნაცვლად კი დააწინაურა, მაგრამ 8 ნომრის ჩვეული ადგილის დაკავებულობის გამო ფრთის მორკინალად ათამაშა. რაც შეეხება „ოლ ბლექსის“ უკანა ხაზს, მან ბურთაობაში დიდი გაწაფულობა გამოავლინა.

შოტლანდია — ახალი ზელანდია: ყველა თამაში

| № | წელი | ადგილი | შოტლანდია | | | | | ახალი ზელანდია | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| I | 1905 | ინვერლისი | 7 | ლ | | | ა | 12 | 4ლ | | |
| II | 1935 | მარიფილდი | 8 | 2ლ | გ | | | 18 | 4ლ | 3გ | |
| III | 1954 | მარიფილდი | 0 | | | | | 3 | | | ს |
| IV | 1964 | მარიფილდი | 0 | | | | | 0 | | | |
| V | 1967 | მარიფილდი | 3 | | | | ა | 14 | 2ლ | გ | 2ს |
| VI | 1972 | მარიფილდი | 9 | | | 2ს | ა | 14 | 3ლ | გ | |
| VII | 1975 | ოკლენდი | 0 | | | | | 24 | 4ლ | 4გ | |
| VIII | 1976 | მარიფილდი | 9 | ლ | გ | | ა | 18 | 2ლ | 2გ | 2ს |
| IX | 1979 | მარიფილდი | 6 | | | 2ს | | 20 | 4ლ | 2გ | |
| X | 1981 | დანიდინი | 4 | ლ | | | | 11 | 2ლ | | ს |
| XI | 1981 | ოკლენდი | 15 | ლ | გ | 2ს | ა | 40 | 7ლ | 6გ | |
| XII | 1983 | მარიფილდი | 25 | ლ | | 5ს | 2ა | 25 | 3ლ | 2გ | 3ს |
| XIII* | 1987 | ქრაისთჩერჩი | 3 | | | ს | | 30 | 2ლ | 2გ | 6ს |
| XIV | 1990 | დანიდინი | 16 | 3ლ | 2გ | | | 31 | 5ლ | 4გ | ს |
| XV | 1990 | ოკლენდი | 18 | 2ლ | 2გ | 2ს | | 21 | ლ | გ | 5ს |
| XVI* | 1991 | კარდიფი | 6 | | | 2ს | | 13 | ლ | | 3ს |
| XVII | 1993 | მარიფილდი | 15 | | | 5ს | | 51 | 7ლ | 5გ | 2ს |

* მსოფლიო თასზე

სულ: 17 თამაში; 2 ფრე, 15 წაგება; ლელოები 12-51; არეკნები 7-0

# მეექვსე ღრეობა ბერმუდაზე

ბებერ მორაგბეებზე გულზიარი ხალხი ამქვეყნად ძნელად თუ მოიძებნება: რაგბის თამაში მოგვენატრაო, მოიმიზეზებენ ხოლმე, სადმე ქეიფ-თაუნში ოჯახებიანად შეიკრიბებიან და ერთკვირიან ქეიფსა და დროსტარებას მისცემენ თავს. ამგვარი ღრეობის პროგრამაში, რაღა თქმა უნდა, რაგბის თამაშებიც შეაქვთ ხოლმე.

ერთი ასეთი ღონისძიების შესახებ უკვე ვწერდით, ორი თვის წინ დუბლინში რომ გაიმართა და რომელშიც, სპონსორთა უპირობა რომ არა, ქართველი ვეტერანებიც იმონაწილევებდნენ. იქ, უნივერსიტეტის კოლეჯის მოედნებზე ყველა მსურველს შეეძლო ჯეელობის გახსენება და მუხლის გამართვა, მიუხედავად იმისა, ჭაბუკობისას ეროვნულ ნაკრებში ეთამაშა თუ ოდენ სოფლის ანდა მაღაროს გუნდში.

ამისგან განსხვავებით, არსებობს ვეტერანთა ელიტარული შეჯიბრებაც, რომელიც კვირანახევრის წინ აგერ უკვე მეექვსედ დამთავრდა ბერმუდაზე, რომელიც ფართო საზოგადოებაში რაგბზე უფრო მეტად მისეული მოჯადოებული სამკუთხედითაა ცნობილი. ბერმუდაზე მხოლოდ ეროვნული ნაკრებების იმ ყოფილ წევრებს რთავენ თამაშის ნებას, ვისაც 33-ისთვის გადაუბიჯებია.

წელს კუნძულზე ექვსი გუნდი შეიკრიბა: ახალი ზელანდია, ავსტრალია, ინგლისი, აშშ (რომელიც, ჯეელთა ნაკრებისაგან განსხვავებით, დიდი ძალაა) და კიდევ ორი ნაკრები: ერთი ბერმუდამა და საფრანგეთმა საზიაროდ შეაკოწიწეს, მეორეში კი ირლანდიელი, შოტლანდიელი და უელსელი ექს-ვარსკვლავები შეამხანაგდნენ და სახელად „კელტი ბარბაროსები“ დაირქვეს.

შეჯიბრში, რომელიც ოდნავ შეღავათიანი წესებით იმართება, სწორედ რომ კელტებმა გაიმარჯვეს. ფინალში მათ 10:5 დაამარცხეს წინა ოთხი ტურნირის გამარჯვებული „ოლ ბლექსი“ რომელსაც ამჯერადაც 41 ქეფის მფლობელი, მეორეხაზელი ენდი ჰეიდენი თავკაცობდა, თუმცაკი ჰაკას — მატჩისწინა საბრძოლო რიტუალს დირიჟორობდა... ქალი.

ბერმუდაზე ბევრი სხვა რამეც იყო საყურადღებო. მოთამაშეთა უმეტესობა სიბერისაგან, ცოტა არ იყო, გაქაჩლებულიყო და ნიფხვებიც ჩაფართხუნებული ეცვა — ჯეელობიდან გამოყოლილი იარები რომ დაეფარა. ერთ ავსტრალიელს დამატებით 14 ნაკრებიც დაადეს — თურმე მზის გულზე მოპედით სეირნობისას ჩახძინებოდა, ცნობილ უელსელ 15 ნომერ ჯ.პ.რ. ვილიამსს კი დაუქადნია, ინგლისის გუნდთან ახალგაზრდობაში არ წამიგია და არც სიბერეში ვაპირებო.



ტურნირს სწვევია სამხრეთი აფრიკის სარაგბო დესპანი ჯო აბრაჰამსი, რომელსაც საგაისოდ შეუმზადებია ნიადაგი. აბრაჰამსი ბერმუდაზე თურმე ისეთი გუნდის ჩაყვანას აპირებს, რომელშიც თეთრებიც იქნებიან და ზანგებიც. მისი აზრით, ამით იმ ზანგებს, რომლებსაც აპარტჰეიდის გამო ვერ ღირსებიათ მსოფლიო დონეზე თამაში, სიბერეში მიეცემათ საერთაშორისო სარაგბო საძმოს სულისკვეთების დაჭაშნიკების შანსი.

სამხრეთი აფრიკის გარდა გაისად არგენტინა, კანადა, იტალია და იაპონიაც აპირებენ ვეტერანების ბერმუდას მივლინებას, სადაც დროსტარების შემადგენელ ერთ-ერთ კომპონენტს გოლფის თამაშიც შეადგენს.

## აქეთური, იქითური

წინა პარასკევს მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (იააფ) არბიტრაჟმა, რომელშიც დღესდღეობით ფინელი, ავსტრალიელი და [illegible] ირიცხებიან, [illegible] ლი მძლეოსანი ქალების: კატრინ კრაბეს, გრიტ ბროიერისა და მანუელა დეერის აპელაციები. ამ სამეულს 1992 წლის ივლისში დოპინგის ხმარება დაუმტკიცდა და დისკვალიფიკაციაც ერგო. მას მერე უამრავი საჩივარი დაიწერა, მაგრამ იააფის ახალ ბინაზე — მონტე-კარლოში შეკრებილმა მსაჯულებმაც გაამტყუნეს დედაკაცთა სამეული და მძლეოსნობისათვის სახელის გატეხვის გამო სასჯელის გასრულების ვადად 1995 წლის აგვისტო დაუთქვეს, თუმცაკი 24 წლის კრაბე, როგორც ჩანს, არ ეპუება განაჩენს და უფრო მაღლა ჩივილს აპირებს. ამავე სხდომაზე უნდა განეხილათ კროსში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის, კენიელი ჯონ ნგუგის საკითხიც, მაგრამ შეკრების კვირაძალს კენიის მძლეოსნობის მამებმა, რომლებიც აქამდე კროსმენის მხარეზე იყვნენ, თავისიანს უცებ უგანეს და აპელაცია გააპათილეს. ამის შედეგად ნგუგის კარიერა ფაქტიურად დასრულდა, ვინაიდან მას სარბიელთან განშორება 1997 წლის თებერვლამდე მოუწევს. არადა, ნგუგი ერთი შეხედვით უბრალო ჩანს: საწვრთნელ პერიოდში დოპინგ-სინჯის ასაღებად რომ სწვევიან, სტუმრებს მისთვის ხეირიანად ვერ აუხსნიათ, თუ ვინ იყვნენ და რას სთხოვდნენ. ჰოდა, კენიელსაც იააფ-ელები ჯანდაბას გაუგზავნია!

*

ესპანელ ველომრბოლ მიგელ ინდურაინს დიდი პატივი მიაგო საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა მიტერანმა: „ტურ-დე-ფრანსში“ ბოლო სამი წლის მანძილზე გრიალის საფასურად, ველოსპორტის შემდგომი წარმოჩინებისა და საფრანგეთ — ესპანეთის სულიერი სიახლოვის ხაზგასასმელად გალისიელი სპორტსმენი დაჯილდოვდა საფრანგეთის ერთ-ერთი უმთავრესი სახელმწიფო ჯილდოთი, რომელსაც უცხოური წყაროები „ღირსების ორდენად“ მოიხსენიებენ.

*

ამერიკული ბურთაობის ეროვნული ლიგის (NFL) კლუბმა „კლივლენდ ბრაუნზმა“ ერთობ მოულოდნელად დაითხოვა მეოთხედმცველი (ჩვენებურად — გამთამაშებელი) ბერნი კოსა, რომელსაც სეზონის დასაწყისში კონტრაქტი კიდევ 7 წლით გაუგრძელა. კოსა, რომელსაც ამ წლების მანძილზე 27 მილიონი დოლარი უნდა რგებოდა, წინა რვა სეზონის მანძილზე ორად-ორჯერ ვერ მოხვედრილა ძირითად შემადგენლობაში.

*

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ (ფისა) იმის გამო, რომ ადგილობრივ ორგანიზატორებს ტელეტრანსლაციის უფლებათა გაყიდვის შესახებ ვერ მოურიგდა, ღონისძიებათა საგაისო ნუსხიდან ამოშალა „პარიზ-დაკარისა“ და „ფარაონთა“ რალები. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ესპანელი კარლოს საინსი შემოსწყრა „ლანჩას“ და საგაისოდ გადავიდა „სუბარუში“, სადაც შოტლანდიელი კოლინ მაკრეისა და ფინელი არი ვატანენის მხარდამხარ იასპარეზებს.

*

17 წლის ამერიკელი ჩოგბურთელი ქალი ჯენიფერ კაპრიატი მტკივანი იდაყვის გამო თებერვლამდე ვერ იასპარეზებს, რის გამოც გაუცდება როგორც საახალწლო ჰოფმანის თასი პერთში, ასევე ავსტრალიის ღია პირველობა მელბურნში. ჰოფმანის თასის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი კაპრიატის მწვრთნელი, ავსტრალიელი პოლ მაკნამია. ახლა იგი იმის ცდაში ყოფილა, რომ მერი-ჯო ფერნანდესი დაიყაბულოს აშშ-ის გუნდში ჯონ მაკინროუს მხრის დასამშვენებლად.

*

სქვოშის პაკისტანელმა ლეგენდამ ჯაჰანგირ ხანმა, რომელიც მტკივანი ზურგის გამო 9 თვე ვერ თამაშობდა, ასპარეზზე დაბრუნებისთანავე განაცხადა, რომ ორი კვირის თავზე საშეჯიბრებო სქვოშს სამუდამოდ თავს დაანებებს და საჩვენებელი ღონისძიებების დროსღა წარსდგება საზოგადოებრიობის წინაშე. ჯაჰანგირს ათჯერ მოუგია ბრიტანეთის ღია პირველობა, ექვსჯერ — მსოფლიოს ღია (?) პირველობა, სასპარეზო კი ორი ტურნირიღა რჩებოდა — მსოფლიოს ღია პირველობა და მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი, რომელიც ყარაჩში გაიმართა.

აქეთური, იქითური

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით და პარასკეობით
ინდექსი 66441
რაიონებისთვის გაზეთის ფასი სახელშეკრულებოა

რედაქციის მისამართი:
თბილისი 77, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსში; ხოშარაულის 29

დამფუძნებელი:
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
სარედაქციო კოლეგია: გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, ზაალ გიგინეიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მეძველია, მამუკა ჩიხლაძე (პასუხისმგებელი მდივანი)